პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 64, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—30 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 4 დეკემბერი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 279 (2625)

დღიური

— ამხ. კემპბელის მოხსენება პარტიის ამოცანების შესახებ ინგლისის კომპარტიის ყრილობაზე.
— პოლონეთის სეიმის სესია 5 დეკემბერს გაიხსნება.
— გაიხსნა ინდოეთის პროფკავშირთა ყრილობა.
— შეთანხმება შვეციის ფირმასთან „სვირსტროისათვის" ტურბინების დამზადების შესახებ.
— დაიხურა ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.
— ბაქოს მუშების დახმარება „ლიუმანიტე"-ს.

ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი და არა-მკითხე შუამავლები

მუკდენმა თავისი წარმომადგენლის, ხარბინელ დიპლომატიურ კომისრის ცაის პირით 30 ნოემბერს [illegible] დაადასტურა, რომ ის ღებულობს საბჭოთა მთავრობის მიერ წაყენებულ ყველა პირობას; ჩან სიუ-ლიანის დელეგატები უკვე გამოემგზავრნენ საბჭოთა საზღვარზე, რომ შეხვდნენ ჩვენს წარმომადგენლებს ამ პირობების გატარების პროცედურის შესახებ მოსალაპარაკებლად.

სხვა გამოსავალი მუკდენის ხელისუფლებისათვის არ არსებობდა. 17 ნოემბრის დამარცხებამ სრული დემორალიზაცია გამოიწვია მის ჯარებში, რომელნიც მასიურად იშლებიან და ძარცვა-გლეჯას ეწევიან. მანჯურიის ეკონომიური ცხოვრება კონფლიქტის შედეგად აიწეწა და დაინგრა, რამაც მოსახლეობა აამხედრა მუკდენელ მმართველთა წინააღმდეგ, რომელთაც სამართლიანად აკისრებს პასუხისმგებლობას ყოველივე ამისათვის. და ჩან სიუ-ლიანი თავის ტყავის გადასარჩენად იძულებული გახდა ჩვენთან მოლაპარაკების გზას დასდგომოდა.

მაგრამ გადაჭრით მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ მუკდენი საბოლოოდ შეურიგდა თავის ანტისაბჭოთა ავანტიურის საკანდალო მარცხს. შესაძლებელია, რომ მისი უკანასკნელი ნაბიჯი არის მანევრი დროის მოსაგებად თავის მდგომარეობის ცოტათი მაინც გამოსწორების მოლოდინში. ჩვენ შეჩვეული ვართ ჩინელ მილიტარისტების ასეთ ყალთაბანდობას.

რისი და ვისი იმედი შეიძლება ჰქონდეს ასეთ შემთხვევაში მუკდენის ჯგუფს? როგორც ცნობილია, ჩან სიუ-ლიანი ანტისაბჭოთა ავანტიურაზე ნანკინმა წააქეზა, მაგრამ, წინააღმდეგ დაპირებისა, მას არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა. მუკდენის სეპარატიული გამოსვლა, ერთი მხრით, ლახვარს სცემს ნანკინის ავტორიტეტს (თუ მსგავსი რამ მას კიდევ გააჩნია), როგორც ჩინეთის ხალხის, ისე იმპერიალისტების თვალში, ხოლო მეორე მხრით — საშუალებას ართმევს ჩან კაი-შის დაიმორჩილოს მუკდენელი დიქტატორი, რასაც ის ფიქრობდა უკანასკნელის დაუძლურებით მისი ჩვენთან ბრძოლაში ჩაბმის გზით. ამიტომ ჩან-კაი-ში ცდილობს მუკდენელების შეკავებას ჩვენთან შეთანხმებისაგან; ამ მიზნით ის ალბად მიაწვდის მას დახმარებას ჯარებით და ფინანსებით, რამდენადაც ახლა მან ერთგვარ კომპრომისს მიაღწია თავის მოწინააღმდეგე გენერლებთან და ამით ასე თუ ისე ზურგი გაიმაგრა.

მაგრამ თავის თავად ნანკინის პოზიციას დიდი მნიშვნელობა არა აქვს: იგი მთლიანად დამოკიდებულია იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან. ამ მხრივ საგულისხმოა მისი უკანასკნელი ნოტა, რომელიც შეიცავს წინადადებას, რომ კონფლიქტის მოწესრიგება გადაეცეს „მესამე მიუდგომელ მხარეს". ესაა ახალი პროვოკაციული ცდა როგორც კონფლიქტის გაჭიანურებისა (და ეს მუკდენის გამოსვლის შემდეგ), ისე მასში იმპერიალისტების ჩარევისა.

უკანასკნელნი კიდეც აფუსფუსდნენ, ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე უკანასკნელად მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. მაგალითად, ჰენდერსონი დაუესთან (ამერიკის ელჩი ინგლისში) თათბირის შემდეგ აცხადებს, რომ ის მზადაა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გამო „სერთო მეგობრულ შუამავლობაში" მიიღოს მონაწილეობა. ვაშინგტონი ამავე საკითხზე თათბირობს იმ ქვეყნების მთავრობებთან, რომლებსაც მან 1929 წლის ივლისში მიმართა ცნობილი მემორანდუმით (აღმ.-ჩინეთის რკინის გზის „ნეიტრალიზაციისა" და მასზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ). სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, ამერიკა, ინგლისსა, საფრანგეთისა და იაპონიასთან ერთად, მიმართავს ორივე მხარეს მითითებით, რომ კელოგის პაქტის ხელის მომწერ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ გულგრილად უყურონ ომის ფაქტს, რომელიც ამ პაქტს არღვევს (იმპერიალისტები მშვიდობიანობის მოყვარეთა როლში!) და სერიოზულ ზარალს აყენებს აღმ.-ჩინ. რკინის გზასო. „ნიუ-იორკ ტელეგრამ" აცხადებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს, რათა ისინი დასთანხმდნენ კონფლიქტის საარბიტრაჟო გადაწყვეტაზე ან მის გადაჭრაზე საერთაშორისო ტრიბუნალის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საერთაშორისო ტრიბუნალმა „კანონის გარეშე მდგომ ერებად" უნდა გამოაცხადოსო. ფრანგული ოფიციოზი „ტან" მხარს უჭერს ნანკინის განზრახვას, რომ ოფიციალურად დააყენოს სახელმწიფოთა წინაშე საკითხი საბჭოთა კავშირის მიერ კელოგის პაქტის ვითომდა დარღვევის შესახებ. საერთოდ, დეპეშები სავსეა ცნობებით იმპერიალისტური მთავრობების განუწყვეტელი თათბირებისა და ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტით მათი განსაკუთრებული დაინტერესების შესახებ. ეს ინტერესი გაცხოველდა კერძოდ მას შემდეგ, რაც მუკდენის მიერ ჩვენი პირობების მიღების საფუძველზე, დაისახა უშუალო შეთანხმების შესაძლებლობა.

იმპერიალისტების ასეთი ამოძრავება სავსებით გასაგებია. ისინი შეშინებული არიან სწორედ იმით, რომ მოსალოდნელია კონფლიქტი მოგვარდეს, ამასთან ისე, რომ მათ აქედან ვერაფერი სარგებელი ნახონ. ამიტომაც ცდილობენ ისინი ჩაერიონ მხარეთა დავაში, ვითომ მშვიდობიანობის დამყარების საბაბით, ნამდვილად კი მდგომარეობის გასართულებლად. ისინი ვერ ურიგდებიან იმას, რომ ჩაიფუშა მათი განზრახვა, რათა კონფლიქტის საშუალებით საბჭოთა კავშირი სერიოზულ ომში ჩაებათ, დაესუსტებიათ და მისთვის თავისი ნებისყოფა მოეხვიათ, თუ არ შესძლებდენ მის მოსპობას. ამავე დროს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გამოწვევა იმპერიალისტებისათვის საჭირო იყო ჩინეთის დასამონებლად და მისი შესაძლებელი მშვიდობიანი ლიკვიდაცია ამ მხრივაც არ არის მათთვის სასიამოვნო. და აშკარაა, იმპერიალისტები ლამობენ ისევ გაამწვავონ კონფლიქტი, ან, თუ ეს მოუხერხებელი იქნება, მის „მოწესრიგებაში" მონაწილეობით სათანადო კომპენსაცია მიიღონ.

ისინი პირველ ყოვლისა თვალს აცეცებენ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე. აღსანიშნავია ზევით მოყვანილი ცნობა, რომ კელოგის პაქტის ხელმომწერი სახელმწიფოები გულგრილად ვერ უყურებენ, რომ კონფლიქტის გამო აღმ.-ჩინეთის რკინის გზას დიდი ზარალი მოსდისო. აბა ვინ დაიჯერებს, რომ ისინი თავის თავად ამ გზის კეთილდღეობით იყვნენ დაინტერესებული. საქმე ისაა, რომ იმპერიალისტები ოცნებობენ აღმ.-ჩინ. რკინის გზის ხელში ჩაგდებაზე — ვითომდა მისი ნეიტრალიზაციის სახით, რომ მათ „შუამავლობის" უფლება მიეცეს. ცხადია, ამ საკითხს კვლავ წამოაყენებენ.

შემდეგ: იმპერიალისტები ლაპარაკობენ კელოგის პაქტის დარღვევაზე. მაგრამ ვინ ჩაიდინა ეს? თავის თავად ცხადია, ჩინეთმა, რომელიც თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, და არა უკანასკნელმა. ეს მშვენივრად იციან იმპერიალისტებმა, მაგრამ ისინი მაინც გაიძახიან, რომ ეს პაქტი დაარღვია ორივე მხარემ, კიდევ მეტი: მარტო საბჭოთა კავშირმაო, რათა ამით მას ჩირქი მოსცხონ იმათ თვალში, ვინც საქმეთა ვითარებაში ვერ ერკვევა. ამნაირად, კელოგის ამ „სამშვიდობო" წამოწყებას, როგორც ეს იმთავითვე ცხადი იყო, აგრესიულ ზრახვებისათვის იყენებენ მისი ავტორები.

იმპერიალისტების ცდა იქითკენაა მიმართული, რომ გააქარწყლონ ჩვენი გამარჯვება, ჩაფუშონ ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა, ხოლო თუ, მიუხედავად მათი სურვილისა, კონფლიქტის ლიკვიდაცია მოხერხდა, განზე არ დარჩნენ, რომ რამე გამოცინცლონ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს. მათი „შუამავლობა" მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა მთავრობა გადაჭრით უარყოფს მათ ამ პრეტენზიებს. ის ცდილობს ჩინეთთან შეთანხმების მიღწევას უშუალო მოლაპარაკების გზით, ყოველგვარ არა მკითხე „მზრუნველების" გარეშე. ეს ერთნაირად შეეფერება როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ჩინეთის ინტერესებს. ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადადგმულია, და თუ ამას სასურველი შედეგები არ მოჰყვა, ეს, რა თქმა უნდა, მოხდება არა ჩვენი მიზეზით, რადგან ჩვენი მშვიდობის მოყვარეობა არა ერთხელ დამტკიცდა. ამაში კვლავ დამნაშავე იქნებიან ჩინელი გენერლები და მათი წამქეზებელი მსოფლიო იმპერიალისტები, რასაც ისინი ვერავითარი ცრუ-პაციფისტური განცხადებებით ვერ დაფარავენ.

ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა და უცხოეთი

საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის პირველ სხდომაზე სახალხო მეურნეობის 1929-30 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ შესავალ ნაწილში შეეხო საგარეო პოლიტიკის საკითხებს. ჩვენ სასარგებლოდ ვთვლით შევჩერდეთ ამ პოლიტიკის ძირითად მომენტებზე.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დახასიათების დროს არ შეიძლება გვერდის ავლა კაპიტალიზმის იმ „სტაბილიზაციის" „სიმტკიცის" თითქმის ყველაზე უფრო მჭერმეტყველი ფაქტისთვის, რომელზედაც დაუღალავად ლაყბობენ ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული თეორეტიკოსები. ფინანსიური კრიზისი, რომელმაც იფეთქა შეერთებულ შტატებში, ყველაზე უფრო „მოწესრიგებული კაპიტალიზმის" ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც კაპიტალის მონოპოლიზაციამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, წარმოადგენს იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ ბურჟუაზია უძლურია გეგმიანობა დაიცვას კაპიტალისტური წარმოებისა და მოხმარების ანარქიის წინაშე. ამერიკის კრიზისმა სწორედ იმ მომენტში იფეთქა, როცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა ხუთწლედის მეორე წელში შევიდა და ხუთწლიანი გეგმა სრულდება ისეთი ტემპით, რომელიც სჭარბობს პირვანდელ ვარაუდსა და ციფრებს. სამეურნეო განვითარების ამ ორი ხაზის—კაპიტალისტური კრიზისისა და ჩვენი მეურნეობის სწრაფად აღმავალი ხაზის შედარებამ ერთხელ კიდევ გარკვევით უნდა ნათელჰყოს სოციალიზმის გეგმიანი მეურნეობის უპირატესობა კაპიტალისტური მსოფლიოს ანარქიული მეურნეობის წინაშე.

ხუთწლედის, როგორც საერთო გეგმის, ისე მისი შესრულების სისწორე ბრწყინვალედ დაამტკიცა მისი ცხოვრებაში გატარების პირველმა წელმა. არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს ის, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა მშრომელთა ძალღონითა და აღფრთოვანებით ხუთწლიან გეგმას უფრო მოკლე ვადაში განახორციელებს, ვიდრე ეს პირველად იყო გათვალისწინებული. განახორციელებს უმთავრესად ქვეყნის შინაურ რესურსებზე და მუშათა კლასის რევოლიუციონურ ენერგიაზე დაყრდნობით, მშვიდობიანობის ყოველნაირად შენარჩუნებასთან ერთად. როცა ჩვენ „შინაურ რესურსებზე" ვლაპარაკობთ, თავის-თავად იგულისხმება, რომ არავითარ შემთხვევაში არ ვივიწყებთ საკითხს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ეკონომიური კავშირის განვითარების შესახებ კაპიტალისტურ ქვეყნებთან. პირიქით, რაც უფრო წინ და სწრაფად წავა ხუთწლიანი გეგმის შესრულება, მით უფრო გაიზრდება და განვითარდება ჩვენი ურთიერთობა საგარეო ვაჭრობის დარგში. საგარეო ვაჭრობა, საკრედიტო შეთანხმებები, ტეხნიკური დახმარება და სხვ.,—ყველა ეს რგოლები სამეურნეო ურთიერთობისა საბჭოთა კავშირის გარშემო მდებარე სახელმწიფოებთან,—გარეშე იმისა, სურთ თუ არა ეს მათ,—განუწყვეტლივ უნდა გაიზარდოს. თავისთავად ცხადია, რომ ურთიერთობა უნდა განვითარდეს ურთიერთ ხელსაყრელობის საფუძველზე და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნაკარნახევი იქნას ჩვენი კონტრაგენტების მიერ, წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ინტერესებისა. მთავრობის მოხსენებაში მოცემულია მთავარი დებულებანი, რომლებითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ საკონცესიო პოლიტიკის, როგორც ამ ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმის, მიმართ. ასევე შეიძლებოდა ხაზგასმით აღგვენიშნა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა, რომელიც ყოველ წლობით ვითარდება, იწარმოებს მხოლოდ ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყეობის საფუძველზე.

რამდენადაც სწრაფად წავა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, იმდენად, ყოველ ეჭვს გარეშეა, უფრო გაფართოვდება პერსპექტივები კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის სამეურნეო ურთიერთობის გაშლისა, რომელიც განხორციელდება ურთიერთ სარგებლობის და სამეურნეო დამოუკიდებლობის საფუძველზე.

ზევით ჩვენ ვსთქვით, რომ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის დაჩქარებით განხორციელების წინასწარ პირობას წარმოადგენს მშვიდობიანობის შენარჩუნება. იმპერიალისტების სიძულვილი სოციალიზმის მშენებელ ქვეყნის მიმართ განსაკუთრებით გარკვევით გამოიხატა სწორედ სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის ამ წინასწარი პირობის ჩაშლის ცდებში. ის გარემოება, რომ იმპერიალისტებმა მოახერხეს ჩვენსკენ ლახვარის მომართვა აღმოსავლეთიდან და გენერლებისა და გომინდანის ჩინეთის გადაქცევა თავიანთ ანტი-საბჭოთა ზრახვების იარაღად, წარმოადგენს სულთმობრძავის იმ ცდების დამამტკიცებელ საბუთს, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირის პროვოკაციულად ჩათრევა აშკარა შეტაკებაში და ამით ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის ჩაშლა.

ეს პროვოკაცია, როგორც ცნობილია, მარცხით დამთავრდა. ბრწყინვალე პასუხმა, რომელიც წითელმა არმიამ გასცა ჩინეთის გენერლების პროვოკაციულ ცდებს, ნათლად დაანახვა ყველას და თვითეულს, რომ, როგორც ეს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, „თუ ჩვენ არ ვომობთ ჩინეთთან, ეს არა იმიტომ, რომ არ შეგვიძლია ომი, არამედ იმიტომ, რომ არა გვსურს ომი". მაგრამ ჩვენი სახელოვანი არმიის მიერ ჩვენს ტერიტორიაზე წრეგადასული ჩინელი გენერლების პროვოკაციულ თავდასხმაზე გაცემულმა პასუხმა გადაჭრით უნდა მოუღოს ბოლო ზღაპრებს „საბჭოთა კავშირის სისუსტის შესახებ" და მასთან ერთად ერთხელ კიდევ დაადასტუროს ჩვენი მისწრაფება მშვიდობიანობის დაცვისაკენ. მშვიდობიანობისაკენ მისწრაფების ილიუსტრაციას წარმოადგენს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის კატეგორიული განცხადება, რომ „ჩვენ არ ვისახავდით და არ ვისახავთ მიზნად ჩინეთის ტერიტორიის თუ გინდ ერთი მეტრის დაპყრობას".

იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირის მხრივ ადგილი აქვს უდიდეს მოთმინებას და მშვიდობიანობის დაცვის გულწრფელ სურვილს, ჩვენ მოწმენი ვართ იმის, რომ იმპერიალისტური წრეები სცდილობენ ჩაშალონ საბჭოთა კავშირსა და მუკდენის მთავრობას შორის შესაძლებელი შეთანხმება, უკანასკნელის მიერ იმ პირობების მიღების საფუძველზე, რომელთაც შეუძლიათ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის სწრაფი და მტკიცე ლიკვიდაცია.

ისტორია ნანკინის მთავრობის 14 ნოემბრის ნოტისა, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა მას შემდეგ, რაც მუკდენის მთავრობამ მიიღო კონფლიქტის ლიკვიდაციის საბჭოთა პირობები, აგრეთვე ის ღონისძიებანი, რომლებსაც იმპერიალისტები მიმართავენ უიმედოთ გახლართულ ნანკინის მთავრობის „დასახმარებლად", უდიდეს სიფრთხილეს გვავალებს. აი რატომ არის, რომ, როცა ვლაპარაკობთ კაპიტალისტურ მსოფლიოსთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებაზე, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ ჩვენი კონტრაგენტები შეეცდებიან ერთხელ კიდევ მოსინჯონ საბჭოთა კავშირის სიმტკიცე და წინააღმდეგობის უნარი.

ის ამბები, რომელთაც უკანასკნელ დღეებში ადგილი ჰქონდათ ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე, საჭირო გაფრთხილებას უნდა წარმოადგენდეს მათთვის. ამ ამბებმა თავი უნდა შეაკავებინოს მათ საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გეგმისა და ტემპების ჩაშლის ყოველგვარ ცდებისაგან, განსაკუთრებით იმ ურყევ ნებისყოფის გამო, რომელიც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა გამოიჩინეს როგორც გადამწყვეტ ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სამეურნეო განვითარების ტემპებისათვის, ისე თავის პროლეტარულ სამშობლოს დაცვაში.

„იზვესტია".

გადმოცემულია ტელეგრაფით.

აღშფოთების ტალღა ნანკინის წინააღმდეგ ჩინეთში

მღელვარება მანჯურიის ჯარებში.--მუკდენის შტაბი ციციკარში გადაიტანეს

უცხოელი მუშები აღფრთოვანებული არიან სოც. მშენებლობის წარმატებით საბჭ. კავშირში

ჩინეთი და საბჭოთა კავშირი

ჩინეთის ჯარის დემორალიზაცია

ტოკიო, 2 დეკემბერი. იაპონიური გაზეთი „ნიცი-ნიცი", რომელიც ხარბინში გამოდის სწერს:

„ახლა საკმარისია მცირეოდენი იერიში ან თუნდაც უბრალო დაშინება წითლების მხრივ, რომ მთელ ჩრდილოეთ მანჯურიაში დაიწყოს არეულობა, ჩინეთის ჯარის სრული დემორალიზაციის გამო. ნანკინის მთავრობა მთელ მსოფლიოს არწმუნებს თავის მშვიდობისმოყვარეობაში, მაგრამ ჩინეთის არმია მშვიდობისმოყვარეობას არ იჩენს თავის მოსახლეობისადმი. საჭიროა კონფლიქტის მოგვარება უმოკლეს ვადაში". (ადს).

ტოკიო, 2 დეკემბერი. ჩინეთის არმიის დემორალიზაციის გამო, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დასავლეთ ხაზზე მოეწყო თავდაცვის რაზმები. ხარბინში იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩინელ ჯარისკაცებს ეცვათ ნაძარცვი ქალის მანტოები. ხელისუფლება შეუდგა ხარბინის გარნიზონის ზოგიერთი ნაწილის განიარაღებას. (ადს).

მუკდენ-საბჭოთა მოლაპარაკების გავლენით

ტოკიო, 2 დეკემბერი. ცნობამ მუკდენის და საბჭოთა მთავრობებს შორის ნოტების გაცვლის შესახებ უდიდესი გამოცოცხლება გამოიწვია ეკონომიურ წრეებში. ჩინური დოლარის კურსმა აიწია. (ადს).

ტყვედ წამოყვანილ იქნა 300 თეთრგვარდიელი

ჩიტა, 3 დეკემბერი. ქ. მანჯურიის დაჭერის დროს წამოყვანილ ტყვეებს შორის არიან: ნეჩაევის დივიზიის პოლკოვნიკი მამონოვი, ჩინეთის სარდლობის ერთ-ერთი მთავარი რუსი მრჩეველი, ცნობილი გენერლის ძმა—შილნიკოვი, პოლიციელი— დოროშენკო, რომელმაც თავი ისახელა იმით, რომ მხეცურად ეპყრობოდა საბჭოს მოქალაქეებს. სულ ტყვედ წამოყვანილია 300-მდე თეთრგვარდიელი. (ადს).

მანჯურიის არმიის შტაბის ევაკუაცია

ტოკიო, 2 დეკემბერი. მანჯურიის არმიის სარდლობამ ათასზე მეტი ჯარისკაცი დახვრიტა სარდლობის განკარგულებებისადმი არ დამორჩილების გამო. არმიის შტაბი გადაყვანილი იქნა ციციკარში. (ადს).

საიდუმლო თათბირი

ვაშინგტონი, 2 დეკემბერი. სახელმწიფო მდივანი სტიმსონი და სხვა მოხელენი, რომელთაც კავშირი აქვთ მანჯურიის პოლიტიკის საკითხებთან, კვირას მუშაობდნენ სამინისტროში, ეს სრულებით არაჩვეულებრივი მოვლენაა. მუშაობის ხასიათს საიდუმლოდ ინახავენ. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, თუ სახელდობრ რა წინადადებას აძლევს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა სახელმწიფოებს. (ადს).

სტიმსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. სახელმწიფო მდივანმა (საგარეო საქმეთა მინისტრმა) სტიმსონმა ჰუვერთან და იაპონიის, ინგლისის და გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ განაცხადა, რომ საკითხი საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის კონფლიქტში ჩარევის შესახებ არ აღძრულაო. სტიმსონმა აღნიშნა, რომ კელოგის პაქტი არ ითვალისწინებს სანქციას მშვიდობიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ. მოლაპარაკება სახელმწიფოებთან გრძელდება. (ადს).

ჰგმობენ ნანკინის დიპლომატიას

შანხაი, 2 დეკემბერი. თუმცა უცხოელთა და ჩინელთა ადგილობრივი პრესა არაფერს ამბობს იმ აღშფოთების შესახებ, რომელიც ჩინეთის საზოგადოებრიობას მოედო ნანკინის დიპლომატების მოქმედების გამო, მაგრამ ბევრ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, გომინდანის ქვემდებარე ორგანიზაციებსაც კი, მკაცრი რეზოლიუციები გამოაქვთ; ისინი ჰგმობენ ნანკინის დიპლომატიას და ბრალად სდებენ, რომ მან ჩინეთს უდიდესი ზიანი მიაყენა. რეზოლიუციების გამომტანნი მოითხოვენ ვან ჯენ-ტინის გადადგომას და დასჯას. (ადს)

გერმანიის მუშათა კლასი ბრძოლისათვის ემზადება

პროფკავშირთა რევოლიუციონური ოპოზიციის ყრილობის რეზოლიუცია

ბერლინი, 2 დეკემბერი. პროფკავშირთა რევოლიუციონური ოპოზიციის ყრილობის ძირითადი რეზოლიუცია შემდეგ უშუალო ამოცანებს უსახავს რევოლიუციონურ ფრთას: დამოუკიდებლად და თანამიმდევრობით მომზადებ ხელფასის გადიდებისათვის და სამუშაო დროის შემცირებისათვის ბრძოლის ჩასატარებლად, სისტემატიური მომზადება გაზაფხულზე მოსალოდნელი ბრძოლისათვის—სამუშაო ხელფასის გასადიდებლად, რევოლიუციონური ოპოზიციის მოქმედების გაძლიერება გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებისა და პროფკავშირთა სხვა ორგანიზაციების შიგნით, ულმობელი მასიური ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ საწარმოებში, ყოველ საწარმოში ანტიფაშისტური თავდაცვის რაზმების შექმნა, რომლებშიაც ჩაბმულ უნდა იქნან ქალები და ახალგაზრდები, მუშათა დელეგაციების შემდგომი გაგზავნა საბჭოთა კავშირში, გეგმაშეწონილი ინფორმაცია საბჭოთა კავშირის შესახებ, რისთვისაც ახლად დაბრუნებული დელეგაცია უნდა გამოვიდეს უმთავრეს საწარმოებში, გერმანიის პროლეტარიატისა და საბჭოთა ქვეყნის პროლეტარიატის კავშირის ყველა ფორმების განმტკიცება, საერთაშორისო რევოლიუციონურ შეჯიბრების მოწყობა გერმანიის და საბჭოთა საწარმოების მუშებს შორის და სისტემატიური პროპაგანდა სოციალისტური მშენებლობისათვის მხარის დასაჭერად ხუთწლიანი გეგმის განხორციელების მიზნით.

კომპარტია ხელმძღვანელობს მუშათა ეკონომიურ ბრძოლას

ბერლინი, 2 დეკემბერი. პროფკავშირთა ოპოზიციის ყრილობის პარალელურად შესდგა მელითონეთა, ფეიქართა და ტრანსპორტის მუშათა ცალკე საწარმოო ჯგუფების ჯგუფური კონფერენციები. ყრილობამ გამოარკვია, რომ რევოლიუციონური ოპოზიციის გავლენა მოედო მუშათა უფრო ფართო ფენებს, ვიდრე მოსალოდნელად მიაჩნდათ. **ყრილობამ ცხადჰყო, რომ ამჟამად საწარმოებსა და პროფკავშირებში 2 მილიონზე მეტი მუშა აღიარებს კომპარტიის ჰეგემონიასა და ხელმძღვანელობას ეკონომიურ ბრძოლაში.** (ადს).

უცხოელი მუშები აღფრთოვანებული არიან

სოც. მშენებლობის მიღწევებით საბჭ. კავშირში

მოსკოვი, 3 დეკემბერი. ოქტომბრის დღესასწაულებზე ჩამოსულმა მუშათა დელეგაციებმა სამშობლოში დაბრუნების წინ საკავშირო პროფსაბჭოს გადასცეს სპეციალური განცხადებები საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის შეფასებით.

ინგლისის მუშები სწერენ:

„ჩვენ დავრწმუნდით, რომ გიგანტური ხუთწლიანი გეგმა უფრო სწრაფად ხორციელდება, ვიდრე თვით თქვენ ფიქრობდით. სოციალისტური შეჯიბრება თქვენი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ფაზაა. ჩვენ კიდევ უნდა განვაცხადოთ, რომ არაფერმა ისე არ გაგვაოცა, როგორც იმ უდიდესმა რევოლიუციამ, რომელიც თქვენს სოფლებში ხდება. თქვენი სწავლების ახალი მეთოდები, თქვენი სოციალური დაზღვევა, ქალთა მდგომარეობა და მათი მონაწილეობა თქვენი ქვეყნის მრავალფეროვან ცხოვრებაში,—ყველაფერი ეს იმის დამამტკიცებელია, რომ თქვენ აშენებთ ახალ ცხოვრებას".

ამერიკელი მუშები სწერენ:

„ჩვენ დავრწმუნდით საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების მტკიცე გადაწყვეტილებაში—დაეწიონ და გაუსწრონ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის ხუთწლიანი გეგმის წარმატება მოასწავებს მსოფლიო რევოლიუციის წარმატებას".

გერმანელ, ფრანგ, ავსტრიელ, ლატვიელ და ესტონელ მელითონეთა ჯგუფი თავის მიმართვაში საბჭოთა კავშირის მელითონეებისადმი აღფრთოვანებით ლაპარაკობს „სელმაშტროის", „დნეპროსტროი"-ს და სოციალისტური მშენებლობის სხვა გიგანტების შესახებ, ყველა თავის განცხადებებში უცხოეთის მუშები პირობას სდებენ, რომ შეასრულებენ მათ მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო სოც. შეჯიბრების პირობებს, რომ მზად არიან მთელი ძალღონით დაიცვან საბჭოთა კავშირი იმპერიალისტების თავდასხმებისგან.

მელითონეები მოუწოდებენ „ყველა კლასობრივ ძმებს"—მოაწყონ თანხების შეგროვება საბჭოთა კავშირისათვის ტრაქტორებისა და მანქანების მისაწოდებლად, აგრეთვე ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის სესხზე. (ადს).

სეიმი და პილსუდსკი

მოელიან ახალ „შეჯახებას"

ვარშავა, 2 დეკემბერი. 5 დეკემბერს მოელიან სეიმის სესიის გახსნას, რის გამოც ატმოსფერა მძიმდება. ოპოზიციონურმა პარტიებმა დაადგინეს, სეიმის პირველ სხდომაზე შეიტანონ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების რეზოლიუცია. ეჭვი არ არის, რომ სეიმში აღმოჩნდება ამ რეზოლიუციის მომხრეთა საკმაო რიცხვი. (ადს)

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

ბენჟამენი საბჭ. კავშირისათვის კრედიტების მიცემის შესახებ

ლონდონი, 2 დეკემბერი. სავაჭრო-სამრეწველო კლუბში გამართულ კრებაზე ბენჟამინმა (ყოფ. წევრი ინგლისის მრეწველთა იმ დელეგაციისა, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო 1929 წლის გაზაფხულზე) აღნიშნა, რომ გერმანია და ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატები გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის მოთხოვნას კრედიტების მიცემის საქმეში. ბენჟამინმა სთქვა, თუმცა საბჭოთა კავშირი ცდილობს დამოუკიდებლად მოახდინოს თავისი მრეწველობის რეკონსტრუქცია, მაგრამ ინგლისელი მრეწველები მაინც მოახერხებენ ფართო მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის საჭიროებათა დაკმაყოფილებაში იმ პირობით, თუ კრედიტების საკითხი დადებითად გადასწყდება საბჭოთა კავშირის მოთხოვნათა მიხედვით. (ადს)

ინგლისის კომპარტიის ყრილობა

ლონდონი, 2 დეკემბერი. ინგლისის კომპარტიის ყრილობაზე კემპბელმა შეიტანა რეზოლიუცია „ეკონომიური ბრძოლისა და კომპარტიის ამოცანების" შესახებ. მან ხაზგასმით აღნიშნა პარტიის მუშაობის ხელსაყრელი ობიექტიური პირობები, რაც მდგომარეობს ინგლისის მუშათა მასების გამემარცხენებაში და ეკონომიური ბრძოლების ტალღის ახალ აზვირთებაში. თრატორმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ლეიბორისტული მთავრობა, ტრედიუნიონების აპარატის ფაშიზაციის პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა. სახელმწიფო არბიტრაჟის სისტემა პრაქტიკულად მოასწავებს ტრედ-იუნიონისტური ბიუროკრატიისა და მრეწველთა მთლიან ფრონტს მუშათა კლასის წინააღმდეგ. ტრედ-იუნიონების ბელადები კავშირებიდან ერეკებიან რევოლიუციონურ ელემენტებს; მათ გამთიშველ პოლიტიკას პარტიამ უნდა დაუპირისპიროს გაძლიერებული მუშაობა უმცირესობის რევოლიუციონური მოძრაობისათვის მხარის დასაჭერად.

პარტიამ უნდა შეიგნოს, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შეუკავშირებელ მუშებს შორის მუშაობას, და უნდა დარაზმოს ისინი ახალ რევოლიუციონურ პროფკავშირებში. უდიდეს საფრთხეს, რომელიც პარტიამ უნდა დასძლიოს, წარმოადგენს მემარჯვენეთა პოზიცია, რადგან მემარჯვენენი მუშათა კლასში ხელს უწყობენ მშვიდობიანი „ლეგალიზმის" მავნე ილიუზიებს და იარაღს ჰყრიან პროფბიუროკრატების გამთიშველი მოქმედების წინაშე. ეკონომიური ბრძოლის პერსპექტივას უნდა წარმოადგენდეს ცალკე გაფიცვების გადაქცევა მასიურ პოლიტიკურ მოძრაობად, რომლის მიზანსაც უნდა შეადგენდეს მუშათა რევოლიუციონური მთავრობის გაბატონება.

ყრილობამ აღფრთოვანებით მიიღო წინადადება იმის შესახებ, რომ გაეგზავნოს მისალმება შორეული აღმოსავლეთის არმიას, აგრეთვე მიმართვა კოლონიალურ მუშებს.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ მაკდონალდის მთავრობა ამჟამად ბრიტანეთის იმპერიალიზმის მიერ დაქირავებულ ჯალათად გადაიქცა.

როტშტეინმა განაცხადა, რომ იგი მოვალეა აღიაროს ყრილობაზე თავისი შეცდომები და შეეცდება გამოასწოროს ეს შეცდომები როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად. მისი შეცდომების ძირითად წყაროს წარმოადგენს ინგლისში არსებული მდგომარეობისა და თანდათან გაძლიერებული მასიური ბრძოლის პერსპექტივების არასწორად შეფასება. როტშტეინმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმება კომინტერნის ხაზს.

ლონდონის დელეგატმა გროვსმა განაცხადა, რომ მემარჯვენე საფრთხემ პარტიის ხელმძღვანელობაში ორგანიზაციული ფორმა მიიღო. მემარჯვენე ლიდერები ახლა ინანიებენ თავიანთ შეცდომებს იმისათვის, რომ ხელმძღვანელი როლი შეინარჩუნონ.

ბელმა აღნიშნა, რომ ძირითადი ამოცანაა პარტიის გადაქცევა პროპაგანდისტული სექტანტობიდან მებრძოლ პროლეტარიატთან განუყრელად დაკავშირებულ პარტიად.

კომინტერნის დელეგატმა თავის სიტყვაში აღნიშნა ისტორიული მნიშვნელობა ყრილობისა, რომელმაც უნდა მოახდინოს გადამჭრელი გარდატეხა რევოლიუციონური მასიური მოქმედებისაკენ. მან აღნიშნა აგრეთვე ის დიდი კონტრასტი, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის და ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობის შორის. საბჭოთა კავშირში მუშათა კლასის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება და სახალხო მეურნეობა წინ მიდის, ხოლო ინგლისში კაპიტალისტური რაციონალიზაცია მუშათა კლასის ხარჯზე ხორციელდება და სახალხო მეურნეობა ეცემა. პარტიის ლოზუნგს უნდა წარმოადგენდეს: „დავუახლოვდეთ მასებს, ღრმად შევიჭრათ მასებში".

შეთანხმება შვეციის ფირმასთან

„სვირსტროი"-სათვის ტურბინების დამზადების შესახებ

სტოკჰოლმი, 2 დეკემბერი. „სვირსტროი"-ს მთავარ ინჟენერის პროფ. გრაფტიოს მონაწილეობით, სტოკჰოლმში შვეციის მრეწველებთან სწარმოებდა მოლაპარაკება „სვირსტროი"-სათვის სამი ტურბინის (თითო 35.000 ცხენის ძალიანი) დამზადების შესახებ. მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობასა (შვეციაში) და კარლსტადტის მანქანათსაშენებელი სააქციო საზოგადოების შორის დაიდო ხელშეკრულება აღნიშნული ტურბინების მოწოდების შესახებ.

კონსერვატიულ გაზეთ „ნიუ დაგლიტ ალეხანდა"-ში სათაურით —„უდიდესი საბჭოთა შეკვეთები შვეციის მრეწველობას" გამოქვეყნებულია ინტერვიუ პროფ. გრაფტიოსთან.

ინდოეთის პროფკავშირთა ყრილობა

ლონდონი, 2 დეკემბერი. ნაგპურში გაიხსნა ინდოეთის პროფკავშირთა ყოველწლიური კონგრესი. თავმჯდომარემ ჯავახარლალ ნერუმ თავის სიტყვაში გადაჭრით მოითხოვა, რომ ბოიკოტი გამოეცხადოს უიტლის კომისიას, რომელიც იკვლევს შრომის პირობებს ინდოეთში.

ნერუმ განაცხადა, რომ მუშათა მთავრობა ისევე ნაციონალისტური და იმპერიალისტურია, როგორიც იყო ბოლდუინის მთავრობა. ნერუს წინადადებით, კონგრესმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ინდოეთის პროფკავშირები შევიდნენ როგორც ამსტერდამის ინტერნაციონალში, ისე პროფინტერნში.

კონგრესზე განხეთქილება გამოიწვია საკითხმა—შეუერთდნენ თუ არა ინდოეთის პროფკავშირები წყნარ-ოკეანეს სამდივნოს. ჩამან-ლალმა და ფატხულა-ხანმა გამართეს კრება, რათა შეიმუშაონ გეგმა ახალი ორგანიზაციის შესაქმნელად, რომლის ლოზუნგიც უნდა იყოს „ლეგალური პროფკავშირები, თავისუფალნი მოსკოვის გავლენისაგან". (ადს).

საბჭოთა კავშირის ცაკის სესია

კამათი სახალხო მეურნეობის 1929—30 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ

მოსკოვი, 3 დეკემბერი. 2 დეკემბერს საკავშირო საბჭოს დილის სხდომაზე მიმდინარეობდა კამათი ამხ. რიკოვის, კრჟიჟანოვსკის და ბრიუხანოვის მოხსენებათა გამო. საკავშირო, საბჭოს წევრებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპებს, რომლებიც საკონტროლო ციფრებით არის გათვალისწინებული.

სასოფლო მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია,—ამბობს ამხ. ხლოპიანკინი (ქვედა ვოლგის მხარე) შესაძლებელია წელიწად ნახევარში განხორციელდესო. ქვედა ვოლგის მხარეში კოლექტივიზაცია გავრცელდება მეურნეობათა 60 პროც.-ზე, 1930 წლის შემოდგომისათვის ღარიბ და საშუალო გლეხთა მთელი ასი პროცენტი იქნება გაერთიანებული კოლექტივებში. ცხოვრებამ დაამარცხა სკეპტიკოსები, რომელთაც ეჭვი ეპარებოდათ კოლექტივიზაციის ნებაყოფლობითი ხასიათში. მთელ მხარეში ერთი საყვედურიც კი არ შემოსულა გლეხებისგან იმის შესახებ, რომ მათ აიძულებენ შევიდნენ კოლექტივებში.

საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე პეტროვსკი ამბობს: „როცა ჩვენ ღირსეულ პასუხს ვაძლევთ კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს, ვხვრეტთ მის ბელადებს, თეთრგვარდიელები უცხოეთში განგაშს სტეხენ ჩვენი სიმკაცრის შესახებ, მაგრამ ამავე დროს თვით იმუქრებიან, რომ ამოჟლეტენ კომპარტიის ყველა ხელმძღვანელებს და ამას თვლიან „კულაკებისა და ცივილიზაციის" საქმედ.

შემდეგ კამათში გამოვიდნენ ამხ. ვინტერი, ვორონინი, სემიონენკო, ლავრინენკო, კარკლინი (ბელორუსია) და ლევკოვიჩი.

2 დეკემბერს ეროვნებათა საბჭოს დილის სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღო 17 კაცმა. ამხ. ფოკინამ, ივანოვმა, საფრონოვამ და ბელსკაიამ მიუთითეს ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში ტეხნიკური სასწავლებლების მოწყობის აუცილებლობაზე.

აფხაზეთის წარმომადგენელი ამხ. ჩანბა ამბობს, რომ უდიდესი საკავშირო მნიშვნელობის მქონე სუბტროპიკული კულტურების განვითარება აფხაზეთში შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ადგილობრივ —აფხაზეთში ან აჭარისტანში შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

კამათი გაგრძელდა საღამოს სხდომაზეც. (ადს).

ახალგ. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დახურვა

მოსკოვი, 3 დეკემბერი. დაიხურა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმი. საბოლოო სხდომაზე ც. კ.-ის მდივანმა ამხ. კოსარევმა გააკეთა მოხსენება ახ. ლ.კ.კ. მუშაობის შესახებ (ადს).

ბაქოს მუშების დახმარება „ლიუმანიტე"-ს

ბაქო, 3 დეკემბერი. ტარდიეს ფაშისტური მთავრობის და მუშათა მოძრაობის რენეგატების იმ საზიზღარი პროვოკაციის საპასუხოდ, რომელიც მიზნად „ლუმანიტე"-ს დახურვას ისახავს, გაზეთ „ენი ელ"-ის („ახალი გზა") თანამშრომლები და მუშკორები თანაგრძნობას უცხადებენ საფრანგეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს; მათ გადასდეს „ლუმანიტე"-ს სასარგებლოდ 57 მანეთი და მუშკორთა ერთი დღის ჰონორარი და გამოიწვიეს ბაქოს ყველა გაზეთები (ადს).

აზნავთის ხუთწლიანი გეგმა

ბაქო, 3 დეკემბერი. საუბარში ნავთის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს ნავთის მრეწველობის უფროსი დირექტორის მოადგილემ ამხ. კობილიანსკიმ განაცხადა: „ინდუსტრიალიზაციის არაჩვეულებრივმა ტემპმა და ახალი სატრაქტორო და საავტომობილო ქარხნების აგებამ გამოიწვია ნავთის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის გადიდება 26 მილიონი ტონით გასულ წელს და 40 მილიონი ტონით 1929—30 წელს. აზნავთმა ძალიან უნდა გაადიდოს ნავთის ამოღება. ბაქოს მუშებმა ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში უნდა შეასრულონ. ნავთსადენი ნავთის გადატანის ყველაზე სწრაფი საშუალებაა და ჩვენ მას გამოვიყენებთ რაც შეიძლება მეტად: ტუაპსე - გროზნოს ნავთსადგურის გამტარუნარიანობას ჩვენ ვადიდებთ ერთი მილიონი ტონიდან ორნახევარ მილიონ ტონამდე წელიწადში. აუცილებლად საჭირო იქნება ერთად-ერთი—მსოფლიოში უდიდესი ნავთსადენის გაყვანა კასპიის ზღვიდან მოსკოვამდე, 1.800 კილომეტრის მანძილზე. ამ ნავთსადენის გამტარუნარიანობა იქნება 2 მილიონი ტონა წელიწადში. გამოკვლევის სამუშაოები ნავთსადენის გასაყვანად უკვე მთავრდება.

აგრეთვე აუცილებლად უნდა გავიყვანოთ მეორე მძლავრი ნავთსადენი—ბაქოდან ბათომამდე, რომელსაც ექნება ორნახევარ მილიონ ტონის გამტარუნარიანობა. ეს ნავთსადენი დაჯდება 50 მილიონი მანეთი. ეს ნავთსადენი ჩვენ უნდა გავიყვანოთ არა უგვიანეს 15 თვისა და მშენებლობას უნდა შევუდგეთ 1930 წელს. ბაქო-ბათომის პირველი ნავთსადენის გამომკვლევმა კომისიამ დაათვალიერა გადასაქაჩი სადგური ხაშურში. მილების წყობა და მანქანების დადგმა მთავრდება. (ადს).

ტყვარჩელის სამუშაოთა უფროსი

მოსკოვი, 3 დეკემბერი. საკავშირო ს. მ. უ. საბჭომ ამხ. კუპერმანი დანიშნა ტყვარჩელის მშენებლობის უფროსის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად (ადს).

ამხ. რიკოვის მოხსენება

საკავშირო ცაკის სესიაზე

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამეურნეო მდგომარეობა

საერთაშორისო მდგომარეობა

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი

ამხანაგებო, ჩემი მოხსენების თემას წარმოადგენს—სახალხო მეურნეობის მომავალი 1929—30 წლის საკონტროლო ციფრები. ამ საკითხზე სამი მომხსენებელი ილაპარაკებს. მე გადმოგცემთ საკონტროლო ციფრების მხოლოდ უაღრესად ზოგადს, პრინციპიალურ ნაწილს.

მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს შინაურ პოლიტიკას და მომავალი წლის საკონტროლო ციფრებს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების გარეშე ვერ შევეხებით. ჩვენ სოციალისტურ საზოგადოებას ვქმნით კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. მთელი ჩვენი მუშაობა ისე ვერ იწარმოებს, რომ ერთგვარი ურთიერთობა არა გვქონდეს იმ ბურჟუაზიულ მსოფლიოსთან, რომელიც ჩვენს კავშირს გარს არტყია. ეს ურთიერთობა თავს იჩენს როგორც ჩვენი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ისე საგარეო ვაჭრობისა და იმ ტეხნიკური დახმარების საკითხებში, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ყველაზე უფრო განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, რათა სწრაფად განვახორციელოთ ხუთწლიანი გეგმა, საკონცესიო პოლიტიკა და სხვ.

ჩვენ მიერ გათვალისწინებული ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დროს გამოირკვა ჩვენი საგარეო ვაჭრობის ოპერაციების თვალსაჩინო ზრდისა და ჩვენი შინაური ბაზრის ტევადობის უდიდესი გაფართოების აუცილებლობა. ხუთწლედის პირველი წლის მუშაობის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ ნაკლები რაოდენობით გავითვალისწინეთ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შესაძლებლობანი და ამით ნაკლები რაოდენობით გავითვალისწინეთ ჩვენი საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების ტემპიც. როგორც ხუთწლიანი გეგმის შედგენის პერიოდში, ისე ახლა, მისი განხორციელების დროს, ჩვენ ვეყრდნობოდით და ვეყრდნობით იმ დებულებას, რომ გათვალისწინებული გეგმების განხორციელებისათვის საჭირო სახსრებს ჩვენ გვაძლევს თვით ჩვენი ქვეყანა. ხუთწლიანი გეგმის განხორციელება უზრუნველყოფილია ჩვენი შინაური რესურსებით.

საგარეო პოლიტიკის დარგში თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის ორ-სამ განსაკუთრებით საჭირბოროტო და აქტუალურ საკითხზე. მშვიდობიანობისათვის ბრძოლის თვალსაზრისით დიდ მღელვარებას იწვევს ის ამბავი, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს აღმოსავლეთ-ჩინეთის საზღვარზე. იქ ჩამოვარდნილია მწვავე კონფლიქტი, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან გაჭიანურდა. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება, ძალადობა საბჭოთა მოქალაქეების მიმართ ჩინეთის ტერიტორიაზე და ჩვენი შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის მოქმედების ლიკვიდაცია ნათლად ადასტურებენ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ომის პროვოკაციასთან. ყოველი სახელმწიფო, ჩვენს გარდა, ჩინეთის მთავრობის ასეთ მოქმედებაზე დაუყოვნებლივ უპასუხებდა საომარი მოქმედების დაწყებით. მე სრულებით არ მსურს და არც შემიძლია, რომ პროვოკაციული საქციელი ჩინეთის ხალხს დავაბრალო. ჩინელი ხალხი იყო და არის იმპერიალიზმის მიერ ერთ-ერთი დაჩაგრული ერი და რასაკვირველია, ჩინელი ხალხის ინტერესს არ შეადგენს, რომ იგი იმპერიალისტების ხელში იარაღს წარმოადგენდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩინელი ხალხი დღევანდლამდე განაგრძობს ბრძოლას ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. მაგრამ ისტორიის თავისებურმა ირონიამ იმაში იჩინა თავი, რომ ამ დაჩაგრული ხალხის მთავრობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ომის პროპაგანდის დამწყებად გამოვიდა და იარაღად გადაიქცა იმპერიალისტების ხელში. ეს ფაქტი გვიჩვენებს, თუ რამდენად მოხერხებულად იყენებენ იმპერიალისტური ძალები ყველა იმ საძლებლობას ჩვენს წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში. ამ შემთხვევაში მათ მოახერხეს, რომ ჩინეთის ენერგია მიემართათ იმ გზით, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება მთელი ჩინელი ხალხის ინტერესებს. გაზეთებიდან გეცოდინებათ, რომ უკანასკნელ დროს ჩვენ იძულებული ვიყავით ჩინეთის ტერიტორიაზე ერთგვარი სამხედრო ოპერაციები მოგვეხდინა. სრულიად კატეგორიულად უნდა განვუცხადო საბჭოთა კავშირის ცაკის სესიას, რომ ყველა ჩვენი სამხედრო მოქმედება ჩინეთის საზღვარზე, სხვათა შორის უკანასკნელი სამხედრო ოპერაციებიც, ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება იმ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ ჩინეთის მიმართ.

უკანასკნელი ჩვენი მოქმედებანი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ჩინეთის მთავრობა არ დასჯერდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებას, ჩვენი დაწესებულებების დარბევას ჩინეთის ტერიტორიაზე და ჩვენი მოქალაქეების დევნა-შევიწროებას; იგი განუწყვეტლივ აგროვებდა ჯარებს საბჭოთა კავშირის საზღვრებზე და სისტემატიურად გადმოჰყავდა ჩვენს საზღვარზე თეთრგვარდიელთა ბანდები, აგრეთვე ცალკე სამხედრო ნაწილები. არა მარტო ჩვენს სანაპირო რაზმებს, არამედ საზღვრის გაყოლებაზე მცხოვრებს ჩვენს მშვიდობიან მოსახლეობასაც ისინი მუდამ სროლას უტეხდნენ. მდინარე სუნგარით ამურში ნაღმებს უშვებდნენ და ეს ნაღმები [illegible] სპობდნენ ნაოსნობას. როგორც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდების შემდეგ, ისე მანამდე, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩვენ არაჩვეულებრივ მოთმინებას ვიჩენდით ყველა იმ ძალადობის მიუხედავად, რომელსაც ჩინეთის ტერიტორიაზე მიმართავდნენ ჩვენი დაწესებულებებისა და ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ. მოწინააღმდეგის კადნიერება და მისი პროვოკაცია სისტემატიურად იზრდებოდა. ამიტომ ბლიუხერის არმია, მისი ზოგიერთი რაზმების სახით, იძულებული იყო განეხორციელებინა ჩინეთის ტერიტორიაზე ღონისძიებათა საჭირო მინიმუმი იმ ბუდეების სალიკვიდაციოთ, საიდანაც აწარმოებდნენ შეიარაღებულ თავდასხმას ჩვენს ტერიტორიაზე და სროლას ჩვენი საზღვრის მიმართულებით. მე სრულიად კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ამ მოქმედებას, თავდაცვის გარდა, სხვა არავითარი მიზნები არა ჰქონდა, ჩვენ მიზნად არ ვისახავდით და არც ვისახავთ, რომ ჩინეთის ტერიტორიის თუნდაც ერთი მეტრი ადგილი დავიპყროთ. ჩვენ ამ ნაბიჯების გადადგმა გვაიძულა მხოლოდ და მხოლოდ იმ პროვოკაციის სისტემამ, რომელიც სწარმოებდა საზღვრის გადაღმა.

გაზეთებიდან გეცოდინებათ, რომ ამ დღეებში მუკდენის მთავრობისაგან წინადადება მივიღეთ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შესახებ იმ წინადადებათა საფუძველზე, რომლებსაც ჩვენ ყოველთვის ვაძლევდით; ეს პირობებია: აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელსაც ითვალისწინებენ პეკინსა და მუკდენში 1924 წელს დადებული ხელშეკრულებანი, აგრეთვე რკინის გზაზე ჩვენი მმართველისა და [illegible] თანაშემწის დაუყოვნებლივ დანიშვნა ამ ხელშეკრულებათა თანახმად. ეს გვიდასტურებს, რომ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გადაჭრა შეიძლება მიღწეულ იქნას უახლოეს ხანში.

მე ვამბობ,—შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება და მეშინია ვიხმარო უფრო გაბედული გამოთქმა იმიტომ, რომ ასეთი წინადადებები ჩვენ წინეთაც გვქონდა, მაგრამ ეს წინადადებები ყოველნაირი საბაბით უკანვე მიჰქონდათ და მით სპობდნენ ნანკინის მთავრობასთან ჩამოვარდნილი კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებას. წარსულ დროთა გამოცდილება, ისე როგორც ახლანდელი მომენტიც, გვიჩვენებს, რომ ჩვენსა და ჩინეთს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკების შანსების ზრდასთან ერთად, უცხოეთის პრესაში იწყებოდა აგიტაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ვრცელდებოდა ყოველნაირი ცნობები სახელმწიფოთა ფარული მოლაპარაკების, აგრეთვე შუამავლობის შესახებ. ეს ორი მომენტი სისტემატიურად და მუდამ ერთმანეთს ხვდებოდნენ. მე არ მახსოვს, რომ რომელიმე სახელმწიფოს, ხელის შეშლის მიზნით, მოესურვებინოს საქმეში ჩარევა იმ პერიოდში, როდესაც ჩინეთის ხელისუფლება ეპატრონებოდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას. მაგრამ ბევრი მათგანი ახლა უკვე არ არის წინააღმდეგი საქმეში ჩაერიოს და მოძალადეთა დახმარების საბაბით თვითონ მოითბოს ხელი.

ამას წინად უცხოეთის პრესაში ისევ დაიბეჭდა წერილები იმაზე, რომ არის ლაპარაკი შუამდგომლობის შესახებ ჩვენსა და ჩინეთს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ ისევ სურთ გააჭიანურონ კონფლიქტი და ჩაშალონ სამშვიდობო მოლაპარაკება. ჩვენ არ დავუშვებთ არავითარ შუამავლობას ჩვენსა და ჩინეთს შორის მოლაპარაკებაში.

მართლაც იმ ნოტაში, რომელიც ჩვენ დღეს ჩაგვაბარეს და რომლის შინაარსი დღევანდელ დღეზე ბევრად ადრე იყო ცნობილი მთელი მსოფლიო პრესისათვის (ნოტა დათარიღებულია 14 ნოემბრით), ნანკინი წინადადებას გვაძლევს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გადაწყვეტა გადავსცეთ რომელიმე მესამე მხარეს. 14 ნოემბრით დათარიღებული ნოტის მხოლოდ ახლა გამოყენება, როდესაც ჩვენ უკვე უშუალო მოლაპარაკებას ვაწარმოებთ მუკდენთან, და უკვე კატეგორიული განცხადება გვაქვს იმის შესახებ, რომ ამ მოლაპარაკებათა ბაზა, ე. ი. ჩვენ მიერ წამოყენებული პირობები, მიღებულია—ამტკიცებს სამშვიდობო მოლაპარაკების ჩაშლის ახალ ცდას.

როდესაც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის უკანასკნელი ამბების შესახებ ვლაპარაკობთ, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ ჩინეთის მთავრობის ჯიუტობაზე, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა იმას, რომ ჩინეთის სამხედრო წრეები გაეცნენ ჩვენი არმიის ძლიერებას. წითელი არმია საზღვარგარეთ წარმოდგენილი ჰყავდათ ისე, რომ იგი არ არის საშიში, მოკლებულია ბრძოლის უნარს და სხვა.

უკანასკნელი, შედარებით პატარა, ოპერაციების დროს წითელმა არმიამ იმდენად ნათლად დაამტკიცა საბჭოთა იარაღის უპირატესობა, რომ ყველა ჩან კაი-შები უნდა დარწმუნდნენ, რომ, თუ ჩვენ არ ვომობთ ჩინეთთან, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ არ შეგვიძლია ომი, არამედ იმიტომ, რომ არ გვსურს იგი (ხანგრძლივი მქუხარე ტაში). გარდა ამისა, მთელი საზღვარგარეთის პრესა ამჟამად იძულებულია აღიაროს, რომ ჩვენმა არმიამ სრულიად განსაკუთრებული ორგანიზაციული ღირსებები გამოიჩინა, სრულიად განსაკუთრებული თავდაჭერილობა და განსაკუთრებული ფრთხილი მოპყრობა გამოიჩინა იმ ჩინელი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, რომელთანაც მას მოუხდა შეხვედრა უკანასკნელი ოპერაციების დროს.

ურთიერთობა ინგლისთან

ჩვენი კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მეორე ფრონტი ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინად დაკავშირებული იყო ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ცდებთან—მოეწყო ჩვენს წინააღმდეგ ბურჟუაზიული სახელმწიფოების ბლოკი. ამ ცდების შესახებ, რომელთა მიზანი იყო ჩავეყენებინეთ ეკონომიური ბოიკოტის პირობებში, აგრეთვე საერთაშორისო ცხოვრების სხვა ანალოგიური მოვლენების შესახებ მე დაწვრილებითი მოხსენება გავაკეთე საბჭოების უკანასკნელ ყრილობაზე. კონსერვატორების ნაცვლად, რომლებიც ყველა ამ ღონისძიებათა ორგანიზატორები იყვნენ, ინგლისში ძალაუფლებას დაეპატრონა მაკდონალდის მთავრობა. ის ფაქტი, რომ კონსერვატორები დამარცხდნენ 1929 წლის არჩევნებში, მათი საგარეო და საშინაო პოლიტიკის დამარცხების შედეგი იყო. არც ერთი ის პრობლემა, რომლებიც კონსერვატორებმა თავიანთი 1924 წლის გამარჯვების მომენტში წამოაყენეს, მათი 1929 წლის დაცემის მომენტში გადაჭრილი არ იყო: არც ინგლისის ექსპორტის პრობლემა, არც ინგლისის მრეწველობის ორგანიზაციის, არც უმუშევრობის, არც კოლონიებთან ურთიერთობის და, დასასრულ, არც სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან და, პირველ რიგში, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის პრობლემა. ხელისუფლების „მუშათა" პარტიის მთავრობის ხელში გადასვლა იმას ამტკიცებს, რომ კონსერვატორების პოლიტიკა სავსებით დამარცხდა. მე არ შევუდგები ახალი მთავრობის პროგრამის ანალიზს. ეს პროგრამა ბევრით არ განსხვავდება ძველისაგან. ამისდა მიუხედავად, მაკდონალდის მთავრობამ აღიარა, რომ ინგლისის ინტერესები მოითხოვენ ჩვენთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას.

ინგლისის სახით ჩვენ საქმე გვაქვს კაპიტალისტური მსოფლიოს ერთ უძლიერეს ქვეყანასთან, თუმცა მან დღემდე ჯერ კიდევ ვერ შესძლო თავისი მეურნეობა ომის წინა დროინდელ განვითარებამდე მიეყვანა. ეს უკანასკნელი გარემოება გვიჩვენებს იმ ნამდვილი, და არა მოგონილი, კრიზისის სიღრმეს, რომელშიაც ინგლისი იმყოფება.

ეკონომიური კრიზისი ამერიკაში

წარსულ წელს ჩვენს კავშირს ეწვია სამრეწველო ინგლისის წარმომადგენლები სპეციალური დელეგაციის სახით. ამხ. პიატაკოვმა

(გაგრძელება იხილე მე-2 გვერდზე)

კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმისაგან

მოსკოვი, 3 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი იუწყება: თანახმად კომინტერნის აღმასკომის მეათე პლენუმის მიერ საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ მიღებული რეზოლიუციისა და თანახმად კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის 1928 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებისა, ბრანდლერის ორგანიზაციის წევრებს არ შეუძლიათ ერიცხებოდნენ კომუნისტური ინტერნაციონალის წევრებად. ამის გამო კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი აცხადებს, რომ ბრანდლერის მომხრე პრესაში მონაწილეობით და ბრანდლერის ორგანიზაციის მხარის დაჭერით როიმ თავისი თავი კომუნისტური ინტერნაციონალის რიგების გარეშე დააყენა და ამიტომ კომინტერნის რიგებიდან გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. (ადს).

ბიბლიოთეკა

ამხ. რიკოვის მოხსენება

ამ დელეგაციამ გაიცნო იმ ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარების შესაძლებლობა, რომლებიც ხუთწლიანი გეგმის განხორციელებასთან არიან დაკავშირებული. ახლა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შესაძლებლობანი კიდევ უფრო მეტად გაიზარდნენ, რადგან ხუთწლიანი გეგმა ბევრად უფრო მოკლე ვადაში ხორციელდება, ვიდრე ეს ჩვენ გვეგონა მაშინ, როდესაც მას ვადგენდით. სრულიად აშკარაა, რომ ჩვენი მეურნეობის და ჩვენი ბაზრის სწრაფი ზრდა უზრუნველჰყოფს ჩვენს სახელმწიფოსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიურ ურთიერთობათა ზრდის უდიდეს შესაძლებლობას. ამ მხრივ მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო შემდეგ გარემოებას. ბურჟუაზიული გაზეთები წლიდან წლობით სწერენ იმაზე, რომ მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოში ყველაფერი რიგზეა, ხოლო საბჭოთა კავშირში ყველაფერი ცუდად მიდის, და აი 12 წლის განმავლობაში ისინი ყოველ წლიურად წინასწარმეტყველებენ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის კრიზისს. თუმცა საკვირველია, მაგრამ ასეთ წინასწარმეტყველებასთან ჩვენ საქმე გვაქვს წელსაც, როდესაც კაპიტალისტური მეურნეობა მწვავე დაბრკოლებებს განიცდის. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარმა კრიზისმა რომელმაც ამერიკის ბაზარზე იჩინა თავი, გავლენა მოახდინა, თითქმის, ყველა კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიულ მეურნეობაზე. ეს კრიზისი მოხდა იმ ქვეყანაში, რომელიც ამჟამად კაპიტალიზმის ჰეგემონად ითვლება. ამერიკის კაპიტალიზმი ყველაზე უფრო ჯანსაღი და ყველაზე უფრო მონოპოლისტურია. აქ ყველაზე მრავლად მოიპოება მსოფლიო ხასიათის ან, ყოველ შემთხვევაში, სრულიად ამერიკის ხასიათის გაერთიანებანი, რომლებიც კაპიტალიზმის თვალსაზრისით, ბურჟუაზიული მეურნეობის ორგანიზაციის ყველაზე უძლიერეს და ყველაზე საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთის მხრით უაღრეს ხარისხამდეა მიყვანილი საწარმოო საშუალებათა მონოპოლიზაცია რამდენიმე ტრესტის ხელში. ასე, მაგალითად, ამჟამად სპილენძის მთელი მსოფლიო პროდუქციის 90-დე პროცენტს კონტროლს უწევს სპილენძის კარტელი, რომელიც 1926 წელს დაარსდა და რომელშიც ჰეგემონია ამერიკის კაპიტალს ეკუთვნის. მეორეს მხრით, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს ბანკების ამერიკული ფედერალური სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს ფულის ბრუნვაში გეგმიანობის შეტანას და მთელი ხელმძღვანელობის გაწევას. 1928 წლის განმავლობაში მოხდა 700-მდე ბანკის გაერთიანება. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ორმოცი საბანკო გაერთიანების აქტივს შეადგენს 12 მილიარდზე მეტი დოლარი, ე. ი. მთელი სახელმწიფოს ყველა საბანკო რესურსების ერთ მეექვსედ ნაწილზე მეტი. ამისდამიუხედავად, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიზისმა იფეთქა, და, როგორც ამერიკის გაზეთები იუწყებიან, წარსულში ამ კრიზისს თავისი მნიშვნელობით მხოლოდ ის კრახი თუ შეედრებოდა, რომელიც 1914 წლის მსოფლიო ომის დროს იყო. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთი ქვეყნის კრიზისთან, სადაც პროფკავშირებიც კი ოცნებობენ ტრესტების ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ „იმპერიალისტურ იდილიაზე". არსად არ არის ისე ძლიერ გავრცელებული, როგორც ამერიკაში, კაპიტალიზმის მშვიდობიანი ევოლიუციის, მისი დემოკრატიული გარდაქმნის, უკრიზისო განვითარების, კლასთა თანამშრომლობის, კაპიტალისტურ საწარმოების აქციონერი—მუშების და სხვათა შესახებ მოჩმახული მავნე იდეა, ეს კრიზისი გვიჩვენებს, რომ კაპიტალიზმის ორგანიული დაავადება სწრაფად ვითარდება. ეს დაავადება უცილობლად გამომდინარეობს თვით კაპიტალიზმის საფუძვლებიდან: საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებიდან, მისი ანარქიული ხასიათისაგან, იმ წინააღმდეგობათაგან, რომელიც არსებობს საწარმოო ძალთა განვითარების შესაძლებლობებსა და კაპიტალის ექსპლოატაციის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მასების მოხმარების შორის და სხვა. ვერავითარი ტრესტები, კარტელები, და სინდიკატები ვერ იხსნიან კაპიტალისტურ სისტემას მისი დაავადებისაგან, ვერ იხსნიან მას აუცილებელი აღსასრულისაგან.

თუ ერთმანეთს დაუპირისპირებთ ჩვენი შეუჩერებელი განვითარების ტემპს და საკონტროლო ციფრებს, რომლებსაც თქვენ ამ სესიაზე განიხილავთ, და იმას, რაც ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს გადაღმა ხდება, მივიღებთ ორი მოწინააღმდეგე სისტემის ნათელ სურათს. იქ კრიზისს იწვევს ზედმეტი საქონლის წარმოება, ჩვენ კი განვიცდით საქონლის ნაკლებობას და მთელ რიგ დაბრკოლებებს, რომლებიც აქედან გამომდინარეობენ. ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ მანქანების მოთხოვნილების იმ ზრდას, რომელიც ჩვენში ყოველწლიურად და განსაკუთრებული ძლიერებით მატულობს, ვერ ვაკმაყოფილებთ მიუხედავათ იმისა, რომ არც ერთ ქვეყანას არა აქვს მიღწეული განვითარების ისეთი ტემპი, როგორც ჩვენ. ჩვენ წინ გვედობება ორი სრულიად საწინააღმდეგო და სრულიად სხვადასხვა ტიპის სიძნელე. იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, სიძნელეები გამომდინარეობენ ზედმეტი საქონლის დამზადებისაგან და იმისაგან, რომ ექსპლოატაციის ქვეშ მყოფ მოსახლეობას არ შესწევს საშუალება შეიძინოს დამზადებული საქონელი. ჩვენი განვითარების სიძნელეები კი გამომდინარეობენ ჩვენი მთელი წარმოების არა საკმაო ზრდისაგან და იმისაგან, რომ არ გვაქვს საშუალება მოკლე დროში დავაკმაყოფილოთ ჩვენი ბაზრის მოთხოვნილებანი.

ჩვენი საკონცესიო პოლიტიკა

კიდევ რამდენიმე სიტყვა, ერთი საკითხის შესახებ, სახელდობრ—ჩვენი საკონცესიო პოლიტიკის შესახებ. ამ პოლიტიკაზედაც დიდი ლაპარაკია ბურჟუაზიულ გაზეთებში. ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის ზრდის გამო, საკონცესიო საწარმოების ხვედრითი წონა სწრაფად ეცემა. ამჟამად საკონცესიო პროდუქციის რაოდენობა ერთ პროცენტსაც კი არ უდრის. მე არ მსურს ოდნავადაც დავფარო ის გარემოებაც, რომ კონცესიონერთა ერთმა ნაწილმა ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდაცია უყო თავის საწარმოებს. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ გაძლიერდა ჩვენი ურთიერთობა ბურჟუაზიულ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ხაზით და, მაგალითად, ისეთი ხაზით, როგორიცაა ტექნიკური დახმარება, რომელზედაც წელს ჩვენ რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს ვხარჯავთ.

რაც შეეხება ლიკვიდაციაქმნილ კონცესიებს, უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ მათს ლიკვიდაციაში ოდნავადაც არ ვგრძნობთ თავს დამნაშავედ. ჩვენ თანახმა ვართ შემდეგშიც გავსცეთ კონცესიები, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ კონცესია კონცესიას უნდა ჰგავდეს, ე. ი. რომ ისინი უნდა მუშაობდნენ თავიანთი, და არა ჩვენი, ფულით. ჩვენი საკონცესიო პოლიტიკით გვსურს მივიზიდოთ საკონცესიო კაპიტალი და არა კაპიტალისტები, როგორც ვითომ ჩვენთვის სასიამოვნო ხალხი. კაპიტალისტები თავის თავად ჩვენ სრულებით არ გვჭირია (ტაში). როდესაც ჩვენში მოდიან კაპიტალისტები და ჩვენი ფულებით სურთ მუშაობა, ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ ეს ის არ არის, რაც ჩვენ გვინდა, არამედ არის სრულიად საწინააღმდეგო (სიცილი). მეორე,—კონცესიები ჩვენს ქვეყანაში—ეს კოლონიალური ქვეყნის კონცესიები როდია, ე. ი. კონცესიონერებს არ შეუძლიათ, როგორც მუშები ამბობენ, „სძარცვონ", აქ ჩვენი პარლამენტის—ცაკის სესია და უფრო თავაზიანად ვიტყვი: კონცესიონერთა მოგებასაც, ამ მოგების საზღვარგარეთ გატანასაც და ვალიუტასაც ერთნაირი საზღვარი უნდა ჰქონდეს დადებული. ჩვენ კარგად გვესმის, რომ თუ უცხო კაპიტალი ჩვენს ქვეყანაში მოდის, მან, რა თქმა უნდა, მეტი უნდა მოიგოს, ვიდრე თავის ქვეყანაში. ამის წინააღმდეგ ჩვენ არას ვამბობთ. კონცესიონერს ჩვენში მეტი მოგება ექნება, ვიდრე ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მაგრამ იგი არ იქნება უსაზღვრო. მესამე,—კონცესიის მონაწილეები ოდნავადაც არ უნდა გამომდინარეობდნენ იმ ილიუზიებიდან, რომ საბჭოთა კავშირში, ისევ დაბრუნდებიან კერძო მესაკუთრეები და რომ ჩვენს მეურნეობაში როდისმე კიდევ გაბატონდება კერძო საკუთრება, ისინი არ უნდა გამომდინარეობდნენ იმ ილიუზიებიდან, რომ ჩვენში შესაძლებელია კაპიტალიზმის რესტავრაცია, არ უნდა გვაძლევდნენ თავიანთი ყოფაქცევით იმის საბაბს, რომ საყვედური ვუთხრათ მათ ამ მხრივ. მოკლედ: იმუშავე საკუთარი ფულით, ნუ სძარცვავ და ნუ ეწევი კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას, აი რა პირობებს ვუყენებთ ჩვენ კონცესიონერებს. (ტაში).

ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა

ამხ. რიკოვმა ციფრების შემწეობით გაკვრით დაახასიათა ზოგიერთი მხარე სოციალისტური მშენებლობის იმ უდიდესი გეგმისა, რომელიც სახ. კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად შეაქვს კავშირის ცაკის სესიაზე, და სთქვა:

„მე ვფიქრობ, რომ ჩემ მიერ მოყვანილი ციფრები ნათლად გვიჩვენებენ იმ წინააღმდეგობათა უსაფუძვლობას, რომლებსაც სახ. კომისართა საბჭოში გამოსთქვამდნენ ადგილების ზოგიერთი წარმომადგენლები: ბიუჯეტის დამუშავების დროს კანონის ესა თუ ის მხარე დაცული არ იყო და ადგილობრივი ორგანოების ვიწრო ინტერესები ზოგიერთ რამეში შეილახაო. ჩვენ მრეწველობის ზოგიერთი დარგების გეგმებს, 5 წლის ნაცვლად, 3 წელიწადში ვანხორციელებთ, სოფლის კოლექტივიზაციას კი ამ ზომით, როგორც ეს გათვალისწინებული ჰქონდა სახელმწ. საგეგმო კომისიას ხუთწლედის დამლევისათვის, ალბად, მიმდინარე წელს განვახორციელებთ. ასეთი ბუმბერაზული მასშტაბით სამეურნეო ამოცანების განხორციელება ისე, რომ ჩვენი საბიუჯეტო კანონების არც ერთი მხარე არ დაზიანდეს, შეუძლებელია, და მე ამის შესრულებას ვერ დაგპირდებით.

ამ სამეურნეო გეგმის წარმატებით განხორციელება, ყველა წინანდელ წლებთან შედარებით, უდიდეს გარდატეხას გულისხმობს ჩვენი ქვეყნის მთელ ეკონომიკაში და კლასობრივ ურთიერთობაში სოციალიზმის სასარგებლოდ. ეს საქმე ღირსია იმისა, რომ შევაწიროთ ჩვენი საფინანსო კანონმდებლობის ზოგიერთი სიტყვა და წინადადება. ამ გეგმაში მთავარი როლი მთლიანად და სავსებით რჩება ინდუსტრიას, კერძოდ, მძიმე ინდუსტრიას".

პროდუქციის ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს

შემდეგ ამხ. რიკოვი ახასიათებს საწარმოო საშუალებათა დამზადების უდიდეს ზრდას და აღნიშნავს, რომ ასეთი ვარაუდების მიღება ინდუსტრიის დარგში მხოლოდ იმიტომ შევძელით, რომ განვლილმა წელმა მოგვცა, თუმცა არასრულად სამაგ, მაგრამ მაინც თვალსაჩინო შედეგები მუშაობის მთავარ მომენტზე, სახელდობრ— შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების მხრით. ამხ. რიკოვი განვლილი წლის ერთ-ერთ უარყოფით შედეგად სთვლის იმას, რომ პროდუქციის ხარისხი მრეწველობის ზოგიერთ დარგში საკმაოდ მკვეთრად დაეცა.

„მე სრულიად გადაჭრით უნდა განვაცხადო,— ამბობს შემდეგ ამხ. რიკოვი,— რომ მიმდინარე წელს ჩვენ არა თუ არ შევიწყნარებთ პროდუქციის ხარისხის შემდგომ დაცემას, არამედ საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მთლიანად შევასრულოთ დავალებანი თვითღირებულების შემცირების და შრომის ნაყოფიერების გადიდების მხრით და ამავე დროს აუცილებლად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. პროდუქციის ხარისხის საკითხს უდიდესი სახალხო -სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ახალ მშენებლობაში. არის ისეთი მაგალითები, რომლებიც სრული მიბაძვის ღირსია; აი თუნდა „დნეპროსტროი"-ს მშენებლობა, სადაც ბეტონის სამუშაოებში ჩვენ მივაღწიეთ უდიდეს წარმატებას, რომელიც ამერიკელთა მუშაობას არ ჩამოუვარდება, ან სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის აგება, ან თურქესტან-ციმბირის რკინის გზის მაგისტრალის გაყვანა. ყოველივე ეს მაღალი ტექნიკის, მშენებლობის დიდი ტემპის ბრწყინვალე მაჩვენებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი მხოლოდ ცალკე ნათელი წერტილებია ჩვენი მშენებლობის საერთო მუქ ფონზე.

ბიუჯეტის განმტკიცების გზები

შემდეგ ამხ. რიკოვი. შეეხო საბიუჯეტო პროექტებს და შეჩერდა იმ განსაკუთრებულ ზომებზე, რომლების მიღებაც საჭირო გახდა შემოსავლის გადიდებისათვის მიმდინარე წლის სამეურნეო და სოციალ- კულტურული მშენებლობის უზრუნველსაყოფად. სულ საბიუჯეტო რესურსების დამატებითი ზრდა გამოიხატა დაახლოებით მილიარდ ნახევარი მანეთით. ბიუჯეტის ამ ნაწილის შესრულება ყველაზე მეტ მეცადინეობას მოითხოვს, მეტადრე ადგილობრივი ორგანიზაციების მხრით, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ სახსრების დროზე მოგროვება ადგილობრივი მრეწველობის და კოოპერაციის მოგებათა ხარჯზე. ეს ძნელი მუშაობაა. „მაგრამ,— ამბობს ამხ. რიკოვი,— აქ ერთი უნდა ამოვირჩიოთ: ან ის საკონტროლო ციფრები და მეურნეობის ის ზრდა, რომლებზედაც მე თქვენ მოგითხრეთ, და მაშინ ერთგვარ დამატებითი დაჭიმვას ექნება ადგილი, ან უფრო „წყნარი" მუშაობა და მაშინ ჩვენ არ გვექნება სამეურნეო განვითარების ასეთი სწრაფი ტემპი. ჩვენ პირველი გზა ავირჩიეთ და საჭიროდ ჩავთვალეთ ყველა რესურსების მობილიზაცია, მოსახლეობისათვის სახსრების ნაწილის ჩამორთმევაც კი გადიდებული ფასების საშუალებით. ფასების გადიდება არ უნდა შეეხოს საბჭოთა კავშირის მშრომელ მოსახლეობას, არ უნდა შეეხოს იმ მოსახლეობას, რომლის მომარაგება მოწესრიგებულია და რომელიც საქონელს მიიღებს უფრო იაფად, ვიდრე შარშან. მაშასადამე, ფასების გადიდება არსებითად შეეხება მოსახლეობის ნეპმანურ ფენებს და მომხმარებელთა უფრო შეძლებულ წრეებს.

მიუხედავად იმ გულდასმითი მუშაობისა, რომელიც სახკომსაბჭომ გასწია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის დამატებითი წყაროების ძებნის ირგვლივ, საბიუჯეტო კომისიამ მაინც გამოძებნა დამატებითი სახსრები 200 მილიონ მანეთზე მეტი რაოდენობით. საბიუჯეტო კომისიამ მეტად სასარგებლო მუშაობა ჩაატარა, და დამატებით სახსრების გამოყენების ის პროექტი, რომელიც კომისიას ეკუთვნის, ჩემის აზრით, სავსებით შეეფერება 1929—30 წლის საკონტროლო ციფრების სისტემაში დასახულ ძირითად ამოცანებს".

განსაზოგადოებული სექტორის როლი

შემდეგ ამხ. რიკოვი შეეხო ეკონომიკის იმ ხარისხობრივ ცვლილებებს, რომლებიც უნდა მოჰყვენ სამეურნეო გეგმის განხორციელებას 1929—30 წლის საკონტროლო ციფრების საფუძველზე. მან აღნიშნა, რომ, საკონტროლო ციფრების მიხედვით, ცენზიანი მრეწველობის მთელი პროდუქციის საერთო ფასი უდრის 22 ნახევარ მილიარდ მანეთს, ნაცვლად 1927—28 წლის 14 ნახევარი მილიარდი მანეთისა. ზრდა უდრის 60 პროცენტს. სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიაღწევს 15 მილიარდ მანეთზე მეტს, ნაცვლად 1927—28 წლის 14 ნახევარი მილიარდისა. ამრიგად, უპირატესად იზრდება მრეწველობის ყველაზე მეტად მოწესრიგებული სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა. შემდეგ, სოფლის მეურნეობაში გაჩნდა და უდიდესი სისწრაფით იზრდება განსაზოგადოებული სექტორი, რომელსაც უფრო და უფრო გადამწყვეტი როლი ეთმობა მთელი სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

„თუ 1925—26 წელს,—ამბობს ამხ. რიკოვი,—სახელმწიფო და კოოპერატიული მეურნეობის წილად მოდიოდა მთელი იმ ნაწარმოების მხოლოდ 35 პროცენტი, რომელიც ჩვენ ქვეყანაში დამზადდა, 1929—30 წელს ისინი დაამზადებენ 51 პროცენტს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, საბჭოთა კავშირის ყველა სექტორების დამზადებული მთელი ნაწარმოების უმეტეს ნაწილს უკვე განსაზოგადოებული სექტორი მოგვცემს.

საკავშირო მიწსახკომის დაარსება გადაუდებელი ამოცანაა

აღნიშნულ ცვლილებებს, რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ არ გამოიწვიონ უდიდესი გადანაცვლება კლასობრივ ძალთა განწყობილებაში. თუ ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ევოლიუციას განვიხილავთ მას შემდეგ, რაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა იქნა შემოღებული, სოციალისტური მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ურთიერთობაში შეიძლება შემდეგი სამი სტადია აღინიშნოს. ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში ქალაქისა და სოფლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კავშირი მყარდებოდა ვაჭრობის ფორმით, რომელიც შედარებით სუსტად იყო მოწესრიგებული. ამ ვაჭრობაში სოფლის მეურნეობის მხრით გამოდიოდა დაქსაქსული მწარმოებელი გლეხი, გლეხის მეურნეობა. მეორე სტადიას ახასიათებდა საქონლის ბრუნვის საგრძნობი ნაწილის მოქცევა კოოპერაციის ხელში და გლეხთა მარტივი საწარმოო გაერთიანებათა განვითარება (უმთავრესად სასოფლო სამეურნეო წარმოების სპეციალური დარგების ხაზით). მესამე სტადია, რომელშიც ჩვენ ამჟამად გადავედით, არის კოლექტიური მეურნეობათა, სატრაქტორო სადგურების, სატრაქტორო კოლონების, საბჭოთა მეურნეობების, კონტრაქტაციის პერიოდი. მთელი სოფლის მეურნეობის თანდათანი სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდი.

„საკავშირო მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის შექმნის საჭიროება,—ამბობს შემდეგ ამხ. რიკოვი—იქიდან გამომდინარეობს, რომ ახლა მიწადმოქმედების მიმართ პირველად შეგვიძლია გამოვიყენოთ და ვიყენებთ კიდეც დაგეგმვის ისეთ მეთოდებს, რომლებიც წინად მხოლოდ მრეწველობის მიმართ იყო შესაძლებელი".

შემდეგ ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ გლეხობა ყველგან მასიურად მიისწრაფვის გადავიდეს ჩამორჩენილი, წვრილი, მცირენაყოფიერი და ინდივიდუალური მეურნეობიდან ისეთ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე, რომელიც განვითარებულ მანქანურ ტექნიკას ემყარება. „აი ამ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის გარდატეხაში,—ამბობს ამხ. რიკოვი,—რომელიც სოფელმა განიცადა, და იმაში, რომ აჩქარებული ნაბიჯით მივდივართ მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალ-პროგრესიული ტექნიკური ხაზის შექმნისაკენ, მდგომარეობს იმის საწინდარი, რომ ჩვენ უმოკლეს ვადაში დავსძლევთ იმ დაბრკოლებებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის ზრდის დიდ ჩამორჩენასთან არიან დაკავშირებულნი.

კოლმეურნეობრივი მოძრაობა ამჟამად განვითარების ისეთ ტემპებზე გადავიდა, რომლებიც აღემატებიან მანქანების მიწოდების ჩვენ შესაძლებლობას. იქიდან, რომ ტექნიკის ზრდა ჩამორჩება კოლმეურნეობრივი მოძრაობის ზრდას, უნდა გამოვიყვანოთ ერთი დასკვნა: მთელი ძალ-ღონე მივმართოთ სატრაქტორო ქარხნების, კომბაინების ქარხნების და სხვათა მშენებლობის გაძლიერებისაკენ. სანამ ჩვენი ახლად აგებული ქარხნები ჩვენთვის საჭირო ტრაქტორებისა და კომბაინების დიდი რაოდენობით გამოშვებას დაიწყებენ. ჩვენ მოგვიხდება ტრაქტორების მიწოდების საქმეში მივმართოთ იმპორტს. იმპორტის გადიდება კი კოლმეურნეობის თვითეული მუშაკის წინაშე სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ მან ყოველმხრივ დახმარება აღმოუჩინოს სახელმწიფოს ექსპორტის გაფართოების საქმეში. კოლმეურნეობის ყოველი მუშაკისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ თუ მას სურს მალე მიიღოს მისი კოლექტიური მეურნეობისათვის საჭირო ტრაქტორი ან კომბაინი, მან დახმარება უნდა გაუწიოს სახელმწიფოს საექსპორტო ფონდის შექმნაში. ჩვენ ცოტა სიძნელეს არ განვიცდით ჩვენი ინდუსტრიის არა საკმაო განვითარების მიზეზით, და სწორედ ამიტომ წინადადება შეგვაქვს სესიაში, რათა მან მეტი სახსრები გადადოს ინდუსტრიალიზაციის განვითარების საქმისათვის.

პურის დამზადების სიძნელეთა გადალახვის გზით

„მე ვფიქრობ,—ამბობს ამხ. რიკოვი,—რომ წელს ეს შესაძლებელია, რადგან ამ საქმეში გლეხები ბევრად მეტ დახმარებას აღმოგვიჩენს, ვიდრე წინად, ცაკის წარსული სესიების დროს. სოციალისტური მშენებლობის სწრაფი ტემპის პირობებში ამ მშენებლობაში ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი კლასის გლეხობის—უშუალოდ ჩაბმამ, დაბრკოლებათა დაძლევამ და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და რეკონსტრუქციის მთელი გეგმის განხორციელებამ არ შეიძლება სოფლად არ გამოიწვიოს კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება, არ შეიძლება მთავრობის მხრივაც დაჯერების ზომებთან ერთად, მუშაობის ზოგიერთ დარგში არ გამოიწვიოს იძულებითი ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა სოციალისტური მშენებლობისადმი მტრულად განწყობილი კლასობრივ ძალების წინააღმდეგ. ეს იძულებითი ღონისძიებანი, საზოგადოებრივი ზეგავლენის ღონისძიებანი, კერძოდ, გამოყენებულ იქნენ პურის დამზადების საქმეში.

ამ წლის პურის დამზადების შედეგები გვიმტკიცებენ, ერთი მხრით, იმას, რომ ჩვენ ძალიან მოკლე ვადაში მთლიანად შევასრულებთ პურის დამზადების გეგმას, ხოლო მეორეს მხრით, იმას, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენ პირველად ახლა გვექნება პურის საგრძნობი მარაგი.

საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების როლი პურის მიწოდების საქმეში სწრაფად იზრდება. უკვე წელს კოლექტიურ მეურნეობებისაგან ჩვენ მივიღეთ 100 მილიონი ფუთი პური, საბჭოთა მეურნეობებისაგან—80 მილიონი ფუთი; მომავალ წელს კოლექტიურ მეურნეობებისაგან მივიღებთ 800 მილიონ ფუთ მაინც, საბჭოთა მეურნეობებისაგან — 100 მილიონზე მეტ ფუთ პურს. ეს იმას ადასტურებს, რომ ჩვენ ნამდვილად თავს ვაღწევთ სიძნელეებს პურის წარმოებასა და მიწოდებაში.

მაგრამ თვალსაჩინო სიძნელეები ჩნდება ჩვენს წინაშე მესაქონლეობასთან დაკავშირებით. მესაქონლეობის პრობლემის გადაწყვეტის შეგვიანება ჩვენ არ შეგვიძლია. ცაკის საბიუჯეტო კომისია სავსებით სწორად მოიქცა, როცა წინადადება შემოიტანა—გადაიდოს დამატებითი თანხები მესაქონლეობისათვის. სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, რომელიც ეხება ჩვენი კავშირის მოსახლეობის უმრავლესობას და რომელიც ანადგურებს წვრილი, ნახევრად ნატურალური ინდივიდუალური წარმოების მრავალსაუკუნოვან ფესვებს, რასაკვირველია, დიდ ცვლილებას წარმოადგენს მთელი ჩვენი ქვეყნის სოფლისათვის. სოფლის მეურნეობის ეს რეკონსტრუქცია, წარმატებით განხორციელდება, თუ ღარიბი და საშუალო გლეხობის მასები თვით მიმართავენ თავიანთ ენერგიას აქეთკენ; თუ ისინი დარწმუნდებიან, რომ ეს რეკონსტრუქცია ჩვენს გლეხობას იხსნის სიღატაკისაგან, უკულტურობისაგან, დაჩაგრულობისაგან და ძალიან მძიმე, ჩამორჩენილი, ნაკლებად ნაყოფიერი შრომისაგან. ეს პერიოდი ახლა დადგა. მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან— მის ღარიბ და საშუალო მასებთან— განმტკიცდება ამ პროცესის საფუძველზე, იმ დახმარების საფუძველზე, რომელსაც მუშათა კლასი გლეხობას გაუწევს ამ საქმეში.

მემარჯვენე გადახრის საშიშროება

როდესაც ახლა ლაპარაკობენ იმ წინააღმდეგობის შესახებ, რომელსაც კულაკური ელემენტები უწევენ ჩვენს ზომებს. აქ გასაკვირველი არაფერია, ვინაიდან ამ საქმემ, სოფლის ცხოვრების, წარმოების და მთელი ყოფის ყველა საფუძვლების შეცვლამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს სოფლის განსაზღვრული ფენების წინააღმდეგობა. ამიტომ რევოლიუციის დღევანდელ საფეხურზე, აუცილებელია კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაც და რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის მობილიზაციაც სოციალისტური მშენებლობისათვის.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლადაც სწარმოებს და ქალაქადაც. მაგალითად, უკანასკნელ წლებში სპეციალისტების ზოგიერთი ჯგუფების მავნებლობის გადიდება, ერთგვარი გამოსვლები რელიგიურ ნიადაგზე და სხვა,— ყოველივე ეს სწარმოებს კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ერთი ხაზით. ყოველივე ეს გამოხატავს სოციალიზმის მშენებლობის ყველა მოწინააღმდეგეთა ძალღონის გაერთიანებას, გამოხატავს მემარჯვენე საფრთხეს, ბურჟუაზიულ საფრთხეს ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ ის გეგმა და ის ამოცანები, რომლებსაც ჩვენ ვსახავთ, შეუძლებელია განხორციელდეს უომისოდ, თუ ჩვენს ქვეყანაში მემარჯვენე საფრთხეს არ შევებრძოლებით. ამ თვალსაზრისით ჩვენი აპარატის ბიუროკრატიზმი, ზოგიერთი ორგანოების ბიუროკრატიული სიმახინჯენი და შეცდომები წარმოადგენენ მემარჯვენე საფრთხის საკითხების ერთ მხარეს".

დასკვნა

დასასრულ ამხ. რიკოვმა ზოგადად აღნუსხა ის ახალი მოვლენანი, რომლებმაც უკანასკნელ დროს ჩვენს ცხოვრებაში იჩინა თავი (სოციალისტური შეჯიბრების არნახული განვითარება, დამკვრელი ბრიგადების ორგანიზაცია საწარმოებში, ორგანიზაცია მუშათა ბრიგადებისა, რომლებიც სოფლად გადიან პურის დამზადების საქმისათვის, კოლექტიური მეურნეობებისათვის საბრძოლველად და სხვ., განუწყვეტელი საწარმოო კვირა, შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღება, კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის სწრაფი ზრდა, ტრაქტორების გამოჩენა სოფლად ათი ათასობით, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შექმნა და სხვ.) და აღნიშნა, რომ ყოველივე ეს ახასიათებს იმ ეპოქის დასაწყისს, როცა რამდენიმე ათი მილიონი ადამიანი ორგანიზაციულად და შემეგნებულად იწყებს სოციალისტურ მუშაობას.

„მთავარ საწინდარს იმისას, რომ ხუთწლიანი გეგმას ჩვენ განვახორციელებთ უფრო მოკლე ხანში, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო, რომ მომავალ წლის საკონტროლო ციფრები შესრულდება, და, შესაძლებელია, გადაჭარბებულადაც შესრულდეს,—ამბობს დასასრულ ამხ. რიკოვი,—წარმოადგენს მასების მობილიზაცია, მათი აქტივობისა და შემეცნებლობის ზრდა. ყოველივე ეს ისეთი ზომით ხდება, რომ ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია. ასეთი მასები, ასეთი მუშათა კლასი, გლეხობის ღარიბი და საშუალო მასები იმ აქტივობით, რომელსაც ისინი იჩენენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში, და ასეთი ორგანიზაციულობით ჩვენ მოკლე ხანში დავეწევით და გავუსწრებთ მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს" (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).

მოსკოვი
გადმოცემულია ტელეგრაფით

პარტიული მშენებლობა

მუშების მასიური დაწინაურებით გავაძლიეროთ პროლეტარული სახელმწიფო-სამეურნეო აპარატზე

„სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ურთულეს ამოცანათა გადასაწყვეტათ, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, სახელმწიფო აპარატის გადახალისებისა და განმტკიცების და მასში ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასობრივ ძალთა გავლენის დაძლევისათვის, მუშების სახელმწიფო-სამეურნეო აპარატში დაწინაურებას განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება"

(საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებიდან)

მეტი ყურადღება მუშათა დაწინაურებას

პარტიის დირექტივა მუშების დაწინაურებისა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატში, არ ტარდება დამაკმაყოფილებლად. პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები დღემდე ნაკლებ პასუხისმგებლობას იჩენენ ამ დარგში, რის გამო საბჭოთა აპარატის გამუშავების მხრივ არ მომხდარა ძირითადი გარდატეხა, ამ საკითხში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწევია არსებით ცვლილებებისათვის.

ამას წინეთ, თბილისში შემდგარმა პარტიულმა თათბირმა დაწინაურებულთა საკითხის შესახებ, დაადასტურა, რომ მუშების წამოყენება საბჭოთა და სამეურნეო აპარატში ძალზე მოუწესრიგებელია და შექმნილია ისეთი მდგომარეობა, როდესაც საჭიროა ხმა-მაღლა ალაპარაკება და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა ამ სერიოზულ და მტკივნეულ საკითხისადმი.

პარტიულმა თათბირმა გამოამჟღავნა მუშათა დაწინაურების საქმეში მრავალი ნაკლოვანებანი, რომელთა დროზე აღკვეთა აუცილებელი პირობაა წარმატებით სოციალისტური მშენებლობისათვის, იმისათვის, რათა პარტიის და ხელისუფლების საყურადღებო დადგენილებანი აღწევდეს მასებამდე და თავის დროზე იქნას შესრულებული სოციალიზმის მშენებლობის ფართო პროგრამა, დასახული სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით. უმთავრესი ნაკლი, რომელიც ახლავს მუშათა დაწინაურებას, ეს ის არის, რომ პროლეტარულ ელემენტების დაწინაურება არ ატარებს სისტემატიურ და გეგმიან ხასიათს, აწინაურებენ თითო-ოროლა პირებს, არ ამზადებენ დასაწინაურებელ მუშებს წინასწარ და, რაც მთავარია, დაწინაურების შემდეგ არც პარტიული და არც პროფესიონალური ორგანიზაციები არ უწევენ საპასუხისმგებლო ადგილებზე წამოყენებულ მუშებს სათანადო ხელმძღვანელობას და არ ახდენენ დაწინაურებულთა მუშაობის შემოწმებას.

ყოველივე ამის გამო—ნათქვამია საქ. კომ. პარტიის (ბ) ცეკას დადგენილებაში, საჭიროა ძირითადი გარდატეხის მოხდენა მუშათა დასაწინაურებლად სახელმწიფო აპარატში. უნდა მიღებულ იქნეს ზომები, რათა მუშათა დაწინაურება გადაიქცეს ყველა ორგანიზაციების ყოველდღიურ ამოცანად. მე-16 პარტკონფერენციის დირექტივის თანახმად სახელმწიფო აპარატის გამუშავება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს წმენდას. ამიტომ წმენდის დროს გამოძევებულ ყველა უვარგის, ბიუროკრატიულ, პროლეტარულ სახელმწიფოსთვის უცხო და მოწინააღმდეგე ელემენტების შეცვლა უნდა ხდებოდეს მუშების მიერ. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ თავის დროზე ხდება მუშათა ბრიგადების ჩამოყალიბება, თუ წინასწარ შეხვედრილია და ყოველმხრივ შემოწმებულია ესა თუ ის დასაწინაურებელი მუშა სათანადო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობის დროს.

ყოველი უყურადღებობა დაწინაურებულისადმი, აშკარა და მალული წინააღმდეგობა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მხრივ დაწინაურებულთა მიმართ,—ნათქვამია საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ხსენებულ რეზოლუციაში—უნდა განხილულ იქნას, როგორც დარღვევა პარტიის ერთ-ერთ საყურადღებო დირექტივისა.

მუშების დაწინაურების საყურადღებო ნაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ პროფკავშირების მხრივ არ არის დღემდე შექმნილი დასაწინაურებელ მუშების რეზერვი, ნაკლები ყურადღება ექცევა მუშა-ქალების და ახალგაზრდა მუშების დაწინაურებას. თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა იმას, თუ რამდენათ იტვირთება პირველ ხანებში დაწინაურებული მუშა, უწევენ თუ არა დაწესებულებების და სამეურნეო ორგანიზაციების მეთაურები და ცალკე სპეციალისტები ხელმძღვანელობას დაწინაურებულს და ჰქმნიან თუ არა აუცილებელ პირობებს იმისათვის, რათა მუშამ შეისწავლოს ესა თუ ის საქმე საფუძვლიანათ, და რაც მთავარია, შესძლოს წინ წაწევა, უფრო მეტ საპასუხისმგებლო საქმის შესრულება. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე დაწინაურებულ მუშების პოლიტიკურ მომზადების დონის ამაღლებას, და როგორც დაწინაურებულ, ისე დასაწინაურებელ მუშების პრაქტიკული კვალიფიკაციის ზრდას.

პროფკავშირებმა უნდა შესძლონ, რათა დაწინაურებული მუშები არ მოწყდნენ თავიანთ წარმოებას, დაწინაურებულნი უნდა გრძნობდნენ პასუხისმგებლობას იმ საწარმოთა წინაშე, რომელთა მიერ არიან წამოყენებულნი და სისტემატიურად უნდა აბარებდნენ ანგარიშს თავიანთი მუშაობის შესახებ ამ საწარმოს მუშებს. მხოლოდ ასეთი საშუალებით იქნება შესაძლებელი მუშათა კონტროლის შენარჩუნება დაწინაურებულებზე და ამის მეოხებით ავიცილებთ თავიდან დაწინაურებულ მუშების გაბიუროკრატებას.

სუსტად მიმდინარეობს დღემდე— ნათქვამია საქ. კ. პ. (ბ) ცეკას რეზოლუციაში —ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში მუშებისა და მუშა ქალების წამოყენება ადგილობრივ მცხოვრებთაგან, აგრეთვე არასათანადო ყურადღება ექცევა სახელმწიფოებრივ სამეურნეო აპარატის ყველა საფეხურზე მოჯამაგირეთა და საბჭოთა ხელისუფლებასთან ახლოს მყოფ ღარიბ და საშუალო გლეხთა წრის აქტივისტებს, განსაკუთრებით კოლმეურნეობათა აქტიურ წევრების დაწინაურებას.

პრესაც თავის მხრივ მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს დაწინაურებულთა მუშაობას. საჭიროა სისტემატიური, ყოველდღიური კონტროლი იმაზე, თუ როგორ ანხორციელებენ პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციები უმაღლეს პარტიულ ორგანოების დადგენილებებს მუშათა დაწინაურების შესახებ, რამდენად ჩქარის ტემპით იზრდება სახელმწიფოებრივ და სამეურნეო აპარატში პროლეტარული ელემენტები საპასუხისმგებლო ადგილებზე და რამდენად ეწევა დახმარება დაწინაურებულ მუშებს, პირველ რიგში, პროფკავშირების მხრივ. გარდა ამისა, საჭიროა, რათა პრესამ გამოარკვიოს აგრეთვე მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხობის დაწინაურების სახელმწიფოებრივ და სამეურნეო აპარატში, პრესა უნდა იყოს არა მარტო დაწინაურებულთა შორის ჩატარებულ მუშაობის უბრალო აღმნუსხველი, არამედ ის კრიტიკულად უნდა აფასებდეს მუშათა დაწინაურებას და დროზე უნდა ამხილოს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანოების მხრივ ჩადენილი შეცდომები სახელმწიფო აპარატის გამუშავების საქმეში.

წამოვაყენოთ მუშები საპასუხისმგებლო სამუშაოზე

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, როდესაც მუშები სოციალისტურ მშენებლობაში არ ნახულ აქტივობას იჩენენ, მუშათა დაწინაურების საკითხი მთელი ჩვენი მუშაობის ცენტრში უნდა იდგეს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის მოგვარებაში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ სასურველ შედეგებს. ჩვენს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ მომხდარა საჭირო გარდატეხა ამ მიმართულებით.

თუ თვალს გადავავლებთ თბილისის საბჭოთა, პროფესიონალურ და სხვა დაწესებულებებს, დავინახავთ, რომ ნახევარი წლის განმავლობაში დაწინაურებულია 48 მუშა, აქედან საპასუხისმგებლო ადგილზე მხოლოდ 11.

მუშათა დაწინაურების საქმეში მრავალი დეფექტი გვაქვს. მთავარი ის არის, რომ დაწინაურება ჯერ კიდევ არ გადაქცეულა ყოველდღიურ, მუშაობის საკითხად. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში პროფკავშირებმა მოკიდეს ხელი დაწინაურების საქმეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მიღწევებს ამ მიმართულებით ვერ ვხედავთ, რადგან ეს ჯერ კიდევ კამპანიურ ხასიათს ატარებს.

როგორ უნდა დავაწინაუროთ მუშები?

1927 წელს საქ. კომ. პ. (ბ) ცეკამ სათანადო დირექტივა მისცა ადგილებს, რომლის პირველ პუნქტში სწერია; „მთავარი როლი დაწინაურების საკითხში ეკუთვნის პროფკავშირის ორგანიზაციას". პროფკავშირებს კი ამ მიმართულებით 1929 წლამდე არაფერი გაუკეთებიათ. პროფსაბჭოს მასალებიდან სჩანს, რომ პროფკავშირებს მხოლოდ უკანასკნელ წელს გამოიჩინეს ცოტაოდენი აქტივობა დაწინაურების საქმეში. ამ ნახევარი წლის განმავლობაში დაწინაურებულთა შორის თბილისში პარტორგანიზაციის მიერ დაწინაურებულების რიცხვი შეადგენდა 32 პროც., საბჭოთა და კოოპორგანიზაციების მიერ—18 პროც., კავშირების მიერ კი—50 პროც.

მუშათა დაწინაურების ერთ-ერთი ნაკლოვანებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ მუშაობას არა აქვს მასიური ხასიათი. დაწინაურების საკითხების გადაჭრაში მასები ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ დაწინაურებულ მუშების 80 პროცენტი დაწინაურებულია აპარატის მიერ.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დაწესებულებები სერიოზულად არ უყურებენ დაწინაურების საკითხს. არ გრძნობენ პასუხისმგებლობას ამ დარგში. ეს ხდება იმიტომ, რომ მუშების დაწინაურება ხდება სრულიად უგეგმოდ. აქედან, თავის თავად ცხადია, ადგილი ექნება შეცდომებს.

საჭიროა მუშების საკმაო რაოდენობა ჩავაბათ მასიურ ორგანიზაციებში, სადაც ისინი უშუალო დგაეცნობიან სახელმწიფო აპარატის მუშაობას. სხვა მასიურ ორგანიზაციებში, როგორიცაა საბჭოები, კოოპერატიული კომისიები, მუშათა და გლეხთა ინსპექცია და სხვა, დაზგის მუშები უნდა მიამაგრონ ამა თუ იმ დაწესებულებას, გააცნონ დაწესებულების ხასიათი. ამ გზით შესაძლებელი გახდება მომზადებულ მუშების წამოყენება შესაფერ დაწესებულებებში.

მომავალში ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ, გამოცდილად უნდა დავაწინაუროთ მუშები საპასუხისმგებლო ადგილებზე.

შანი.

„კაპიტალი"-ს გამოცემის გარშემო

„კომუნისტი"-ს თანამშრომელი ე. ტ-ძე შესდგომია იმის გამოკვლევას, თუ რატომ აგვიანდება ქართულ ენაზე „კაპიტალის" ბეჭდვის დამთავრება. ის დასკვნის: „სტამბას ამ შემთხვევაში ბრალს ვერ დავდებთ", და ეს იმიტომ, რომ მას იმდენი შრიფტი აქვს მომარაგებული და „ასოთ - ამწყობნიც იმდენს აწყობენ, რომ კორექტორები ვერც კი ასწრებენ გასწორებას"-ო. მაშ ვის ედება ბრალი: დარჩა რედაქცია და კორექტურა. ავტორი კორექტურას სწვდება ყელში და ცდილობს ყველაფერი „მეისრის" დააბრალოს.

რომ „კორექტურა ერთობ რთული და საპასუხისმგებლო საქმეა", ეს ავტორს ესმის, და იმასაც აღნიშნავს, რომ „ამ გარემოებას დროზე მიექცა ყურადღება და 14 ნოემბრიდან კორექტორთა შტატი გაძლიერებულ იქნა ერთი გამოცდილი კორექტორით".

საქმეს მაინც არ ეშველა. რატომ?

იმიტომ, რომ სტამბაც და კორექტურაც აწყდება ერთ საფეხურს, რომლის გავლაც აუცილებელია ბეჭდვისათვის და ამ საფეხურზე კი ერთი პირია, რომელიც ხელს აწერს დასაბეჭდად გამზადებულ კორექტურას. ეს პირი გახლავთ ქვემოერე ხელის მომწერი. თუ ამხ. ე. ტ—ძე ერიდება ამის თქმას, რა შუაშია მაინც კორექტორი, ამ შემთხვევაში „მეისრის" როლის შემსრულებელი.

მე ვაცხადებ, რომ „კომუნისტი"-ს რედაქციასთან შეთანხმებით ჩვენ მიერ ამორჩეული პასუხისმგებელი კორექტორი ამხ. გამყრელიძე პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. „დაგვიანება" ხდება (თუ კი მართლა ხდება ასეთი) სულ სხვა მიზეზით. თუ „კორექტურა ერთობ რთული და საპასუხისმგებლო საქმეა", უნდა ვიფიქროთ, რომ თარგმანის რედაქცია არანაკლებ საპასუხისმგებლო და რთული საქმე უნდა იყოს. ასეც არის. ამიტომ მე მოვალედ მიმაჩნია თავი სარედაქციო კოლეგიის სხვა წევრებთან ერთად მანქანაზე გაშვების წინ ერთხელ კიდევ გადავათვალიერო კორექტურა.

მართალია, ავტორის სიტყვით, 208 გვერდი და კიდევ მეტი აწყობილია და მხოლოდ კორექტურას უცდის, მაგრამ „კაპიტალი", რომელშიც მრავლად მოიპოება უცხო ავტორების ციტატები წიგნების სახელწოდების უცხო ენებზე დასახელებით, მეტად მძიმე სამუშაოს წარმოადგენს როგორც ასოთამწყობისათვის, ისე კორექტორისათვის. აქ საქმეს ვერ უშველის „ერთი გამოცდილი კორექტორი", რომელიც მხოლოდ იმიტომ არის დაყენებული „კომუნისტის" რედაქციის და სახელგამის მიერ, რომ საქმე დააჩქაროს.

მართალია, „კომუნისტის" რედაქციას ეჩქარება „კაპიტალის" დაბეჭდვა, რადგან ის ცდილობს თავისი დაპირება მკითხველის წინაშე თავის დროზე შეასრულოს. ეჩქარება სახელგამსაც, რადგან რაც მალე დაიბეჭდება, მით უფრო მალე გაიაღებს მასში დაბანდებულ ფულს. მაგრამ ყველაზე მეტად ეს საქმე გვეჩქარება ჩვენ, სარედაქციო კოლეგიის წევრებს, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ წიგნის ბაზრის მოთხოვნილების გარდა, ჩვენ ძლიერად გვაწუხებს „კაპიტალის" სწავლების ინტერესი ჩვენს სასწავლებლებში.

მაინც ვცდილობთ, რომ აჩქარებით საქმე არ გაფუჭდეს. თუ დღემდე დასაბეჭდად გადაცემულია 22 თავი, ვფიქრობთ, 2 უკანასკნელი თავი და წინასიტყვაობანი არ უნდა გამოვიდეს უფრო მდარე ხარისხისა, ვიდრე გამოვიდა აქამდე გასწორებულ - დაბეჭდილი.

ნურავინ გვადგება თავს ამოღებული ხანჯლით: „დააჩქარე, დააჩქარეო" ჩვენ ვიჩქარით და თან ვცდილობთ მივსცეთ მაქსიმუმი იმისა, რაც ჩვენს შესაძლებლობაში მოიპოვება. მაგრამ ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ „კაპიტალის" ქართულ ენაზე დაბეჭდვა სახუმრო საქმე არ არის.

„კაპიტალის" ქართულ თარგმანის
პასუხისმგებელი რედაქტორი
მალაქია ტოროშელიძე.

როგორ არ უნდა ხდებოდეს მუშების დაწინაურება

წარმოებებში არიან ისეთი მუშები, რომლებსაც სათანადო პოლიტიკური მომზადება აქვთ და რომელთა გამოყენება თავისუფლად შეიძლება ამა თუ იმ სამუშაოზე. აი სწორედ ასეთ მუშებისაგან უნდა შევქმნათ რეზერვი, საიდანაც შესაძლებელი იქნება მომზადებულ მუშების საპასუხისმგებლო ადგილებზე წამოყენება. საბჭოთა აპარატის წმენდის დროს, რომელიც ამჟამად გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს, ბევრი ბიუროკრატი და მავნე ელემენტი მოშორდება დაწესებულებებს. მუშათა რეზერვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება ამ განთავისუფლებული ადგილების შესავსებად.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ დაწინაურებულთა მუშაობის პირობებს. ზოგიერთ შემთხვევებში, მუშათა დაწინაურება მახინჯ ფორმებს ღებულობს, რაც მუშებზე ცუდ გავლენას ახდენს. მაგალითად, წითელ ჯვარში დაწინაურებულ მუშა— ფიცხელაური, წარმოებაში ის ღებულობდა 150 მანეთს. წითელმა ჯვარმა ამხ. ფიცხელაური გაგზავნა გორში იმ დაპირებით, რომ თვეში ექნებოდა 150 მანეთი და აგრეთვე მიეცემოდა ბინა, სინათლე, შეშა და სხ. დახმარება. დაწინაურებული გაემგზავრა გორში, მაგრამ იქ მას დაუნიშნეს 110 მანეთი, ყოველგვარ კომუნალურ დახმარების გარეშე. ფიცხელაურმა გორში ათი დღე დაჰყო და შემდეგ იძულებული შეიქნა თბილისში დაბრუნებულიყო. დაწინაურების ასეთი დამახინჯება ყოვლად დაუშვებელია.

ვინ უნდა დააწინაუროს მუშები?

დაწინაურების საქმისათვის ხელმძღვანელობის გაწევა უმთავრესად პროფკავშირების მოვალეობაა. ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციები არავითარ მონაწილეობას არ უნდა ღებულობდნენ ამ საქმეში. პარტიულმა კომიტეტებმა, პარტიულმა უჯრედებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალი მუშათა დაწინაურებას და არ დაუშვან პარტიის დირექტივების დამახინჯება.

ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპერაცია მუშათა დაწინაურების საქმეს არ აქცევს საკმაო ყურადღებას, იქ პრაქტიკაში შეხვდებით ისეთ ფაქტებს, როდესაც დაწინაურებულს უპირდაპირდება მთელი აპარატი. ამის საილუსტრაციოთ მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ამ ბოლო დროს ა.-კ. სატრანსპორტო კოოპერაციასთან ჩამოყალიბდა საკონტროლო განყოფილება. განყოფილებაში სამუშაოდ საჭირო იყო რამდენიმე თანამშრომელი; თუ კი ხელმძღვანელობის სურვილი იქნებოდა, შესაძლებელი იყო დაზგიდან მუშების დაწინაურება. მაგრამ სინამდვილეში შტატი შესდგა განსაკუთრებით ძველი ჩინოვნიკებისაგან.

საქ. კ. პ. (ბ) ლენრაიკომის მიერ უფროსი კონტროლიორის თანამდებობაზე დაწინაურებულ იქნა გამოცდილი კვალიფიციური მუშა —ათაბეგოვი. მოსვლისთანავე ათაბეგოვი გაიგზავნა სპეციალისტთან მისი ცოდნის შესამოწმებლათ. ათაბეგოვი „უცოდინარი" აღმოჩნდა ბუხჰალტერიის საქმეებში და ამის გამო უკანვე დაბრუნებულ იქნა, როგორც გამოუცდელი. მიუხედავად ამისა, ლენრაიკომის მიერ კვლავ გაგზავნილ იქნა ის ა.-კ. სატრანსპორტო მომხმარებელ კოოპერაციაში სამუშაოდ. საკონტროლო განყოფილების მუშაკებმა დაინახეს რა, რომ ათაბეგოვის უკან დაბრუნება არ შეიძლებოდა, დაწინაურებულ მუშას შეუქმნეს ისეთი პირობები, რომ მას არ შესძლებოდა იქ მუშაობა. როდესაც ათაბეგოვი მიღებულ იქნა სამუშაოდ, ყოველგვარ მითითებების გარეშე, სამუშაო ფუნქციების გაუცნობლად, მას გზავნიან სარევიზიოდ საწყობ № 1-ში. იქ ათაბეგოვმა ვერ იპოვა სარევიზიო კომისიის სხვა წევრები და უკანვე დაბრუნდა, შემდეგ ათაბეგოვს სხვა ადგილას გზავნიან და ა. შ. განყოფილების თანამშრომლები ათაბეგოვს არ უყურებდენ კარგი თვალით, მას ყველაფერს უმალავდენ. მისი განყოფილებაში შესვლისთანავე ლაპარაკი წყდებოდა, არ აქცევდენ მას ყურადღებას და სხვა.

აღსანიშნავი ის არის, რომ განყოფილების გამგემ—პაპოვმა განაცხადა: „რა უნდა ვქნა არ ვიცი, მე მინდა სპეციალისტები, ამავე დროს სამუშაოდ მუშებს მიგზავნიან"-ო. აი როგორ უყურებს პოპოვი დაწინაურებულ მუშებს: საჭიროა ამ გარემოებისადმი სერიოზული ყურადღების მიქცევა. დაწინაურებულ მუშებს ფართო გასაქანი უნდა მიეცეს.

გ. ი—ლი.

ვიზრუნოთ დაწინაურებულთა მომზადებისათვის

მუშათა მასიურ დაწინაურებასთან დაკავშირებით, მუშების პოლიტიკურად მომზადებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ დაწინაურებულ მუშების მომზადებას პარტორგანიზაცია და პროფკავშირები ვერ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. გასულ წელს პროფკავშირებმა გახსნეს დაწინაურებულთა გადასამზადებელი კურსები, რომელსაც არავითარი ნაყოფი არ მოუცია.

მუშა-დაწინაურებულების თეორიულად მოსამზადებლად საჭიროა ხანგრძლივი და სისტემატიური მუშაობა. დაწინაურებულთათვის უნდა შეიქნეს მოკლევადიანი კურსები, რომელიც უნდა უზრუნველყოფილი იქნეს მატერიალურად და ხელმძღვანელობით, აგრეთვე, რაც მთავარია, კურსებზე მივლინებული მუშები განთავისუფლებულ უნდა იქნენ სხვა სამუშაოდან. უამისოდ ჩვენ ვერ შევძლებთ მუშების თეორიტიული დონის აწევას.

ამასთანავე საჭიროა დასაწინაურებელი მუშები მიმაგრებულ იქნენ ამა თუ იმ დაწესებულებაზე. მათ უნდა მიეცეთ საშუალება გაეცნონ დაწესებულების ხასიათს, მუშაობას და სხვა. თუ ასე დავაყენებთ საქმეს, მაშინ მუშათა დაწინაურების საქმე უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ.

ქარხნის მუშა.

ქალთა დაწინაურება სუსტად მიმდინარეობს

მუშა-ქალთა დაწინაურებას საჭირო ყურადღება არ ექცევა. პროფკავშირების მუშა-ქალთა არც ერთ კრებაზე არ დაუსვამთ საკითხი მათი დაწინაურების შესახებ, არ მიუღიათ ზომები მათი მომზადებისათვის.

თუ როგორ უყურებდენ კავშირები მუშა ქალთა კვალიფიკაციის აწევის საკითხს ეს შემდეგი მაგალითიდან სჩანს. მიმდინარე წელს მოსკოვში გაიხსნა საფეიქრო კურსები. კურსებზე პროფკავშირებს უნდა გაეგზავნათ მუშა ქალები. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კავშირებმა კურსებზე მუშა ქალების ნაცვლად უმუშევარი მასწავლებელი ქალები გაგზავნეს.

პროფკავშირები დაწინაურებულ ქალთა შორის არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ; პირიქით დაწინაურებულ ქალებს უკანვე აბრუნებენ. არც მუშა-ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას ექცევა სერიოზული ყურადღება. საქარხნო-საფაბრიკო ადგილობრივი კომიტეტები არ აწარმოებენ მუშა-ქალთა შესწავლას, მათი დაწინაურების მიზნით.

მუშა-ქალთა დაწინაურებას, როგორც კავშირებმა, ისე სხვა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ო. ს—ძე.

მუშათა დაწინაურების ნაკლოვანებანი

მუშათა დაწინაურება პროფკავშირებს აქვთ გადაცემული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარტიული უჯრედები განზე დადგნენ და მათ არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ ამ საქმეში. ჩვენი სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერატიულ აპარატის გამუშავება, მისი გაჯანსაღება გაწმენდა ბიუროკრატებისა და უცხო ელემენტებისაგან პარტიის ძირითადი ამოცანაა ეხლანდელ მომენტში. სწორედ ამიტომ ჩვენმა უჯრედებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური მუშათა დაწინაურების მიმდინარეობას. სამწუხაროდ ბევრ უჯრედს დღემდე ვერ შეუთვისებია დაწინაურების მნიშვნელობა და საჭირო ფხიანობას ვერ იჩენს ამ საქმეში. მართალია, აპარატის გამუშავების დარგში ჩვენ გვაქვს მიღწევები—დაწესებულებათა დიდ ნაწილში დღეს მოიპოვებიან დაწინაურებული მუშები, მაგრამ ჩვენს მუშაობას ამ მიმართულებით მრავალი დეფექტებიც ახასიათებს. ეს დეფექტები, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ხშირად სწორედ პარტიული უჯრედების დაუდევრობის შედეგია.

როგორ მდგომარეობაშია მუშათა დაწინაურების საქმე? შევეხოთ ცალკე დაწესებულებებს.

მუშკოოპი

მუშკოოპი აერთიანებს 2637 თანამშრომელს. დაწინაურებულ იქნა სულ 54 კაცი. ამ რიცხვიდან ახალ თანამდებობაზე ფაქტიურად დარჩა მხოლოდ 49, რადგანაც ოთხმა თავის სურვილით (მცირე ხელფასის გამო) მიატოვა მუშკოოპში მუშაობა, ერთიც, სახელდობრ არისტოვი, აღმოჩნდა უღირსი დაწინაურებული, რომელიც ამჟამად პასუხისგებაშია მიცემული გაფლანგვისათვის.

დაწინაურების საქმეს მუშკოოპში აღმაცერად, ჩინოვნიკურად უყურებენ. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას უჯრედის შესახებ. რაში გამოიხატებოდა პარტიული ხელმძღვანელობა დაწინაურების საქმეზე მუშკოოპში?

მუშკოოპის სარძეო დარგის ადგილკომის თავმჯდომარე ჯალიაშვილი (კომუნისტია) ადგენდა დასაწინაურებელ მუშათა სიებს, რომელსაც ამტკიცებდა ტექნომ-თათბირის და შემდეგ „დასამტკიცებლად" უგზავნიდა უჯრედს. ამ უკანასკნელსაც გამოჰქონდა დადგენილება: „სია დამტკიცებული იქნას უცვლელად", მიუხედავად იმისა, რომ სიაში აღნიშნულ პირთა უმრავლესობას არც კი იცნობდა. ასეთი „დაწინაურების" შედეგად მივიღეთ ის, რომ ჯალიაშვილის მიერ შერჩეულ და უჯრედის მიერ დამტკიცებულ 22 დაწინაურებულ მუშისაგან, 19 აღმოჩნდა გამფლანგველი და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის მქონე. უჯრედმა დაშვებული შეცდომა „გამოასწორა" იმით, რომ მიიღო გადაწყვეტილება სარძეო დარგიდან დაწინაურებულ პირებზე გამოტანილ პირვანდელი დადგენილების გაუქმების შესახებ; ამრიგად დაწინაურებულ 19 გამფლანგველს მიაყოლეს ის 3 კაციც, რომლებსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა.

მუშკოოპში დაწინაურებულთა რიცხვიდან (49) ექვსი უპარტიოა და 8 ქალი, რაც აგრეთვე მცირედ ჩაითვლება.

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო

ს. მ. უ. ს.-ის აპარატში თანამშრომელთა რიცხვი 120 კაცს აღწევს. ამათგან დაწინაურებულია მხოლოდ ორია: ამხ. გიორგობიანი და ლეჟავა. პირველი ასრულებს სარევიზიო განყოფილების გამგის, ხოლო მეორე ამავე განყოფილების ინსტრუქტორის მოვალეობას. დაახლოებით 7 თვის წინეთ უჯრედზე დასმული იქნა საკითხი მუშათა დაწინაურების შესახებ. დასახელებული იქნა რამოდენიმე თანამდებობა, რომლებზეც შეიძლებოდა დაწინაურებულთა დანიშვნა, მაგრამ უჯრედი დაკმაყოფილდა მარტო დადგენილების გამოტანით და დღემდე არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს მის განსახორციელებლად. შეკითხვაზე, თუ რატომ არ იქნა მოყვანილი სისრულეში 7 თვის წინეთ გამოტანილი დადგენილება, უჯრედის მდივანმა განაცხადა: „შეუძლებელი გახდა ზოგიერთ ცრუ-სპეცების სამუშაოდან განთავისუფლებაო". ეს განცხადება კომენტარიებს არ საჭიროებს.

მიწსახკომში

ამჟამად მიმდინარეობს მიწსახკომის აპარატის წმენდა. წმენდის პირველი დღიდანვე გამოაშკარავდა, რომ მიწსახკომის საქმიანობას მეტად აფერხებს ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება. ქაღალდების მიმოსვლის ინსტანციები საშუალოდ 25-მდე აღწევს. ადგილებიდან მიღებული ზოგიერთი ოქმები (მიწის ჩამორთმევის შესახებ) აპრილიდან დღემდე განუხილავია.

ასეთ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად, მუშათა დაწინაურების საქმეს უდიდესი ყურადღება უნდა მიქცეოდა, მაგრამ რას ვხედავთ სინამდვილეში? მარტო სახალხო მამულების ტრესტი აერთიანებს 90 მოსამსახურეს, მათგან დაწინაურებული მხოლოდ ერთია. ამხ. დოლაბიძის გარდა (სახალხო მამულების ტრესტის საკონტროლო განყოფილების გამგე) მიწსახკომის ცენტრალურ აპარატში არც ერთი კაცი არაა დაწინაურებული, ხოლო პერიფერიებში კი დაწინაურებულთა რიცხვი 6 კაცს არ აღემატება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაწინაურებულთა რიცხვიდან ყველა პარტიის წევრია. არც ერთი უპარტიო, ან კომკავშირელი მათში არ ურევია, რაც აგრეთვე მნიშვნელოვან დეფექტად ჩაითვლება.

მუშათა დაწინაურების საქმისადმი უჯრედს ყურადღება არ მიუქცევია. ეს სჩანს იქიდანაც, რომ ამ საკითხის ირგვლივ უჯრედს არ მოეპოება გამომუშავებული რაიმე კონკრეტული ღონისძიებანი, ამჟამად მიწსახკომზე მიმაგრებულია მუშათა ბრიგადა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მუშათა დაწინაურების საქმეს მიწსახკომში (განსაკუთრებით ცენტრალურ აპარატში) მეტი ყურადღება მიექცევა უჯრედის მხრივაც.

ტრამვაის მუშებში

ტრამვაის მოძრაობის დარგში და სახელოსნოებში მუშაობს 1.600 კაცი, აქედან სხვადასხვა ორგანიზაციებში დღემდე ფაქტიურად დაწინაურებულია ხუთმეტი მუშა. ადგილობრივ პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებს თუმცა თავის დროზე შეუდგენია დასაწინაურებელ მუშების სია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ისინი ძველს თანამდებობაზე განაგრძობენ მუშაობას. იყო შემთხვევა, როდესაც საქ. პროფსაბჭომ მიავლინა სამეურნეო ორგანოებში სამუშაოდ ტრამვაის სამი მუშა, მაგრამ ისინი დღემდე მიღებული არ არიან ახალ სამუშაოზე. ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად კომუჯრედს არავითარი ზომები არ მიუღია. ამას წინად, საქ. პროფსაბჭოს მოთხოვნით ტრამვაიდან მივლინებული იქნა ორი მუშა (მეაბრეშუმეობის დარგში დასაწინაურებლად), ერთი მათგანი მიღებული იქნა სამუშაოდ, ხოლო მეორე კი (ამხ. სირბილაძე) პროფსაბჭომ უკან დააბრუნა. ამხ. სირბილაძის შეკითხვაზე, თუ რატომ არ იქნა გაგზავნილი სამუშაოდ, პროფსაბჭოს „პასუხისმგებელმა" მუშაკმა ამხ. უნგიაძემ უპასუხა: „შენთან სალაპარაკოდ არ მცალია. როგორც გეტყობა შენ „საკლიაუზნიკოდ" მოსულხარო".

სახკინმრეწვში

შედარებით კარგადაა დაყენებული მუშათა დაწინაურების საქმე სახკინმრეწვში.

მიმდინარე წელს დაწინაურებულია 22 კაცი. დაწინაურებულებმა გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ამხ. დარჩიევი და ოზიაშვილი. (პირველი დაწინაურებულია ლაბორატორიის გამგედ, ხოლო მეორე მის მოადგილედ). მათი ენერგიული მუშაობის შედეგად საამქროში საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება და საკმაოდ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. (წინეთ მუშავდებოდა 7.000 მეტრი კინო-ლენტი, ეხლა კი 18.000 მეტრი), რის გამოც ამ საამქრომ გარდამავალი ჯილდოც კი მიიღო სოციალისტურ შეჯიბრებაში. პირველ ხანებში ამ ორ ამხანაგს ძველი „სპეცები" არაფერს არ უწევდნენ, მაგრამ მიღებულ მიღწევების შემდეგ ეს უკანასკნელები იძულებულნი შეიქნენ ეთქვათ, რომ დაწინაურებულმა მუშებმა შესძლეს საგრძნობლად გაეუმჯობესებინათ მუშაობა იქ, სადაც ისინი მუშაობენ.

მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ კომუჯრედი არ იწვევს დაწინაურებულთა თათბირებს და არ ისმენს მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ.

ა. შ—ი.

ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი

30 ნოემბერს, თბ. ალმასკომის დარბაზში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი — სარევიზიო კომისიის წევრების, უჯრედების მდივნების, აგიტპროპ-ორგანიზატორების, ბიუროს წევრების, ფაბქარხადგილკომების ფრაქციების და პარტგანათლების ქსელის ყველა საფეხურის პოლიტსკოლების ხელმძღვანელების მონაწილეობით. პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის შესახებ და პარტგანათლების ქსელის გასაშლელად ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის წინასწარი შედეგები.

დღის წესრიგის პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ანთიძემ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო კოლექტიური ხელშეკრულების კამპანიის მნიშვნელობას, აღნიშნა ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობა და განაცხადა: კოლხელშეკრულების დადების კამპანია ჩვენ დავყავით სამ ნაწილად. პირველად ჩატარდა არსებულ კოლხელშეკრულებების შესრულების შემოწმება, ამჟამად მიმდინარეობს ახალი ხელშეკრულებათა მასიური განხილვა, რაც უნდა დამთავრდეს 15 დეკემბრამდე. კოლექტიურ ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა უნდა დასრულდეს 20 დეკემბრამდე, ხოლო ხელშეკრულების მუშებმა უნდა მიიღონ პირველი იანვრისათვის. დასასრულ მომხსენებელი შეეხო ხელფასის რეალური და ნომინალური გადიდების საკითხს, შრომის დაცვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის გაუმჯობესების და კოლხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სხვა მთელ რიგ საკითხებს.

მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. სიხარულიძემ, ლებანიძემ, ავაქოვმა, კამაროვსკიმ, ავეტისოვმა, ოქროვმა და სხვ.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნულია კოლხელშეკრულების კამპანიაში პარტუჯრედების სუსტი მონაწილეობა. რეზოლუცია მოუწოდებს პარტორგანიზაციებს და პროფკავშირებს ენერგიული მონაწილეობა მიიღონ კოლხელშეკრულების კამპანიის თავის დროზე და უნაკლოდ გატარების საქმეში.

პლენუმის დღის წესრიგში დასმული მეორე საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგისათვის.

ა. ლ. კ. კ. ცეკას პლენუმი

ამხ. კოსარევის მოხსენება

მოსკოვი, 3 დეკემბერი. 2 დეკემბერს გაიხსნა ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმი. ამხ. კოსარევმა გააკეთა მოხსენება კომკავშირის მუშაობის შედეგების და კომკავშირის ამოცანების შესახებ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში. მან მოიყვანა მრავალი ციფრი და ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ უკანასკნელ წელს კომკავშირმა თვალსაჩინო როლი ითამაშა სამეურნეო მშენებლობაში და, განსაკუთრებით მასების აქტივობის დარაზმვაში სოციალისტური შეჯიბრების ირგვლივ, აგრეთვე დამკვრელი ბრიგადების მოძრაობის შექმნის საქმეში. ახლა კომკავშირის ლოზუნგია: „გადასვლა დამკვრელი ბრიგადიდან დამკვრელ საამქროზე, დამკვრელ საამქროდან დამკვრელ ქარხანაზე". კომკავშირი უნდა გახდეს დამკვრელი ბრიგადების შექმნის ინიციატორი საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელი მუშაობა ჯერ კიდევ იშვიათი მოვლენაა სოფლად. კომკავშირმა აქ ყველა საშუალება უნდა აამუშაოს. გავიხსენოთ, რომ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ 200.000 ტრაქტორისტი დაგვჭირდება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მეტად სუსტია კომკავშირის მონაწილეობა კოლმეურნეობრივ მოძრაობაში. ჩვენ გადაჭრით უნდა მოვეშოროთ კომკავშირიდან კოლექტივიზაციის ყველა მოწინააღმდეგეს. კომკავშირს და პიონერებს შეუძლიათ ბევრი რამ გააკეთონ მეორეხარისხოვანი ექსპორტის განვითარების საქმეში. კადრების მომზადებისა და გადანაწილების საქმეში, კომკავშირი უდიდეს როლს ითამაშებს.

ა.ლ.კ.კ. ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, გადაიყვანოს არა ნაკლებ 10.000 საუკეთესო კომკავშირელისა ქვანახშირის რაიონებში, 5.000—რკინის მადნის რაიონებში და 3.000—ახალ მანქანათმშენებლობის და ლითონის ქარხნებში. ქვანახშირის რაიონებში კომკავშირელთა ძალების გადანაწილება [illegible] და მიზნად იმ ანგარიშით, რომ კომკავშირელები მუშაობდნენ არა მაღაროებს [illegible], არამედ მიწის ქვეშ სამუშაოებზე. ბრძოლა ხარისხისათვის და ტექნიკის შესათვისებლად—კომკავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

უნდა დაწესდეს სავალდებულო ტექნიკური მინიმუმი მუშების ყველა ჯგუფებისათვის, გადაჭრით გაიშალოს ბრძოლა რაციონალიზაციისათვის.

მოხსენების დამთავრებისას ამხ. კოსარევმა სთქვა, რომ ამჟამად პარტიისათვის სამეურნეო მშენებლობაში დახმარების გაწევა ნიშნავს ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზისთვის მემარჯვენეებისა და ტროცკისტების წინააღმდეგ. სამეურნეო საკითხები გადამწყვეტი საკითხებია და ამ საკითხების ირგვლივ ჩვენ უნდა აღვზარდოთ ახალგაზრდობა და [illegible] კომუნისტური მსოფლმხედველობა.

ამხ. კოსარევის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი. (ადს).

კულტურული ჩამორჩენილობა ოქტომბრის რევოლუციის მტერია

კახეთის ერთ-ერთ სოფელში მოვხვდი, — კარგა ხანია მას შემდეგ. ჩვენი მასპინძელი უახნის გლეხი იყო, ჩასკვნილი, ძარღვიანი, მკლავმაგარი, პურმარილიანი, საშუალო შეძლებისა.

სალამო იქნებოდა, რომ გამოვემშვიდობეთ და ეზოში როდესაც გამოვედით, ამდროს საქონელი მორეკა ორმა მოზარდმა; იქნებოდნენ თოთხმეტ- თექვსმეტი წლისა. ერთი მეორეზე უკეთესი იყო. ჩასკვნილი, ლოყებგამოკვერილები, დიდრონი, ცეცხლიანი თვალებით ვეფხვებსა ჰგავდნენ.

— ვისია, გეო, ეს ბიჭები? მივმართე მასპინძელს.

— ჩემი გახლავან, შენი ჭირიმე!

— წერა-კითხვა იციან?

— მამაჩემმა თუ წერა-კითხვა არ იცოდა, მიტომა პურს ვერა სჭამდა! წერა-კითხვა რა მაგათი საქმეა! თუ ჭკუითი იქნებიან. შენი ჭირიმე, პური და ღვინო სათხოვარი არ ექნებათ; თუ ჭკუით არ იქნებიან და წერა-კითხვაც ვერას უშველის; ამაყად და თავმომწონეთ მიპასუხა გეომ, თითქოს დიდ სიბრძნეს ამბობდა.

დღეს, როდესაც ჩვენი მთავრობა გაცხოველებულ შეტევას აწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ, ჩემი ნაცნობი გეო მახსენდება.

წერა-კითხვის ცოდნა რომ საჭიროა, სავალდებულო, აუცილებელი ყოველი ადამიანისათვის, თითქოს ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, ამას რაღა მტკიცება უნდა და სხვ.

მაგრამ არა, უნდა და ძალიანაც უნდა. რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ საკმოდ მოიპოებიან ჩემი ნაცნობი გეოს თანამოაზრენი, რომლებსაც არ ესმისთ წერა-კითხვის ცოდნის საჭიროება და აუცილებლობა:

— გლეხსა რათ უნდა, შენი ჭირიმე?

— რა გლეხის საქმეა!

— გლეხსა სადა სცალია მაგეებისთვინა?

— გლეხი თუ წიგნს ჩაუჯდა, ყანა მოუვლელი დარჩება, და სხვადასხვა.

ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ამისთანა ურწმუნოებს, უნდა ჩავუჭედოთ გონებაში, რომ დღეს წერა-კითხვის ცოდნა, სწავლა, განათლება თუ არავისათვის არ არის საჭირო, როგორც გლეხისა და მუშისათვის.

რატომ?

იმიტომ, რომ დღეს ძალა და უფლება მუშებისა და გლეხების ხელშია.

იმიტომ, რომ ისტორიის ჩარხის ტრიალმა ცხოვრების სათავეში მუშები და გლეხები დააყენა.

იმიტომ, რომ მმართველი პარტია გლეხებისა და მუშების შეგნებასა და ნებისყოფაზეა დაყრდნობილი.

იმიტომ, რომ ოქტომბრის რევოლუციამ მუშებსა და გლეხებს დაავალა ახალი ცხოვრების შექმნა, სოციალიზმის განხორციელება.

მეტის მეტად დიდი და ძნელი საქმეა, ასეთი საქმე მარტო დიდ შრომას კი არ მოითხოვს, არამედ დიდ მოთმინებას, დიდ ცოდნას.

თვალახვეული, ბრმა, შეუგნებელი აქ არ გამოდგება, გაკეთების მაგიერად საქმეს წაახდენს და მარტო ჩვენი კი არა, მთელი მსოფლიოს გლეხებისა და მუშების ბედ-იღბალს საფრთხეში ჩააგდებს. წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი, მუშა- თვალახვეულები არიან, ბრმები, რომლებიც ახალი ცხოვრების აშენებლად არ გამოდგებიან.

კახეთის ერთ-ერთ სოფელში მოხვედი, — იქ სადაც წერა-კითხვის უცოდინარობა ფართოდ არის მოკალათებული, შეუგნებლობა ჰარპაშობს.

მთავრობის ყოველგვარ ნაბიჯს, გლეხობისა და მუშების საკეთილდღეოდ გადადგმულს, ყოველგვარ ღონისძიებას ეს შეუგნებლობა ეღობება წინ.

ის კი აფერხებს ახალი ცხოვრების აგების საქმეს.

ჩვენში ბევრია ისეთი პირი, რომელსაც ახალი ცხოვრება პირიქით ეჯავრება. ძველის დაბრუნებაზე ოცნებობს. ასეთი პირების სისინს გასავალი მხოლოდ იქა აქვს, სადაც უცოდინარობა, შეუგნებლობაა!

აქედან ცხადია: წერა-კითხვის უცოდინარობა ასაზრდოებს ყოველგვარ კონტრევოლუციას.

ახალი ცხოვრების სადარაჯოზე ყველაზე უფრო მტკიცედ, ყველაზე უფრო ფხიზლად გლეხები და მუშები უნდა იდგნენ.

რატომ?

იმიტომ, რომ კეთილება დიდი, ისტორიული საქმე ჯერ არსად ნახული და არ გაგონილი: მტკიცედ, მედგრად, შეუპოვრად. მკვიდრად იჭედება მუშებისა და გლეხების კეთილდღეობა.

დღეს ჩვენ ნგრევისა და შენების ხანაში ვიმყოფებით, როდესაც გაჭირვებაც დიდია, შიმშილიც, სიშიშვლეც, მაგრამ ყოველივე ეს წარმავალია, არარაობაა მისთვის, ვინც აქედანვე განჭვრეტს ბრწყინვალე მომავალს, მუშებისა და გლეხების მომავალს.

ვის შეუძლია ამ დიდი მომავლის განჭვრეტა?

მხოლოდ იმას, ვისაც წერა-კითხვის ცოდნით გონების თვალი აქვს ახელილი.

ვისთვისაც ოქტომბრის რევოლუცია ყველაფერია, ის მთელის თავისი არსებით უნდა ამხედრდეს წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ.

ავიღოთ ჩვენი გლეხის ყოველდღიური ცხოვრება, ჯანმრთელობა, მეურნეობა.

ჯანმრთელობის დაცვა შეუძლებელია იქ, სადაც წერა-კითხვის უცოდინარობაა. სადაც აქვს გასავალი მკითხავს. მოლას, ხატს, ექიმბაშს და ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას?

დღეს მეურნეობის ყოველგვარი დარგი ცოდნაზე არის დამყარებული, სადაც ცოდნა არ არის, იქ მეურნეობაც ვერ აყვავდება.

დღეს ჩვენი სოფლის მეურნეობა სრულებით ახალს საფუძველზე შენდება; ჩვენ ვდგევართ დიადი მოვლენების წინაშე და წერა-კითხვის უცოდინარობის ძირიან ფესვიანად ამოფხვრა არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა, როგორც დღეს.

ყოველი გლეხი, ყოველი მუშა, რომელიც დღეს წერა-კითხვას არა სწავლობს, აფერხებს ამით მთელი მსოფლიოს მუშებისა და გლეხების საბოლოო გამარჯვებას.

დღევანდელ დღეს, პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში წერა-კითხვის უცოდინარობა სირცხვილია და მას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ყოველმა გლეხმა, ყოველმა მუშამ.

წერა-კითხვის უცოდინარობა მტერია ოქტომბრის რევოლუციისა!

წერა-კითხვის უცოდინარობა მტერია პროლეტარიატის დიქტატურისა!

წერა-კითხვის უცოდინარობა მტერია საბჭოთა წყობილებისა!

წერა-კითხვის უცოდინარობა მტერია მუშებისა და გლეხების კეთილდღეობისა, მათი საბოლოო გამარჯვებისა!

წერა-კითხვის უცოდინარობა სიმაგრეა მუშებისა და გლეხების მტრებისა!

მაშ ვებრძოლოთ მას მტკიცედ, შევებრძოლოთ მას მედგრად, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში გავანადგუროთ ისე, რომ ჩვენში აღარ დარჩეს არც ერთი უცოდინარი წერა-კითხვისა.

ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა!

გაუმარჯოს ოქტომბრის დიდ რევოლუციას!

ივ. გომართელი.

კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადების გეგმა

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა კვალიფიციურ მუშათა მომზადების საკითხი. გამოირკვა, რომ ამიერ-კავკ. სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული არ არის კვალიფიციურ მუშათა მომზადება არც ამ 1929—30 წელში და არც მიმდინარე ხუთწლედში. სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ ეს გარემოება საფრთხეს უქმნის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპს, წარმოებათა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე და შვიდ საათიან სამუშაო დღეზე გადაყვანას. ამიტომ ამიერ-კავკ. საბჭომ დაადგინა: ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიასთან მოეწყოს ამიერ-კავკ. მთავრობის საუწყებათაშორისო კომისია ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიის, ამიერ-კავკ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის, ამიერ-კავკ. შრომის კომისარიატის, გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს, ამიერ-კავკ. საალმშენებლო კომიტეტის, ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს, მებამბეობის კომიტეტის და „საქართველოს ჩაი"-ს წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალა კვალიფიციურ მუშათა მომზადების გეგმა 1929—30 წელში; ასეთივე გეგმა მიმდინარე ხუთწლედისათვის უნდა დამუშავდეს არა უგვიანეს 1930 წლის 1 თებერვლისა.

რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცათ ასეთივე საუწყებათაშორისო რესპუბლიკანური კომისიები მოაწყონ რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიებთან და დაავალონ მათ კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადების რესპუბლიკანური გეგმები შეადგინონ 1929—30 წლისათვის არა უგვიანეს ამა წლის 15 დეკემბრისა და მიმდინარე ხუთწლედისათვის არა უგვიანეს 1930 წლის 15 იანვრისა.

მიწადმოქმედების ორგანოების რეორგანიზაციის გარშემო*)

> „სოფლის მეურნეობის გეგმით დასახული უდიდესი რეკონსტრუქტიული პრობლემები მოითხოვენ მუშაობის ახალი მეთოდების და ორგანიზაციული ფორმების გამოყენებას. ამ მიზნით უნდა გადაისინჯოს ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების სისტემა, მათ უნდა შეიგნონ, რომ თანამედროვე პირობებში მიწსახკომი, მისი ორგანიზაციები ადგილებზე და კოოპერაცია წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ორგანოებს". (საქ. კ. პ. (ბ) VI ყრილობის რეზოლუციიდან).

სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის სისტემა ამჟამად უნდა ჰგულისხმობდეს დაქუცმაცებულ ინდივიდუალურ გლეხის მეურნეობიდან მსხვილ განსაზოგადოებრივებულ მეურნეობაზე ჩქარი ტემპით გადასვლის უზრუნველყოფას. ამისათვის ჩვენ გვესაჭიროება ისეთი ორგანოები, რომელნიც აგებულია არა ძველი უწყების ან და აღდგენითი პერიოდის პრინციპებზე, არამედ მსხვილი მეურნეობის წარმოების პრინციპებზე. დღემდე მიწათმოქმედების ორგანოს სტრუქტურა და მუშაობის მეთოდი იმ გვარად არის აგებული, რომ ის შეეფერებოდა სოფლის მეურნეობის აღდგენითი პერიოდს.

მართალია, ამ ორგანოში ადგილი ჰქონდა ნაწილობრივ ორგანიზაციულ ცვლილებებს, იცვლებოდა მუშაობის ზოგიერთი მეთოდიც, მაგრამ, მაინც არ შეგვიძლია ვსთქვათ, თითქოს მომხდარიყო სოფლის მეურნეობის სამმართველოს ძირითადი გარდაქმნა. მას კვლავ ახასიათებს ძველი მუშაობის მეთოდები.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდმა დასახა მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები. მიწსახკომი, როგორც ხელმძღვანელი ორგანო, სავსებით უნდა უპასუხებდეს აღნიშნულ მოთხოვნილებებს. კომისარიატი დღეს დატვირთულია მეტის-მეტ წვრილმანი ტექნიკური საკითხებით, რის გამო იჩრდილება მნიშვნელოვანი რთული საკითხები მაგალითად მოსახლეობის ყოველდღიური აგრონომიული და სხვა დახმარების საქმე კოოპერაციისა და კოლექტივების ხელში უნდა გადავიდეს, კომისარიატი კი „უნდა გადაიქცეს მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ორგანიზატორი და აგრიკულტურული რევოლუციის ხელმძღვანელი სოფლის მეურნეობაში, სადაც ჩაბმული უნდა იქნეს ღარიბი და საშუალო მეურნეთა მილიონები". აი სწორეთ ეს თეზისი უნდა გახდეს სახელმძღვანელოდ მიწათ-მოქმედების ორგანოებისათვის.

ზემოთ მოყვანილ დადგენილებიდან გამომდინარე მიწსახკომის მთელი მუშაობის ხასიათის გარდაქმნა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ იგი მთლიანად უპასუხებდეს პარტიის მიერ წამოყენებულ საწარმოო ამოცანებს სოფლის მეურნეობაში, ამის გამო ჩვენმა მიწსახკომი, ისე როგორც რუსეთში, დირექტიულ გეგმიან - მომწესრიგებელ ორგანოს მაგიერ უნდა გახდეს წარმოებითი გეგმიან ოპერატიული ორგანოდ. მისი მუშაობა მთლიანად უნდა დაუკავშირდეს ტრესტებს და საწარმოო კოოპერაციის ორგანოებს.

მიწსახკომის უშუალო ამოცანას უნდა წარმოადგენდეს სასოფლო სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი პრობლემების დამუშავება და მათი ცხოვრებაში პრაქტიკული განხორციელების თვალყურის დევნება. იგი აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს სასოფლო - სამეურნეო გადასახადის, სოფლის მეურნეობის ნაწარმოების ფასების პოლიტიკის და სხვა ძირითად საკითხების დამუშავებაში.

მიწსახკომი უნდა გახდეს ხელმძღვანელი ორგანო ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და შერეულ ორგანოებისა, რომელთაც სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგთან აქვთ საქმე. გარდა უშუალო ხელმძღვანელობისა, მიწსახკომმა უნდა აწარმოოს გეგმიანობა. მანქანა - იარაღებით, მინერალური სასუქით, მავნებელთა საწინააღმდეგო მასალით მომარაგებაში.

მის ამოცანას უნდა შეადგენდეს გამქირავებელ პუნქტების სამიწათმოქმედო მშენებლობის, მასიური კონტრაქტაციის ხელმძღვანელობა, საცდელი საქმის ქსელის გაშლა და ამ ცდებიდან მიღებულ შედეგების მასიური გავრცელება და სხვ.

მომავალში მიწსახკომის ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და კოლონების ორგანიზაციის და წარმოებითი საქმიანობის ხელმძღვანელობა. უშუალო ოპერატიული მუშაობა ამ დარგში უნდა დაეკისროს სპეციალურ სახელმწიფოებრივ, ან კოოპერატიულ ორგანიზაციებს. მიწსახკომი კი მის ხელმძღვანელობის და კონტროლის ფუნქციას უნდა ანხორციელებდეს ამ დაწესებულებების საშუალებებით.

ძირიან - ფესვიანად უნდა შეიცვალოს მიწსახკომის და ადგილობრივ მიწათ-მოქმედების ორგანოების სას.-სამ. კოოპერაციისადმი და განსაკუთრებით კი კოლექტივების სისტემისადმი დამოკიდებულება. მიწსახკომი აღნიშნულ სისტემების წარმოებულ მუშაობას უნდა უწევდეს ხელმძღვანელობას და კონტროლს, ამ სისტემის ოპერატიულ მუშაობაში ჩაურევლად.

მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებით, ყველა ორგანიზაციის გეგმები დაკავშირებული სოფლის მეურნეობის განვითარებასთან, მოქცეულ უნდა იქნას ერთ მთლიან სოფლის მეურნეობის განვითარების და რეკონსტრუქციის გეგმაში. საერთო კონტროლი ამ გეგმის შესრულებაში უნდა ხდებოდეს მიწათ-მოქმედების ორგანოების მიერ.

მიწათ-მოქმედების ორგანოების რეორგანიზაცია არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ მიწსახკომის ცენტრალური მმართველობის რეორგანიზაცია, არამედ ის გულისხმობს მთელი მიწათ მოქმედების სისტემის მუშაობის შეცვლას.

საქართველოს ახალ დარაიონებასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე ისმება ოლქების, მაზრის და რაიონის მიწათ-მოქმედების ორგანოების მუშაობის შეცვლის და განმტკიცების ამოცანა, მის ღარიბ და საშუალო გლეხობასთან დაახლოვების მიზნით. რაიონის მიწათ-მოქმედების ორგანო უნდა წარმოადგენდეს სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს და კლასიური ხაზის გამტარებელს. ჩვენ ჯერ არ გვაქვს მტკიცე საფუძველზე ჩამოყალიბებული ოლქის და რაიონის მიწათმოქმედების ორგანოები. ზოგიერთი რაიონები წარმოდგენილია ერთი ან ორი მუშაკით და აშკარაა, რომ ვერ დასძლევენ მათ წინაშე მდგარ ამოცანების სავსებით გადაწყვეტას.

ქვემდგომ მიწათ - მოქმედების ორგანოები უნდა ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგების განვითარებას. მათ ამოცანას უნდა შეადგენდეს: ტექნიკური დახმარების საქმე. ამა თუ იმ მანქანის გამოყენება, ხელმძღვანელობა რაიონში წარმოებულ კოლექტივიზაციისა, მან თვალყური უნდა ადევნოს კრედიტების სწორად განაწილებას, თესლთაბრუნვის დამუშავებას და ცხოვრებაში გატარებას და სხვ.

ასეთივე ამოცანები უნდა დაისახოს საოლქო მიწათ-მოქმედების ორგანოებზეა, მხოლოდ უფრო ფართო მასშტაბით.

ზემოხსენებული ამოცანების დასმით და მიწსახკომისათვის საწარმოო გეგმიან ოპერატიული ორგანოს ხასიათის მიცემით ჩვენ შევძლებთ დავაახლოვოთ მისი მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხურ მასებთან და დავაწესოთ ერთიანი ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში.

ამ საფუძველზე უნდა შეიცვალოს მიწსახკომის ცენტრალური აპარატი.

ჩვენ აქ შევეხებით მხოლოთ სასოფლო - სამეურნეო სამმართველოს ხაზს. ერთი სას.-სამეურნეო სამმართველოს და საგეგმო კომისიის ნაცვლად, ჩვენი აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ეს რუსეთში მოხდა, ცალკე განყოფილებები, სადაც ხელმძღვანელობა იქნება ცენტრალური და ასრულება კი დეცენტრალიზაციაქმნილი. ჩემს მიერ წამოყენებულ განყოფილებათა სქემა (იხ. ჟურ. „სოფლის კომუნისტი", № 11 (53) 1929 წ.) ცოტათი იცვლება და იღებს შემდეგ სახეს, რომელიც უფრო სწორად უპასუხებს ჩვენი პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს: მიწსახკომის კოლეგია და ცალკე ფუნქციონალური განყოფილებანი.

1) გეგმიან - ეკონომიური (საგეგმო კომისია); 2) განსაზოგადოებული მეურნეობანი (საბჭოთა, კოლექტიური და სამანქანო - სატრაქტორო სადგურები). 3) მეცნიერულ ტექნიკური (საცდელი). 4) მასიურ აგროღონისძიებების და აგროდახმარების. 5) მექანიზაციის (როგორც განსაზოგადოებული, ისე ინდივიდუალური მეურნეობის). 6) სასოფლო - სამეურნეო განათლების. 7) სატყეო. 8) ძვირფას ტექნიკური კულტურების. 9) მიწათ - მოწყობის, მელიორაციისა და გადასახლების 10) მესაქონლეობის და ვეტერინარიის. 11) მემინდვრეობის (პურეული კულტურები და სხვ.).

სამიწათ - მოქმედო ორგანოების ასეთი სახით შეცვლა, უზრუნველჰყოფს აპარატის მოქნილობას და საქმიანობას და მის დაახლოვებას ღარიბ და საშუალო გლეხობასთან.

აგრ. ბ. მესხი.

---

*) დისკუსიის წესით. წინადადებას ვაძლევთ ამხანაგებს, გამოსთქვან თავიანთი აზრი მიწსახკომის განზრახული რეორგანიზაციის საკითხების გარშემო. რედ.

საბჭოთა აპარატის შემოწმება და წმენდა

გორის ოლქში დამთავრდა საფინანსო და მიწადმოქმედების განყოფილებების აპარატის წმენდა: სრულებით მოხსნილია სამუშაოდან 4 კაცი

როგორ მიმდინარეობს წმენდა მიწსახკომში

30 ნოემბერს დაიწყო მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ადმინისტრატიულ-საფინანსო სამმართველოს მუშაკთა წმენდა.

პირველად გამოძახებული იქნა საფინანსო დარგის უფროსი ვ. გურჯაი. მას ახასიათებენ როგორც საქმის მცოდნე და ენერგიულ მუშაკს. ემჩნევა ბიუროკრატიული გადახრა, მისი მთავარი ნაკლია უხეში მოპყრობა თანამშრომლებისადმი.

გურჯაის შემდეგ „გაწმენდილებიდან" შევჩერდებით ალანიაზე. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იგი სახალხო გვარდიაში მსახურობდა ბათალიონის უფროსად. მუშაობდა მენშევიკურ პარტიაში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ ომებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განაგრძობდა არალეგალურ მუშაობას. ამისათვის იგი დაპატიმრებული იქნა პოლიტსამმართველოს მიერ.

ჩოლოყაშვილის ავანტიურის შემდეგ—აცხადებს იგი—დავგმე მენშევიკური პარტია და შევუერთდი ფარნიევის ჯგუფს.

მას ახასიათებენ როგორც ბიუროკრატს.

—:—

2 ნოემბერს გაგრძელდა ამავე სამმართველოს მუშაკთა „წმენდა".

პირველად „იწმინდება" სამმართველოს უფროსი ამხ. კეჭეყმაძე. კომისიის თავმჯდომარე ეკითხება მას, თუ რა მიაჩნია საჭიროდ სამმართველოს რაციონალიზაციისათვის. ამხ. კეჭეყმაძე აცხადებს, რომ იგი არ იწონებს არც რაიბიუროის და არც საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებულ ადმ. საფ. სამმართველოს რეორგანიზაციის გეგმებს. ვინაიდან მისი აზრით ეს გეგმები საკმაო გაუმჯობესებას ვერ შეიტანენ აპარატის საქმიანობაში. მას შემუშავებული აქვს სამმართველოს რეორგანიზაციის საკუთარი გეგმა. სამმართველოს მუშაობის გამომკვლევი კომისიის ერთ-ერთი წევრი ასახელებს ერთ საქმეს, რომელიც მას სამმართველოში აღმოუჩენია და რომელიც წარმოადგენს საქმის გაჭიანურების ნიმუშს.

ამხ. კეჭეყმაძე უპასუხებს, რომ გამოკვლევის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მან მთელ აპარატში შეუნიშნავს საქმის გაჭიანურების მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც ასეთების რაოდენობა ერთეულებით არ განისაზღვრება. საქმის გაჭიანურების შემთხვევებს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში მართალია არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი და სწორედ ამიტომ საჭიროა ამ აპარატის სტრუქტურაში ზოგიერთი კორექტივების შეტანა.

შემდეგ გამოძახებული იქნა კომისარიატის იურისკონსულტი შ. მესხიშვილი. იგი კომისიას მოუთხრობს თავის ავტო-ბიოგრაფიას და აცხადებს, რომ არ არის კომუნისტი, მაგრამ მტკიცედ სდგას საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელ თანამშრომლობის თვალსაზრისზე, ვინაიდან სწამს, რომ დღის საკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს ორ უკიდურეს მიმართულებათა შორის. ამ ბრძოლაში ერთის მხრივ სდგას კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, მეორეს მხრივ კი რეაქციონური პარტიები და მსოფლიო ბურჟუაზია. ვინც განაგრძობს—აცხადებს მესხიშვილი—კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლას, იგი აშკარად რეაქციის საქმეს აკეთებს, ვინაიდან რამდენადაც დიდია რევოლუცია, იმდენად დიდი და საშინელი იქნება რეაქცია, თუ რევოლუცია დამარცხდა. ზომიერ სოციალისტების გამარჯვებაზე ფიქრი ჩვენს პირობებში, მეტი რომ არა ვთქვათ, აშკარა პოლიტიკური უსუსურობაა და ყველა პატიოსანი სოციალისტი ვალდებულია გადაჭრით დაადგეს კომუნისტურ პარტიასთან გულწრფელ თანამშრომლობის გზას, ვინაიდან კომუნისტური პარტიის დამარცხება სოციალიზმის იდეის დამარხვას ნიშნავს.

შემდეგ იგი ეხება საიურისკონსულტო ნაწილის მუშაობას კომისარიატში და აღნიშნავს, რომ როგორც ცალკე განყ-ებმა, ისე მთელმა კომისარიატმა მომავალში მოსამსახურეთა დათხოვნა და ყოველგვარი ხელშეკრულებები წინასწარ უნდა შეუთანხმონ იურისკონსულტს, რათა საქმეში მთლიანად დაცული იქნეს კანონიერება და კომისარიატის უფლებები და რომ შემდეგ კომისარიატს ამ დეფექტების გამოსასწორებლად არ დასჭირდეს ფულისა და დროის დახარჯვა.

თავის თანამედროვე საზოგადოებრივ მუშაობის შესახებ მესხიშვილი აცხადებს, რომ ამ მუშაობას იგი უმთავრესად ეწევა დამცველთა კოლეგიის ხაზით (საკონსულტაციო მუშაობა არმიის ნაწილებში და სხვადასხვა ორგანიზაციებში).

—:—

კურიოზულ მდგომარეობაში ჩავარდა თავისი „დიალექტიკით" იურისკონსულტი. აბაკელია.

მისთვის კომისარიატს დასაცავად ჩაუბარებია ერთი მოხსნილი თანამშრომლის საქმე. სასამართლოში მას უმტკიცებია, რომ თანამშრომელი სამართლიანად არის მოხსნილი. ხოლო ამავე თანამშრომელთან საუბრის დროს, მას განუცხადებია, რომ იგი მოსახსნელი არ იყო.

ამ გარემოებას აბაკელია შემდეგნაირად „ამართლებს":—როგორც ოფიციალური პირი მე ვალდებული ვიყავი „პირნათლად" დამეცვა საქმე იმ მიმართულებით, როგორც ეს კომისარიატს სურდა. ხოლო, როგორც კერძო ადამიანს, მე უფლება მქონდა ჩემი პირადი განწყობილება გამომეთქვა დაზარალებულ თანამშრომლისათვის.

მოქ. აბაკელიას „დიალექტიკით" საბჭოთა დაწესებულება და სასამართლო საქმეებს უნდა უყურებდეს არა სამართლიანობის, არამედ რაღაც განყენებული ფორმალობის თვალსაზრისით.

საბჭოთა აპარატის იურისკონსულტს არ ეპატიება ასე მსჯელობა.

—:—

ცოტა ხნით უნდა შევჩერდეთ კომისარიატის კოლეგიის მდივნის ვლ. სვიმონიშვილის წმენდაზე. ვლ. სვიმონიშვილი მიწვეულია კოლეგიის მდივნად, მას ჩაბარებული აქვს აგრეთვე რეცენზენტობა, ე. ი. როგორც ადგილობრივი ისე ცენტრალურ პრესისათვის თვალყურის დევნება და კომისარიატისათვის საჭირო წერილების აღნუსხვა. გარდა ამისა იგი აწარმოებს სხვა მუშაობასაც და ხშირად რჩება საფინ.-სააღმ. სამმართველოს უფროსის მოადგილედ (მისი სხვაგან წასვლის შემთხვევებში). მის წინააღმდეგ წმენდის დროს გამოდიოდნენ კომკავშირის წევრები, რომლებიც ამბობდნენ, რომ სვიმონიშვილი საკმაოდ არ არის დატვირთული მუშაობით და კარგად ვერ ექცევა შიკრიკებსა და დაბალ თანამშრომლებს. უნდა აღინიშნოს, რომ სვიმონიშვილს თავიდანვე აღელვება ემჩნეოდა და თავი გამომწვევად ეჭირა. მისი აღელვება მის შესახებ მოლაპარაკეთა ნაწილსაც გადაედო.

სვიმონიშვილმა განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ გაზეთში დაიწერა ორი წერილი, რომლებიც სინამდვილეს არ შეეფერებოდნენ. მან ითხოვა ამ საქმის გამოძიება, მაგრამ ადგილკომს მისთვის პასუხი ჯერაც არ მიუცია.

კომისარიატის კოლეგიის წევრის განცხადებით, ვლ. სვიმონიშვილი საქმეებით დატვირთულია და მისი მოსვლის შემდეგ კომისარიატიდან გასაგზავნ ქაღალდების დამუშავების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

კომისარიატის მუშაობის გამომკვლევ კომკავშირელის განცხადებით კი სვიმონიშვილი საკმაოდ დატვირთული არ არის. თუ ეს გარემოება მართალია, მაშინ ჩვენ ვკითხულობთ —სად არის კოლეგია და რატომ არ ზრუნავს, რომ გამოსადეგი მუშაკები საკმაოდ იქნენ დატვირთულნი საქმეებით.

ნ.—ძე.

ა.-კ. შრომის კომისარიატის და სოცდაზღვევის სამმართველოს აპარატის წმენდა

29 ნოემბერს დაიწყო ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის და სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს აპარატების წმენდა. გამწმენდი კომისიის დადგენილებით აქ წმენდა დაიწყო პირდაპირ განყოფილებათა წარმომადგენლების მოხსენებებით. დაწესებულებათა მთლიანი ხელმძღვანელობის შესახებ მოხსენება არ ყოფილა გაკეთებული.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს საორგანიზაციო განყოფილების მოხსენება. მომხსენებელი უმთავრესად შეეხო განყოფილების მუშაობის სქემას. სრულიად გაუშუქებელი დარჩა განყოფილების მუშაობის სუსტი მხარეები და დეფექტები. სამაგიეროდ, კამათში ნათელი გახდა, რომ საორგანიზაციო განყოფილების მუშაობაში ადგილი აქვს მრავალ ნაკლს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოჯამაგირეთა დაზღვევის საქმის მოუგვარებლობა. მოჯამაგირეთა დაზღვევას ფაქტიურად მიღებული აქვს შემოსავლის წყაროს სახე: 1927-28 წელს 13 ათას მოჯამაგირის დაზღვევით შეგროვილი იქნა ანარიცხი 69.000 მანეთი, აქედან სხვადასხვა დახმარების სახით მოჯამაგირეებს მიეცათ 5.000 მანეთი, საორგანიზაციო საქმიანობაზე დაიხარჯა 14.000 მან., ხოლო დანარჩენი თანხა გადავიდა საერთო ფონდში. 1928-29 წელში დაზღვეული იყო 27 ათასი მოჯამაგირე. ანარიცხები შეგროვილ იქნა 81.000 მან. რაოდენობით. მოჯამაგირეებს დახმარებათა სახით მიეცათ 9,5 ათასი მანეთი, საორგანიზაციო სამუშაოზე დაიხარჯა 27.000 მანეთი, ამ ოპერაციებზე სამმართველომ „მოიგო" 64.000 მანეთი საკმაო თანხა დაიხარჯა საორგანიზაციო მუშაობაზე (41.000 მან.), საქმეებით კი ბევრი არაფერი გაკეთებულა. ამას ნათლად მოწმობს ის გარემოებაც, რომ მთელ ამიერ-კავკასიაში აღრიცხულია მხოლოდ ერთი ინვალიდი მოჯამაგირე (ფაქტიურად ინვალიდ მოჯამაგირეთა რაოდენობა, რასაკვირველია, ერთით არ განისაზღვრება). მოჯამაგირეთათვის არ მიუციათ არც ერთი სამშობიარო დახმარება, სამარხი ფული და სხ.

გამწმენდ კომისიის მეორე სხდომაზე „გაწმენდილ" იქნა საორგანიზაციო განყოფილების გამგე ევანგულოვი.

მესამე სხდომაზე, 1 დეკემბერს საფონდო განყოფილების საანგარიშო მოხსენების შემდეგ, „გაწმენდილ" იქნა საფონდო განყოფილების უფროსი სოკოლი.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, თითქო ვისაც კი კომისია გამოიძახებს გასაწმენდათ, ყველა განწირულია პირველი კატეგორიით დათხოვაზე. ეს ამხანაგები გამოდიან მათ დასაცავად და აცხადებენ, რომ ამს და ამ ამხანაგის დათხოვა უსამართლო იქნებაო და სხ.

ამ ამხანაგებმა უნდა იცოდნენ, რომ გამწმენდი კომისიის ამოცანებს შეადგენს არა მარტო დათხოვა, არამედ როგორც მთელი აპარატის, ისე ცალკე თანამშრომლების მუშაობის ნაკლის გამოაშკარავება და გამოსწორება

კ. ტ—ძე.

წმენდა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში

გრძელდება ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატის თანამშრომელთა პირადი შემადგენლობის შემოწმება წმენდაში უკვე გაიარა კანცელარიის უფროსმა—კახუხაშვილმა. როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა, კანცელარიის მუშაობა ძლიერ მოიკოჭლებს. მომსვლელებთან და თანამშრომლებთან კახუხაშვილი უკმეხია. თვითვე აღიარებს, რომ თავს დაუკერილია. თანამშრომლები, რომლებიც ყოველდღიურად ხვდებიან მას თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს, ბრალს სდებენ მას იმაში, რომ მან თავისი ტლანქი მოპყრობით, რაც დევნის ხასიათს ღებულობდა მემანქანე სოკოლოვსკაია თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

იყო შემთხვევა, როდესაც მან შიკრიკი თავისი პირადი საქმისათვის გამოიყენა.

— აწარმოებთ თუ არა რამე საზოგადოებრივ მუშაობას?—ეკითხება მას გამწმენდი კომისიის თავმჯდომარე.

— დიახ... საშეფო საზოგადოებაში..

— რას აკეთებთ იქ?

— წევრი ვარ... საშეფო საზოგადოების... ეპახიან იმას... გამგეობის (?).

— მოიარეთ სოფელი, ჩაატარეთ მოხსენებები?

— არა, ასეთი არაფერი გამიკეთებია

— მაინც გააკეთეთ თუ არა რამე?

ხანგრძლივი სიჩუმე.

სალაპარაკოდ გამოსულებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ კახუხაშვილის დატოვება კანცელარიის უფროსად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. საჭიროა მისი გადაყვანა დაბალ თანამდებობაზე, სადაც შეეძლება შეჩვიოს თავისი ტლანქი ხასიათის შებორკვასო—ამბობენ ზოგიერთები.

შემდეგ იძახებენ ჩაევსკის,—სატრანსპორტო განყოფილების ინსპექტორს.

ჩემს ბიოგრაფიაში არის შავი ლაქა,—თავიდანვე აცხადებს იგი.

ის ყოფილი საკადრო ოფიცერია იმპერიალისტური ომის შტაბ-როტმისტრი. ყველა ჯილდოებით შემოსილი, დენიკინის არმიაში ნამსახური პოლკოვნიკის ჩინით.

იმპერიალისტურ ომში დაჭრის შემდეგ,—აცხადებს იგი,—1918 წელს თბილისიდან საქმიოდ გავემგზავრე ყირიმში. მაგრამ ეკატერინოდარში გავლის დროს მობილიზაციაში მოვყევი. წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან ვიყავი საკომენდანტო რაზმის უფროსი და კრასნოდარში ვასრულებდი სადარაჯო სამსახურს. პოლკოვნიკის ჩინი დენიკინთან მივიღე მექანიკურად, როგორც ყოფილმა შტაბ-როტმისტრმა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვმსახურობდი კავკასიის წითელ არმიაში, ჯერ როგორც ტოპოგრაფიის მასწავლებელი სამხედრო სკოლაში, შემდეგ სამხედრო საგამომცემლო საქმის პასუხისმგებელ მუშაკად ვიყავი 1926 წლამდე. წითელ არმიაში მთელი სამსახური გავატარე უშენიშვნოდ და ვითვლებოდი პატიოსან მუშაკად.

1926 წელს, როგორც, დემობილიზაციით დათხოვნილი სათადარიგო მეთაური ჩავირიცხე ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სამსახურში, სადაც, თანამშრომელთა სიტყვით, კარგად უძღვება თავის სამუშაოს.

— ვის აქვს რამე მამხილებელი ცნობა ამხ. ჩაევსკის შესახებ?—აცხადებს თავმჯდომარე...

ასეთი არ მოიპოება...

წმენდაში ტარდება საექსპორტო და საიმპორტო სამმართველოს უფროსი ამხ. ფანიევი. წარსულში ფანიევი იყო მენშევიკი. 1918 წ. იყო სოხუმის და 1919 წელს თბილისის ქალაქის თვითმართველობის წევრი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მუშაობდა ჯანმრთელობის კომისარიატში პასუხსაგებ თანამდებობაზე.

როდის გამოდით მენშევიკური პარტიიდან?—ეკითხებიან ამხ. ფანიევს.

— საბოლოოდ გავსწყვიტე კავშირი მენშევიკებთან 1922 წელს, თუმცა მანამდეც პარტიასთან მქონდა პრინციპიალური უთანხმოება.

ამხ. ფანიევს, როგორც მუშაკის, შესახებ საუკეთესო აზრის არიან, მაგრამ მის წინააღმდეგ აყენებენ ბრალდებას, რომ სამმართველოს მუშაობას ისე აწყობს, რომ მისი სიდუმლოება მარტო მან იცის და სხვამ არავინ.

ამხ. ფანიევი აღნიშნავს, რომ ეს აიხსნება ობიექტიური მიზეზებით. ასე, მაგალითად, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საექსპორტო განყოფილებაში გამოიცვალა 8 გამგე, რაც შეეხება ხელმძღვანელობას, ამას იგი მუდამ ანხორციელებს საკუთარი გამოცდილების და ცოდნის სხვისთვის გაზიარების სახით. ამას ადასტურებენ თანამშრომლებიც.

ამ სალამოთი უკანასკნელად „იწმინდება" ამხ. პეტრაკოვსკი,—ექსპორტის კონსულტანტი. იგი არის ბოლშევიკური პარტიის ყოფილი წევრი 1904—დან 1909 წლამდე. შემდეგ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა არ მიუღია.

თანამშრომელთა თქმით, ამხ. პეტრაკოვსკი დიდი შრომის უნარით არის დაჯილდოებული და უკიდურესად დატვირთულია საქმით.

აპარატის წმენდის შედეგები გორის ოლქში

გორის ოლქ-ფინგანის და მიწადმოქმედების განყოფილების წმენდა დამთავრდა. წმენდაში ტარდებოდნენ მხოლოდ ის პირნი, რომლებზედაც ან კრებაზე შემოდიოდა საჩივარი, ან და წმენდის დამხმარე კომისიის მიერ იყო დაგროვილი მასალები. აგრეთვე ზოგიერთ საკითხების გამოსარკვევად კომისია აწარმოებდა ზოგიერთ თანამშრომელთა დაკითხვას. ცალკე თანამშრომლების შემოწმების დროს უპარტიო მასის მხრივ იშვიათი იყო ვინმეზე საჩივრის განცხადება. სუსტი იყო აქტივობა პარტიულების და კომკავშირელების მხრივაც, რის გამოც კომისიას თვითონ უხდებოდა ანტისაბჭოთა ელემენტების გამოაშკარავება შეკითხვების საშუალებით.

წმენდის დროს გამომჟღავნებულ იქნა, რომ საფინგანის და მიწადმოქმედების განყ. აპარატში მოკალათებულნი არიან ყოფილი თავად - აზნაურები და ჩინოვნიკები, ბიუროკრატები, ფორმალისტები, ზანტი-ზარმაცი, ვაჭრების და სპეკულიანტების მოკავშირე ელემენტები, შრომის დისციპლინის სისტემატიურად დამრღვევნი და სხვა.

ოლქფინგანის და მიწადმოქმედების განყ. წარსულ მუშაობაში კომისიამ აღნიშნა მთელი რიგი დეფექტები, როგორიცაა, მაგალითად, საქმის უმსგავსო გაჭიანურება, ფუნქციების სუსტად განაწილება, აპარატის რაციონალიზაციისადმი სრული უყურადღებობა, სას.-სამეურნეო გადასახადის გაწერის დროს მთელი რიგი შეცდომების დაშვება, კანონით გათვალისწინებული შეღავათების გაუვრცელებლობა იმ მეურნეობებზე, რომლებმაც წელს გამოიყენეს აგრო-კულტურული ღონისძიებანი, სხვადასხვა დაწესებულებების თანამშრომლებზე გაცემული დიდძალი თანხების ასაკრეფათ რეალური ღონისძიებების მიუღებლობა, გლეხების განცხადებებზე დროზედ პასუხის გაუცემლობა და სხვა.

ოლქფინგანის და მიწადმოქმედების განყოფილების 45 თანამშრომლიდან, შემოწმებაში გატარებულ იქნა 15 კაცი, მათ შორის წამოყენებულ ბრალდებების დაუმტკიცებლობის გამო სრულიად გამართლებულ იქნენ და დატოვებულ თავიანთ თანამდებობებზე 3. მიკიტნებთან ქეიფის, ხელისუფლებისათვის სახელის გატეხისა, საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებისა და სამსახურში გამოუცხადებლობისათვის, სრულებით მოიხსნენ სამსახურიდან პირველი კატეგორიით და აეკრძალათ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანოებში რაიმე თანამდებობის დაჭერა შემდეგ პირებს: **წერეთელი დიმიტრი ვასილის ძე**—ოლქფინგანის ადგილობრივ გადასახადის ინსტრუქტორი. წარმოშობით აზნაური, მეფის და მენშევიკების ყოფილი ოფიცერი, **ხუციშვილი ალექსანდრე ბიქტორის ძე** — იმავე დაწესებულების ბუხჰალტერი, მავნე ელემენტი, ვაჭრების და სპეკულიანტების მოკავშირე, თანამდებობის ბოროტად გამომყენებელი, ლოთი, სისტემატიურად შრომის დისციპლინის დამრღვევი, **წერეთელი სვიმონ დიმიტრის ძე** — წარმოშობით თავადი, ყოფილი მემამულე, გაწმენდა როგორც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრების გარეშე მდგომი და საბჭოთა აპარატისათვის ზედმეტი ბარგი. მათთან ერთად მოხსნილია იმავე ოლქფინგანის მდივანი **მელიქიშვილი იოსებ ივანეს ძე**, წარმოშობით აზნაური, მეფის დროის ჩინოვნიკი, გაიწმინდა როგორც ბიუროკრატი, ფორმალისტი, ყოველგვარ პოლიტიკურ და საზოგადო საქმეების გარეშე მდგომი, რომელსაც წარმოდგენაც კი არ აქვს თუ რა არის პროფკავშირი და არ ხედავს არავითარ განსხვავებას მეფის დროის დაწესებულებაში და საბჭოთა აპარატში მუშაობის შორის. მოიხსნენ მესამე კატეგორიით—ედილაშვილი და მგელაძე—მიწადმოქმედების განყოფილების თანამშრომლები, გარდა იმისა, რომ გამოეცხადათ მათ სასტიკი საყვედური, უკანასკნელი გაფრთხილებით მლიქვნელობისა, გლეხობისადმი უხეშად მოპყრობისა და სამსახურში ვაჭრების შვილების მოწყობისათვის, მათზე შემოსული მასალები, რომლებითაც მათ ბრალი ედებათ [illegible] თანხების გასამართლებლად ყალბი საბუთების წარმოდგენაში და სხვადასხვა კერძო პირებზე ყალბი საბუთების გაცემაში, გადაეცა გორის ოლქის პროკურატურას — გამოსაძიებლად და სათანადო მსჯელობის მისაცემად.

იური.

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხი

რეალიზაციის კამპანიის შედეგები თბილისში

დამთავრდა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციების რეალიზაცია ქალაქებში. თბილისში (ქალაქში) გასაღებულია სულ 6.778.525 მანეთის ობლიგაცია, საკონტროლო ციფრი (4 მილიონი მანეთი) დაფარულია 69,46 პროცენტის გადაჭარბებით. მთელი რაოდენობიდან რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა შორის გასაღებულია (თბილისის კვანძი) 1.295.040 მანეთის, წითელ-არმიელთა შორის 350.000 მანეთის და კერძო სექტორზე 275.000 მანეთის ობლიგაცია. დანარჩენი თანხა—4.858.485 მან. შეგროვილია მუშა-მოსამსახურეთა შორის კოლექტიური ხელის მოწერით. მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა თბილისში უდრის 50.758 კაცს. აქედან სესხზე ხელი მოწერილი აქვს—47.247 კაცს, რაც შეადგენს მთელი რაოდენობის 93,1 პროც. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის თვიური ფონდი, თბილისში უდრის 4,6 მილიონ მანეთს, ასე, რომ ეს ფონდი დაფარულია 4 პროც. გადაჭარბებით.

სოხუმი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

დაუდევრობა თამბაქოს დახარისხებაში

სოხუმი, 3 დეკემბერი. წელს აფხაზეთში „ზაკგოსტორგის" მიერ დამზადებული საექსპორტო თამბაქო თვალსაჩინოდ გაიზარდა.

მაგრამ დამხარისხებლების ნაკლებობას და მათს სუსტ გამოცდილებას სხვადასხვა შეცდომები მოჰყვა.

ამის შედეგი ის იყო, რომ გენერალური დახარისხების დროს გუმისტის რაიონის თამბაქოს კოოპერატივის საწყობში გამოირკვა ხარისხების დაწევა 50—60 პროცენტით.

„ზაკგოსტორგის" მიერ ჩამორთმეული თამბაქო, დღევანდელი სახით, საექსპორტოდ არ გამოდგება. საჭიროა მათი ხელახლა დახარისხება, რაც დიდ დროს და სახსრებს მოითხოვს. საშუალოდ, კოოპერაციის თამბაქოს 40 პროცენტი (სოხუმში) ხელახლა შესაკეთებელია და მთელი 100 პროცენტი გასაწმენდია ნაგვისაგან და სხვ

ყოველივე ეს იმას გამოიწვევს, რომ საექსპორტო თამბაქოს თვითღირებულება 25—30 პროცენტით გაიზრდება.

„ზაკგოსტორგმა" საკითხი აღძრა იმის შესახებ, რომ მას საექსპორტო თამბაქოს დამოუკიდებელი ფერმენტაციის უფლება მიენიჭოს.

ბიუროკრატიზმი მიწათმოქმედების კომისარიატში

სოხუმი, 3 დეკემბერი. აფხაზეთში, სადაც აგრეთვე სწრაფად იზრდება კოლექტიური მშენებლობა, დღევანდლამდე ახალი კოლექტივების რეგისტრაციაც ძალიან გაძნელებული იყო საქმის იმ გაჭიანურების წყალობით, რომელიც გაბატონებულია მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში და კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრში.

ზოგიერთი გაერთიანებანი თვეობით უცდიდნენ წესდების დამტკიცებას, გამოგზავნილი კაცები მთელი კვირაობით ცხოვრობდნენ სოხუმში და იცდიდნენ დაწესებულებათა კართან.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა შექმნილი კოლექტიური მეურნეობანი იშლებოდნენ ან ჰკარგავდნენ თავის წევრებს, რომლებსაც იმედი გადაუწყდებოდათ, რომ კოლექტიური მეურნეობა როდისმე ჩამოყალიბდებოდა.

მიწათმოქმედების კომისარიატმა მხოლოდ ამ დღეებში გადასწყვიტა—გადატანილ იქნას რეგისტრაცია მაზრების საადგილ-მამულო განყოფილებებში.

მშენებლობა აფხაზეთში

სოხუმი, 3 დეკემბერი. „აფკავშირმა" კომისია შეჰქმნა ბაზარზე გამოტანილი საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად.

გადადებულია თანხები რადიო-კავშირის გასაბმელად მიყრუებულ სოფლებთან—ფსხუსთან, აჟარასთან, ტყვარჩელთან და სხვ.

ოჩემჩირეს ნავთსადგურის აშენებისათვის საჭირო გამოკვლევის მოსახდენად გადადებულია 40 ათასი მანეთი. გამოკვლევას შეუდგებიან დეკემბრის დამდეგს.

მომავალ სეზონისათვის აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭომ მშენებლობაზე გადასდო 12.800.000 მანეთი. 20 იანვრისათვის ყველა მშენებელმა ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს თავისი გეგმები და ანგარიში.

ნ. ვერუბა.

გამოვიდა და იყიდება
ჟურნალი
„საქართველოს მუშ-გლეხკორი" № 13-14
გაზ. „კომუნისტი"-ს გამოცემა.

მუშკოოპმა უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობა

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება

საქართველოს სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა თბილისის მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ერისთავის მოხსენება მუშკოოპის 1928-29 წლის მუშაობისა და მისი საქმიანობის პერსპექტივების შესახებ 1929-30 სამეურნეო წელში.

მოხსენების გამო სხდომამ აღნიშნა, რომ მუშკოოპს ერთგვარ მიღწევებთან ერთად, რაც გამოიხატა სავაჭრო ბრუნვის თვალსაჩინო ზრდაში და მუშკოოპის ხვედრითი წონის გადიდებაში თბილისის ბაზარზე, მოსახლეობის კოოპერატიული გაერთიანების პროცენტის გაფართოებაში, საპაიო კაპიტალის ზრდაში და საზოგადოებრივ-მასიურ მუშაობის გაუმჯობესებაში, აქვს მთელი რიგი დეფექტები, რომელთაგან უმთავრესია:

დეფექტები მუშკოოპის მუშაობაში

მუშკოოპის არასაკმაო ხვედრითი წონა საწვრიმალო ბაზარზე, სავაჭრო ქსელის სუსტათ განვითარება ქალაქის განაპირა უბნებში, ბიუროკრატიული გადამახინჯებანი როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე მის ქვედა საფეხურის ქსელში, არანორმალური ურთიერთობა გამყიდველებსა და მყიდველებს შორის, სისტემატიური ქურდობა და გაფლანგვები, მყიდველების წონაში და ზომაში მოტყუილება, რაც შედეგია იმისა, რომ მუშკოოპის აპარატში მოკალათებული არიან სოციალურად უცხო და საბჭოთა კოოპერაციისათვის მავნე ელემენტები.

ჯერ კიდევ მოწესრიგებული არ არის პურის ცხობა, პურის ქარხნების მშენებლობა გაჭიანურდა; პურის ცხობის თვითღირებულება დიდია. ბაზარზე გამოდის სხვადასხვა ხარისხის პური, რაც შედეგია პურის მცხობელ ორგანიზაციების შეუთანხმებელი მუშაობისა და აგრეთვე პურის ცხობის ერთიან შესწავლილ და შემოწმებულ მეთოდების უქონლობისა.

დეფიციტიანი საქონელი არარაციონალურად ნაწილდება. მანუფაქტურის წარმოება-დაწესებულებებში განაწილების პრაქტიკამ ვერ გაამართლა თავისი თავი; საკმარისად განვითარებული არ არის საზოგადოებრივი კვების ქსელი. ეს ქსელი ცუდ მდგომარეობაშია როგორც მოწყობილობის, ისე სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების მხრივ.

მიუხედავად იმისა, რომ მუშკოოპის ხვედრითი წონა რძის ბაზარზე საკმაოდ დიდია, მშრომელი მოსახლეობის აღნიშნულ პროდუქტით დაკმაყოფილება სრულებით არ არის საკმარისი, რაც გამოწვეულია ნედლეული ბაზის უქონლობით, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა მცირე ხვედრითი წონით და მერძეობის ცენტრალური ფერმის მოწყობილობის სიძველით.

ღონისძიებები მუშკოოპის მუშაობის გასაუმჯობესებლად

აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად და მუშკოოპის შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად, საქართველოს სახკომსაბჭომ წინადადება მისცა თბილისის მუშკოოპს გადასინჯოს არსებული სავაჭრო ქსელის განაწილება ქალაქის ცალკე რაიონებს შორის და კურსი აიღოს მუშათა რაიონების მოთხოვნილების რაც შეიძლება უკეთესად დაკმაყოფილებაზე. საფუძვლიანად გადასინჯული უნდა იქნეს აპარატის მთელი პირადი შემადგენლობა და სათანადო რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარებით მოწესრიგებული უნდა იქნას შტატის ხარისხობრივ და რიცხვობრივ შემადგენლობის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა [illegible] მომზადებას, უმთავრესად ახალგაზრდობიდან, და აპარატის გამუშურებას.

გადასინჯული უნდა იქნეს საქონლის დამზადების გეგმა იმის და მიხედვით, თუ რა როლს თამაშობს ესა თუ ის საქონელი მუშის ბიუჯეტში. უნდა გაძლიერდეს ჩქარა გასაფუჭებელ საქონლის (ხორცი, ბოსტნეული, ხილეული და სხვ.) დამზადება. აღნიშნული პროდუქტების მიწოდების გაძლიერების მიზნით, მუშკოოპი წელსვე უნდა შეუდგეს ბოსტნეულის მეურნეობების და მერძეობის ფერმების მოწყობას ქალაქის ახლო მდებარე რაიონებში.

გაფართოებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი კვების ქსელი. წინადადება მიეცა საქართველოს ს. მ. უ. ს. გამოძებნოს მსხვილ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებებთან სათანადო ბინები და მოწყობილობა სასადილოებისათვის, და აგრეთვე გაითვალისწინოს სასადილოების ბინების აგება ახალ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის დროს.

მუშკოოპს დაევალა ერთი თვის განმავლობაში გაატაროს ცხოვრებაში მუშკოოპის წევრთა მიმაგრება დეფიციტიანი საქონლის განაწილების მხრივ ცალკე სავაჭრო წერტილებზე; გაუქმებული უნდა იქნეს საქონლის წარმოება დაწესებულებებში განაწილების არსებული სისტემა.

მუშკოოპს ნება მიეცა დროებით დამოუკიდებლად გამოვიდეს დამზადების ბაზარზე, ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დაევალა სისწორით განსაზღვროს დამზადების ბაზრები, რათა დამზადების ბაზარზე დაშვებული არ იქნეს შეხლა-შემოხლა და შეუთანხმებელი მუშაობა მუშკოოპსა და სხვა ორგანიზაციებს შორის.

მუშკოოპის მთელი აპარატი უახლოეს ხანში გადაყვანილი უნდა იქნეს განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს წინადადება მიეცა შეიმუშაოს მანუფაქტურის და სხვა საქონლის სულობრივ განაწილების გეგმა და ერთი თვის განმავლობაში წარუდგინოს სახკომსაბჭოს თავისი აზრი ამ საკითხზე.

გადამწყვეტი ზომები უნდა იქნეს მიღებული გამფლანგველთა წინააღმდეგ, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნან სამუშაოდან და მიცემული იქნენ პასუხისგებაში. იუსტიციის კომისარიატს წინადადება მიეცა გამოყოს სპეციალური გამომძიებელი მუშკოოპში მომხდარ გაფლანგვებისა და ქურდობის საქმეებისათვის.

დასმული უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომ-სარიატის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის გეგმაში გათვალისწინებული იქნეს სომხეთიდან რძის შემოტანის გაფართოება.

მიწსახკომს წინადადება მიეცა გადასინჯოს თბილისის რაიონში არსებული ყველა მერძეობის ფერმების გეგმები იმ მიზნით, რომ გადიდებულ იქნეს ძროხების რიცხვი და მათი ნაყოფიერება.

საქართველოს საგეგმო კომისიას დაევალა გადასინჯოს ფაბრიკა-სამზარეულოს აგების გეგმა და მისი დამთავრების ვადა შემოკლოს წელიწადნახევრამდე.

ცეკავშირს და „ზაკსოიუზს" წინადადება მიეცათ არა უგვიანეს 1930 წლის 15 იანვრისა დაამთავრონ ახალი პურის წიგნაკების შემოღება ყველა წინასწარ გათვალისწინებულ ქალაქებში.

ყველა ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შესრულების შემოწმება ჩატარებული იქნება იანვრის პირველ რიცხვებში.

წერილები ადგილებიდან

შრომის დაცვის საქმე ჭიათურის მაღაროებში

დღემდე ჭიათურის მაღაროებში არ სწარმოებს უბედურ შემთხვევების ზუსტი და ზედმიწევნით სწორი აღრიცხვა. ამ მხრივ აღსანიშნავია განსხვავება სხვადასხვა დაწესებულებათა მასალების შორის მაგ. ტრესტების სტატისტიკურ განყოფილებაში უბედურ შემთხვევათა რიცხვი 1927 წლის განმავლობაში უდრის 499-ს, ხოლო შრომის ინსპექციის მასალების მიხედვით 620-ს. 1928 წლ. ტრესტის ცნობით მომხდარა 145 შემთხვევა, შრომის ინსპექტორის მასალით კი 221 შემთხვევა. 1929 წლ. 6 თვის განმავლობაში ტრესტის მასალით 165 შემთხვევა, შრომის ინსპექციის ცნობით 196. თუმცა 1929 წ. მასალების მიხედვით ვხედავთ დასახიჩრების თვალსაჩინო შემცირებას გასულ წლებთან შედარებით, მაგრამ ამ მხრივ საქმე მაინც არ არის კარგათ დაყენებული. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ 1928 წლ. ივლისამდე ჭიათურის საავადმყოფოში გაუვლია 210 დაზარალებულს, რომელთაც საავადმყოფოში გაუტარებიათ 1854 დღე. 1927—28 წლ. დროებითი შრომის უნარის დაკარგვის გამო დამზღვევ სალაროს გაუცია დახმარება 354 დაზარალებულისათვის. თუ შევაჯამებთ ყველა ამ ხარჯებს, რომლებიც დაზარალებულს სჭირდება სამკურნალოდ და გაცდენილ დღეების საფასურს, საგრძნობ თანხას მივიღებთ.

გამორკვეულია აგრეთვე, რომ დასახიჩრების პროცენტი ნაკლებად კვალიფიკაციურ მუშებზედ მოდის. თუ უბედურ შემთხვევების მიზეზებს გავეცნობით, ვნახავთ, რომ აქ პირველი ადგილი უჭირავს ვაგონების გადაბრუნებას. ლიანდაგიდან გადავარდნას და დაჯახებას. მეორე ადგილი ხელსაწყო იარაღების მანქანების მიზეზებს, მესამე მადნის ჩამოვარდნას და დაცემას და მეოთხე შემთხვევითა ხასიათის დანარჩენ მიზეზებს. თუ პირველი სამი მიზეზი შეიძლება ტექნიკურ ზედამხედველობის სისუსტით აიხსნას, უკანასკნელი მიზეზი უსათუოდ არაკვალიფიციურ მუშათა სიჭარბით და სხვა ფაქტორებით აიხსნება.

მუშების ყოფაცხოვრებაც ვერ არის სათანადოთ მოგვარებული. მუშათა საცხოვრებლების საერთო და სასადილოების სიმცირესთან ერთად, მეტად ანტი-სანიტარული მდგომარეობაა. აღსანიშნავია აგრეთვე ზოგიერთ მაღაროებში არასაკმარისი განათება, მაგ. პერევისის სექციაში და სხვა, სადაც გასანათებლად ხმარებაშია უბრალო ნავთის სანათურები.

შავი ქვის ტრესტის განკარგულებაში 1928—29 წლისათვის სპეციალურად შრომის პირობების გასაუმჯობესებლად ითვლებოდა 175.000 მან. ამ თანხიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია დახარჯული. ღონისძიებების ჩატარების ვადა გაგრძელებულია პირველ იანვრამდე.

ვ. დოლიძე.

—:—

საცხოვრებელი სახლი თუ სატუსაღო (ბათომი)

ბათომში, ზღვის ქუჩაზე რკინის გზა აშენებს საცხოვრებელ ბინებს მუშებისათვის. სახლებს არა აქვთ საკმარისი ფანჯრები. ზოგიერთ ოთახებს სრულებით არა აქვთ ფანჯრები, ასეთი შენობები შენდება მუშა-მოსამსახურეების საცხოვრებლად. 2 სახლი უკვე დამთავრებულია. განზრახულია კიდევ ოთხი სახლის აშენება.

ამ ახალმოდის სახლების გეგმა მიღებულია ა.-კ. რკინის-გზის სამმართველოდან. სჩანს რკინის გზის მმართველობაშიაც არის ისეთი მავნებლების ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებული არიან ხელი შეუშალონ ჩვენს აღმშენებლობას და ასეთი უგეგმო და უყაირათო მუშაობით ასი ათასობით ზარალი მიაყენონ ჩვენს წარმოებას.

სათანადო ორგანოებმა საჩქაროდ უნდა მიაქციონ ამ საკითხს ყურადღება. საგზაო კომიტეტმა ხელახლად უნდა განიხილოს სახლების გეგმა.

აც.—ლი.

—:—

რეცეპტებს გაუსინჯავათ უწერს (ქუთაისი)

თურმე ყოფილან ისეთი ექიმები, რომლებიც ავადმყოფების გასასინჯათ არ იწუხებენ თავს და ავადმყოფებს სიტყვიერი განცხადებით უწერენ რეცეპტს. ასე იქცევა ქუთაისის დამზღვევ განყოფილების ექიმი ბაკურაძე, რომელიც სრულ უყიცობას იჩენს მასთან მისულ ავადმყოფისადმი. ავადმყოფს ის სრულებით არ სინჯავს. იგი უჯერებს ავადმყოფის განცხადებას და რეცეპტის გამოსაწერათ ამით კმაყოფილდება. ამას კი ხშირად ცუდი შედეგი მოსდევს, ავალაპარაკოთ ფაქტები:

ხუნწარიძეს წამალი გამოუწერა გაუსინჯავათ, ავადმყოფმა დალია წამალი და იმავე დღეს სასწრაფო დამხმარე ავტომობილით წაიყვანეს საავადმყოფოში; კაკაშვილი მისი წამლების შემდეგ ლოგინად ჩავარდა. ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია. ჯანმრთელობის განყოფილებამ უნდა გამოარკვიოს ეს საქმე.

[illegible]

ხელს უშლიან მუშაობას (ხონის ხე-ტყის სახერხი ქარხანა)

ხონის ხე-ტყის სახერხი ქარხანა ოქტომბრიდან გადავიდა ქუთაისის საოლქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განკარგულებაში.

ქარხანა დიდ დახმარებას უწევს ქუთაისის ოლქში სახელმწიფო და კერძო აღმშენებლობას, მაგრამ სატყეო განყოფილება ქარხანას აღარ აძლევს ნედლ მასალას, რის გამო ქარხანა წელიწადში მხოლოდ 4-5 თვეს მუშაობს. ამჟამად ქარხანას აქვს ნედლი მასალის 5 თვის მარაგი. მომავლისათვის ნედლი მასალის დამზადება არ სწარმოებს, რადგან მიწსახკომის სატყეო განყოფილების თანამშრომლები; სურგულაძე, გორდეზიანი, ბაქრაძე და ჯაყელი არ აძლევენ ქარხანას მასალის დამზადების უფლებას იმ საბუთით, რომ ვითომც სვანეთის აგარაკებში გამოილია ხე-ტყის მარაგი.

სურგულაძე კიდეც დაემუქრა ხონის ქარხნის რწმუნებულს სვანეთში, რომ თქვენს ქარხანას დავკეტავთო. სურგულაძის, გორდეზიანის, ბაქრაძის და ჯაყელის ასეთი განცხადება აღშფოთებას იწვევს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებში და ხონის რაიონის გლეხობაში. საჭიროა ამ მდგომარეობას მიექცეს ყურადღება.

მე—ლი.

—:—

უნაყოფო შრომა და ზედმეტი ხარჯები

ყოფ. მადათოვის კუნძულის ანტისანიტარული მდგომარეობა არა ერთხელ იყო აღნიშნული პრესაში. კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ განიზრახა ამ კუნძულის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება. კუნძულის არხში მდინარე მტკვრის გაუქმებული ტოტი (მდგარი წუმპე-შლამის) ამოსავსებად გადმოზიდული იქნა დიდძალი მიწა სანაპირო ქუჩიდან, მაგრამ სამწუხაროდ ამას შრომის, ხარჯის და ზარალის მეტი არაფერი მოჰყოლია. რამოდენიმე დღის შემდეგ დაყრილ მიწას, წუმპე და სხვა სიბინძურე ისევ თავზე მოექცა და ძველებურად სწამლავს მიდამოს.

ქალაქის ზემონაწილიდან, გლეხთა სასახლის ბოლოში ძველი დროიდანვე ჩამოდის საკანალიზაციო არხი. წინედ, როცა აქ მტკვრის ტოტი გადმოდიოდა სიბინძურე წყლის საშუალებით იწმინდებოდა. დღეს კი, როდესაც ამ კანალიზაციის სიბინძურე უძრავად გროვდება არხში, საჭიროა უფრო სერიოზული და რადიკალური ზომების მიღება. მიწის ჩაყრით ეს საქმე არ გაკეთდება და გაწეული ხარჯები უშედეგო ზარალად ჩაითვლება.

კანალიზაციის მილი უნდა გაგრძელდეს მდინარემდე. მაშინ ექნება მნიშვნელობა ბინძურ გუბეების ამოშრობას. უამისოდ რაც უნდა ბევრი ხარჯები გავწიოთ, ზარალის მეტს ვერავითარ ნაყოფს ვერ მივიღებთ.

ჯაფარ-ფაშა.

—:—

წერილებიდან

◆ ქ. თელავის ჩულქების საქსოვ კოლექტივში გაბატონებული არიან ყოფილი ვაჭრის ცოლები, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰყავთ შინამოსამსახურეები და სცხოვრობენ ძველებურათ. ესენი არიან: თანდილოვა, ხუციშვილი და მარო ლაფაური. ეს ქალბატონები საშინელ ექსპლოატაციას უწევენ კოლექტივის ღარიბ წევრებს და სხვისი შრომით თვითონ ივსებენ ჯიბეს. თუ ვინმემ რამე ხმა ამოიღო ამაზე, მაშინვე მოხსნიან სამუშაოდან. ამ ნიადაგზე მოხსნეს ოლა ტყემალაძე და ნინა კონსტანტინოვა.

კავალერისტი.

◆ ამ დღეებში თბილისის მაუდის ფაბრიკას ესტუმრა ტრამვაის მუშათა ექსკურსია. მუშებმა გულდასმით დაათვალიერეს ფაბრიკა, რომლის მოწყობილობაზე და მნიშვნელობაზე ახსნა- განმარტებას აძლევდა ამხ. რაჭველიშვილი. მაუდის ფაბრიკის ამუშავება საუცხოო ნიშანია იმისა, რომ ხუთწლიან გეგმას მუშები ვადაზე ადრე შეასრულებენ. ასეთი რწმენით დაბრუნდნენ ტრამვაის მუშები მაუდის ფაბრიკიდან.

მ. კ.—ში.

◆ რკ. გზის სამასალო დარგში ყველაფერი რიგზე არ არის; ივლისში გამოვიდა ბრძანება № 4584 ფასების შეცვლის შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა მეორე ბრძანება, რომლითაც უქმდება პირველი. ამან გამოიწვია საქმეების არევ-დარევა და ზედმეტი ხარჯები. ასეთივე მდგომარეობაა ახალი სამასალო ნომენკლატურის წიგნის შესწორებაზე. დროა ასეთ უთავბოლობას ბოლო მოეღოს.

მიტო.

— ქ. სიღნაღის „ეპო"-ს გამგე, ივანე საამოვი ცნობილი ვაჭარია. მას არავითარი კავშირი მშრომელ მასასთან არას დროს არ ჰქონია. პირიქით, საამოვი ულმობელად აძრობდა ტყავს მშრომელ მოსახლეობას. დღეს კი მას სიღნაღის „ეპო"-ში საპასუხისმგებლო ადგილი უკავია. როგორ მოხდა ეს?

იქაური.

— სახლებში რადიო-მიმღების გაყვანა ერთობ ძვირი ჯდება. მარტო ხაზის გაყვანა ღირს 40 მანეთი, რომლის გადახდა მუშას უძნელდება. რადიოცენტრმა ცოტათი მაინც უნდა გააიაფოს რადიოს გაყვანა ბინებზე.

ჯილავდრიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

თბილისის საბჭოს პლენუმი

2 დეკემბერს თბილისის მუშათა თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა, რომელზედაც ადმინისტრატიული განყოფილების მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა განყოფილების უფროსმა ამხ. ს. ხმალაძემ, ხოლო მილიციის ადმინისტრატიულ-უფლებრივი სექციის გამოკვლევის შედეგების შესახებ—ამხ. პოპოვმა. შემდეგ მოსმენილი იქნა თბილისის ზოოპარკის დირექტორ ამხ. მარკოვის მოხსენება ზოოლოგიური პარკის მშენებლობის შესახებ.

საბინაო მშენებლობა თბილისში

ბინათ-კავშირმა მიიღო დადგენილება საბინაო საამშენებლო ამხანაგობათა გამსხვილების შესახებ. ამ დადგენილების მიხედვით თბილისში იარსებებს ხუთი საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა: ლენრაიონში—რკინისგზელთა გაერთიანებული ამხ-ბა; ქალაქის რაიონში—ლენინის სახელობის და ა. ენუქიძის სახელობის ამხანაგობები და ამხ-ბა „ვაკე"; ავლაბარ-ხარფუხში საბინაო-საამშ. ამხ. უნდა დაარსდეს. ა. ენუქიძის სახელობის საბინაო საამშ. ამხანაგობას უნდა შეუერთდეს ამხ. „წინ" ან „კოოპერაცია".

შეშის მაგიერ ნახშირი

სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით ქალაქში ყოველი ახალი სახლი აგებული უნდა იქნას იმგვარად, რომ მისი გათბობა შეიძლებოდეს ტყიბულის ქვანახშირით. გარდა ამისა ამ მიზნით იწარმოებს ზოგიერთი შენობების გადაკეთება.

მოზარდების ჯანმრთელობის დაცვა

შრომის კომისარიატმა დაადგინა—აკრძალოს ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებებში მოზარდების (16 წლამდე) დაშვება სამუშაოდ.

მელიორაცია

წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასწყვიტა ბორჩალოს მებამბეობის რაიონში გააფართოოს მორწყვის სისტემა ისე, რომ შესაძლებელი გახდეს 14.000 ჰექტარის მორწყვა.

კანაფის საბჭოთა მეურნეობა

სააქციო საზ-ბა „კენაფ"-მა გადასწყვიტა წნორის წყლის რაიონში მოაწყოს კანაფის საბჭოთა მეურნეობა 2.000 ჰექტარზე.

ხილის სახმობი ქარხანა

საქ. კომისართა საბჭომ ოზურგეთის სამაზრო აღმასკომს გადასცა 16.000 მანეთი ხილის სახმობ ქარხნის მოსაწყობათ.

თბილისის აღმასკომში

დიდ საზოგადო საბანოს მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა გადასდო 25.000 მანეთი.

◆ **მილიციელთა საერთო საცხოვრებელი.** აღმასკომმა გადასწყვიტა აგოს მილიციელთა საერთო საცხოვრებელი.

სხვადასხვა

◆ **კომუნალ. მეურნეობის მუშაკთა კულტ-კონფერენცია.** დღეს საღ. 6 საათზე წყალსადენის მუშათა კლუბში (ელიზის და საბჭოთა ქ. კუთხე) დანიშნულია კომუნალური მეურნეობის მუშაკთა საქალაქო კულტ-კონფერენცია.

„მნათობი"

გამოვიდა ჟურნ. „მნათობი"-ს მორიგი ნომერი (№ 10) შემდეგი შინაარსით: **მხატვრული ლიტერატურა:** პეტრე სამსონიძე—(ქუთათელაძე)—პოემა ხუთწლიან გეგმაზე, **იოჰანეს ბეხერი**—მასსები (თარგმანი ქ. გ.), **როდიონ ქორქია**—ყველაფრის უფლება, **რაჟდენ გვეტაძე**—თიღ (გაგრძელება), **პ. მ. საყვარელიძე**—დაფანტული ფურცლები, **მათე ზალკა**—დრომა (თარგ. პოლუმორდვინოვის), **ერიხ მარია რემარკ**—დასავლეთის ფრონტი უცვლელია (თარგ. ურდოელის).

კრიტიკა, მეცნიერება, პუბლიცისტიკა: პროფ. ი. ბერიტაშვილი—ქცევათმეცნიერება და ფსიქოლოგია, ი. ლუპოლი—მემარჯვენე გადახრის თეორიული საფუძვლების საკითხისათვის, ირ. სურგულაძე—კ. კაუცკის ახალი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, ილ. ფანცხავა—მარქსისტული მსოფლმხედველობა თუ ლექტ. გ. ნახუცრიშვილის იდეალისტური ბოდვები.

ბიბლიოგრაფია: ვ. ხუროძე—გიორგი წერეთელი: „ძულქანი", ი.—**К. Маркс и Ф. Энгельс.**

ჟურნ. „საქ. მუშ-გლეხკორი" № 13—14

გამოვიდა ჟურნალი „საქართველოს მუშ-გლეხკორი"-ს მორიგი (მე-13—14) ნომერი შემდეგი შინაარსით: უმთავრესი, რასაც ყურადღება უნდა მიაქციონ მუშ-გლეხკორებმა; ცეცხლი მარჯვნივ; დევნამ მასიური ხასიათი მიიღო—**ე. წულაძე**; პოლიტიკური და საწარმოო აღზრდის საუკეთესო იარაღი—**ი. გალკინი**, გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯი მუშკორთა საერთაშორისო კავშირისათვის—**ს. ელიაძე**; დასამალია თუ არა მუშ-გლეხკორთა ვინაობა?—**გ. ძ—ლი**; ჭიათურის მუშკორთა რაზმი მარგანეცის მრეწველობის ფრონტზე—**მაღაროელი**; როგორ ჩავატაროთ სოფლად რედკოლეგიების გადარჩევა—**გ. ძაბილაშვილი**; „მთავლიტი" ფოსტის კანტორაში—**ალ. მ—რი**; რევოლუციონური კანონიერების მთელი სისასტიკით მუშ-გლეხკორთა მდევნელების წინააღმდეგ; ჩვენი კედლის გაზეთები; ხელმძღვანელობის გაძლიერება ყურადღების ცენტრში—**შ. ვაჩეიშვილი**; როგორ ვმუშაობთ—**გრ. შ—ლი**; სახელმწიფო სესხების პოპულარიზაცია სოფლად—**ნ. რ—ძე**; გაზეთები მასიური მუშაობის ფრონტზე. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე მრავალი ფოტო-სურათები.

გაფლანგვა

ნორიო-მარტყოფის თემსაბჭოში

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის თბილისის განყოფილებამ გამოიკვლია ნორიო-მარტყოფის თემსაბჭოს ფინანსიური მდგომარეობა.

გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ თემსაბჭოს სალაროს მუშაობა და ანგარიში სწარმოებდა უწესრიგოდ.

საბჭოს თანხებს კერძო პირებს აძლევდნენ სესხად უბრალო ხელწერილებით, არ აწარმოებდნენ შემოსავალ-გასავლის ჩაწერას და სხ. სალაროს არ აქვს გაცემულ თანხების გასამართლებელი საბუთები, რის გამო შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ რამდენი ფული დაიხარჯა და რა გაკეთდა.

მაგალითად, გასულ წელს ოქტომბერში საბჭოს საქვეანგარიშო თანხის სახით გაუცია 2.225 მანეთი, საბუთები კი ჯერაც არაა წარმოდგენილი.

აგრეთვე სალაროს არ მოეპოვება ამავე წელში გაცემულ 2.609 მანეთის თავის დანიშნულებისამებრ დახარჯვის საბუთები.

არც 1928—29 წლის ოპერაციებია გატარებული და წესიერად ჩაწერილი წიგნებში.

თვით პასუხისმგებელ მუშაკების მხრივ ადგილი ჰქონდა უფლებების ბოროტად გამოყენებას, თანხების მითვისებას და გლეხების შევიწროებას.

მაგალითად, თემსაბჭოს თავმჯდომარე — ნ. მენაბდე თვითონ აწარმოებდა ფულების აკრებას სხვადასხვა პირებისაგან უბრალო ხელწერილებით.

მას ჰყავდა „თავისი კაცები", რომელთა საშუალებით ფულს იღებდა საძოვრების მოიჯარადრეებისაგან. მისი დავალებით ვინმე ლადო გამჯაშვილს საბალახოებით სარგებლობისათვის გლეხებისაგან აუკრებია 1.017 მანეთი, აქედან სალაროში წარუდგენია მარტო 574 მანეთი.

მენაბდემ უკანასკნელად დააჯარიმა გლეხები და მიითვისა მათი თანხები.

მენაბდემ აგრეთვე მიითვისა და გაფლანგა ნორიოს მცხოვრებ ბადრიძესაგან საძოვრებით სარგებლობისათვის მიღებული 595 მანეთი.

მანვე სხვადასხვა პირებისაგან აკრიბა და გაფლანგა 1.274 მანეთი.

1926—27 წელში მენაბდემ თივის გაყიდვისაგან შემოსულ 4.409 მანეთიდან თბ. აღმასკომის სალაროში შეიტანა მხოლოდ 3.650 მ. დანარჩენი თანხა გაფლანგა.

ამრიგად ნორიო-მარტყოფის თემსაბჭოს ყოფ. თავმჯდომარემ, ამჟამად საფინგანის სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო ქ.-განყოფილების ინსტრუქტორმა **ნიკოლოზ ზურაბის ძემ** მენაბდემ მიითვისა და გაფლანგა — 2.977 მანეთი.

მასვე ბრალდება გლეხების შევიწროება, უფლებების ბოროტად გამოყენება და ხელისუფლების სახელის გატეხა.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: ნიკოლოზ მენაბდე დაუყოვნებლივ მოიხსნას თანამდებობიდან და მისი საქმე გადაეცეს პროკურორს.

ამასთანავე პრეზიდიუმმა დაადგინა არასწორი ანგარიშის წარმოებისათვის, სალაროდან თანხების გასესხებისათვის და შემოსავლის წიგნებში თავის დროზე გაუტარებლობისათვის თემსაბჭოს ეხლანდელ თავმჯდომარეს **სანდრო მიგრიაულს** გამოეცხადოს სასტიკი საყვედური. აგრეთვე თემსაბჭოს მდივანს **ბაქრაძეს** გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

სამტრედიაში

ქუთაისი, 3 დეკემბერი. ქუთაისის ოლქის პროკურორმა სამტრედიაში აღმოაჩინა გაფლანგვა. საქ. სახელ. სავაჭრო სააქც. ამხანაგობის დამამზადებელი პუნქტის საწყობის გამგეს **დავით ასათიანს** მიუთვისებია 38.000 მანეთი. **დაპატიმრების შიშით,** მან თავის ცოლისძმა **პრომიძესთან** ერთად სცადა საზღვარ-გარეთ გასვლა, მაგრამ თავის დროზე მიღებული ზომების მეოხებით, ასათიანი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, დაკავებულ იქნა საზღვარზე. მას აღმოაჩნდა 8.500 მანეთი.

რკინის გზის მოარტელეს **ამაშუკელს** გაუფლანგავს 27.000 მანეთი, ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოების მაღაზიის გამგეს—5.000 მანეთი, რკინის გზის დამზღვევ სალაროს თავმჯდომარეს **თოფაძეს** —11.000 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაშიაც აღმოჩენილია ბოროტმოქმედება და თანხების გაფლანგვა. ყველა დამნაშავე დაპატიმრებულია. ბოროტმოქმედების კვალის დაფარვისათვის დაპატიმრებულ იქნა რკინის გზის ექიმი **გველესიანი.** როგორც გამოირკვა, ყველა ბოროტმოქმედს მჭიდრო კავშირი ჰქონია ერთმანეთთან. (ადს).

საბიბლიოთეკო ლაშქრობა

სახელგამის გამოწვევით საქ. პროფკავშირების გამომცემლობა „შრომა" საბიბლიოთეკო ლაშქრობასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკების გასაძლიერებლად ლიტერატურით სწირავს 2.000 მანეთის ლიტერატურას და თავის მხრით ბიბლიოთეკების შესავსებად იწვევს:

1) საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა, 2) აღმშენებელთა, 3) მედსანშრომის, 4) მბეჭდავთა, 5) მიწა-ტყის, 6) კომუნალურ მუშაკთა, 7) რკინისგზელთა თბილისის საუბნო, 8) განათლების მუშაკთა, 9) სამთა-მადნო და 10) მელითონეთა კავშირებს—თითოს ორას-ორას მანეთის ლიტერატურაზე.

ამხ. ზ. ბიბინეიშვილის გამოწვევით **ს. შუხუთის** სამკითხველოს ვწირავ ხუთი თუმნის ლიტერატურას და ვიწვევ ამხ. კარლო ორაგველიძეს, დავით ორაგველიძეს, იერემია ემნაიშვილს და ალექსანდრე ზუკალავას შესწირონ ლიტერატურა ამავე სოფლის სამკითხველოს, ამხ. კირილე ჩხარტიშვილს, ლეო ჩანტლაძეს (მთავარ. პოლიტგანი), აკ. ჭყონიას და დავით გვაზავას (გაზ. „კომუნისტის" რედაქცია) შესწირონ ლიტერატურა თავიანთ სოფლის სამკითხველოებს.

ბ. აფხაძე.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

ოპ. „ჯამბაზები", მუს. ლეონკავალოსი

ეს წარმოდგენა საუკეთესოდ იყო ჩატარებული. მან მსმენელზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მაგრამ შემცდარი იქნებოდა აზრი, ვითომდა ამ შემთხვევაში მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ცნობილ მომღერალთა გამოსვლა. ამავე სეზონში დავსწრებივართ წარმოდგენებს იმავე პეჩკოვსკის, ბარათოვას და გორელოვის მონაწილეობით, მაგრამ ამ მონაწილეობას არ დაუფარავს წარმოდგენათა სუსტი მხარეები. ჩვენის აზრით, ნოემბრის 30-ის წარმოდგენის მთლიანი ხასიათი, სავსებით დამოკიდებული იყო ახალგაზრდა დირიჟორის, ულრიხის მიერ ჩატარებულ მოსამზადებელ მუშაობისაგან და ჩაითვლება ამ ნიჭიერ მუშაკის გამარჯვებათ.

პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობდა ორკესტრის მშვენიერი დამუშავება და კარგი ხმოვანება ფრიად ხელშემშლელ პირობებში: ამ საღამოს ორკესტრი იყო თითქმის განახევრებული, ვინაიდან მისი ნაწილი გამოყოფილი იქნა წარმოდგენისათვის მუშათა რაიონში. მაყურებელს კი ეს გარემოება თითქმის არ შეუმჩნევია, როგორც არ შეუმჩნევია თეატრის გუნდის იმავე მიზეზის გამო განახევრებაც. აქედან ცხადია, რომ ოპერის საქმეში გადამწყვეტია არა მონაწილეთა რიცხვი, არამედ მომზადების ხარისხი. რაც შეეხება ვოკალურ ანსამბლს, ყურადღებას იპყრობდა არა მარტო ცალკე შემოქმედება არტისტებისა, არამედ და უმთავრესად მათი შემოქმედების მტკიცედ გაერთიანება, და აქედან გამომდინარე საერთო შთაბეჭდილების სიმტკიცე. ამ შემთხვევაშიაც გადამწყვეტად ჩაითვლება ანსამბლის დამუშავება. ამ მუშაობის ნაყოფიერებამ თავი იჩინა ახალგაზრდა მომღერალ ძალების სასარგებლოდ. ბევრჯერ გვინახავს ახალგაზრდა მომღერალი გარიბოვი სილვიოს როლში, მაგრამ არასოდეს მას ეს როლი არ შეუსრულებია ისე კარგად, გაბედულად, მტკიცედ და კარგი, ახალი ნიუანსების მოხმარებით, როგორც ამ საღამოს. აქედან სჩანს, რომ ჩვენი ახალგაზრდა ძალების დაწინაურებას ხშირად ხელს უშლის არა მათი უვარგისობა, არამედ უვარგისობა მათის გამოყენების მეთოდებისა. ულრიხმა არ დაზოგა წინასწარი შრომა, ვხედავთ, რომ ეს შრომა სასურველ ნაყოფსაც იძლევა.

საერთოდ, ამ წარმოდგენის ატმოსფერა იყო საუკეთესო და ამან ხელი შეუწყო მომღერალთა გაქანებას: მშვენივრად მღეროდა და ახასიათებდა ნედას სურათს ბარათოვა, მძლავრ შთაბეჭდილებას სტოვებდა პეჩკოვსკი კანიოს როლში, ხმოვანებით და სცენიური განსახიერების სიმართლით კი ყველა თავისი წინა გამოსვლებს გადააჭარბა, გორელოვმა, ცხადია, რომ ეს როლი მას კარგად აქვს მოფიქრებული და დამუშავებული. არ ჩამორჩა ანსამბლს ჩვენი ახალგაზრდა მომღერალი სვაიძეც. ფრიად ლამაზად, კარგი ნიუანსების მოხმარებით და სცენიური თავისუფლებით ჩაატარა მან არლეკინის როლი.

ვიმეორებთ, რომ ამ წარმოდგენამ დაგვიმტკიცა ჩვენი ოპერის მიღწევის შესაძლებლობანი. სასურველია, რომ ამ წარმოდგენის მომზადების მეთოდებმა მჭიდროთ მოიკიდონ ფეხი ოპერის სცენაზე.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„აბესალომ და ეთერი".** იანვრის შუა რიცხვებში სახელმწიფო ოპერაში სრულიად ახალ დადგმით წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი". ოპერას დადგამს აკ. ფაღავა. მხატვარი ნადარეიშვილი.

◆ **სომეხ მწერლის ნალბანდიანის დაბადებიდან** 100 წლის შესრულების გამო „ჰაიარტუნში" ახლო ხანში გაიმართება დიდი საღამო.

◆ **„სამსონ და დალილა".** დღეს ოპერის თეატრში მე-11 აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „სამსონ და დალილა".

◆ **„ყამირი".** რუსთაველის თეატრში 7 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება პრემიერა „ყამირი".

სასამართლო

დის მკვლელი

ამბავი ხდება შულავერის რაიონში. გაათხოვეს ახალგაზრდა ქალი **სალტალატ ხუდადკიზი.** ქალი სიხარულით გაჰყვა მოქ. **სეიდ აბას-ოღლის,** რადგან დიდ დამცირებას განიცდიდა თავისი ძმის **თემურ ხუდატ-ოღლი მურსაკულოვის** ოჯახში:

მისი ძმა თემური, ყოფილი ალა ყველაფერს ანგარიშის თვალით უყურებდა. დას, რომელსაც არა ნაკლები ამაგი ჰქონდა ოჯახში, უწოდებდა მუქთამჭამელას და დღეებს ითვლიდა, როდის მოიშორებდა მას თავიდან.

ქალი ფიქრობდა, რომ სეიდ აბას-ოღლი მას გაიგებდა, მას უმეგობრებდა, მასთან ერთად გაიყოფდა ჭირსა და ვარამს.

მაგრამ მოსტყუვდა სალტალატი. ქმარი აღმოჩნდა უხეში და მხეცი. ცემა, ოთახში ჩამწყვდევა, ლანძღვა-გინება—ასეთი იყო ქალის ხვედრი ქმრის ოჯახში.

ქმარი თავის ცოლს უხშობდა გზას ახალ ცხოვრებისაკენ, განზრახ ცდილობდა ქალის მოწყვეტას საბჭოთა საზოგადოებისაგან.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ განთავისუფლებული გლეხი ქალები ჩაბმულნი იყვნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, სალტალატი კი ჩაკეტილი ჰყავდა სეიდ აბას-ოღლის და დალაპარაკებასაც უკრძალავდა მეზობელ ქალებთან, რომლებიც კრებებზე დადიოდნენ და აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდნენ.

რამდენიმე წელი ითმინა ქალმა ასეთი კარჩაკეტილობა და დამცირება. ბოლოს ვეღარ აიტანა, განშორდა ქმარს და ისევ მიაკითხა ძმის ოჯახს.

ძმამ იუკადრისა ქმარ-გაყრილ დის ოჯახში დაბრუნება. უწოდებდა დას უზნეო ქალს და წინადადებას აძლევდა მოეძებნა „პატრონი".

ძმასთან ჩხუბში და დავიდარაბაში ქალმა დაჰყო რამდენიმე თვე. ბოლოს გამოუძებნეს საქმრო ვინმე **ალაქბეროვი.**

მეორე ქმარი არაფრით ჩამოუვარდებოდა პირველს უხეშობაში და სიმხეცეში.

აქაც დამცირება, აქაც დატუქსვა, აქაც სასტიკი კონტროლი იმაზე, რომ ქალი ახლოს არ გაეკარებოდა ახალი საბჭოთა საზოგადოებრიობის მატარებელ ტოლ-ამხანაგებს.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალი სტოვებს მეორე ქმარსაც და ისევ უბრუნდება ძმის ოჯახს.

ძმა თემური უკვე მუშტი-კრივით ხვდება მეორედ უქმროდ დარჩენილ დას. არ ზოგავს არაფერს, ოღონდ გააგდოს ოჯახიდან.

— დროებით ვიქნები, სანამ სადმე სამუშაოს მოვძებნიდე... ნუ მკრავ გულზე ხელს,— ემუდარება ქალი თავის ძმას.

ყოფილი ალა, პირადი გამდიდრების სურვილით გაჟღენთილი თემური, რომელმაც ვეღარ მოიშორა თავიდან „სარჩენი" და,—ადგენს ვერაგულ გეგმას.

ერთ დღეს, ა. წ. 5 მაისს, როცა სალტალატს თავის ოთახში ეძინა, შეიპარება ძმა და მძინარე დას აღრჩობს თავისი ხელით.

თემურ ხუდატ-ოღლი მუსაკულოვი გასამართლებულ იქნა შულავერში საჯაროდ; მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით სასტიკი იზოლიაციით.

გერ.

რკინისგზებზე

რკინის გზელებისათვის საქონლის მიწოდების მოწესრიგება

უკანასკნელ ხანებში ხაზებზე შემჩნეულია შეფერხება რკინის გზელებისათვის სამრეწველო საქონლის და სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმეში. ეს შეფერხება უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო კოოპერაციას ვერ აქვს მოწესრიგებული ხაზებზე ვაგონ-დუქნების მოძრაობის საკითხი. საქმე იმაშია, რომ ვაგონ-დუქნებს მატარებლებს უბამენ საგრძნობი დაგვიანებით. ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც ვაგონი-დუქნები 3—4 დღე დგანან ერთ სადგურზე იმის გამო, რომ მატარებლის შემადგენლობაში ადგილი არ არის მათ ჩასაბმელად.

ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად, გზის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. პოზდეევმა დეპეშით განკარგულება მისცა ხაზზე მომუშავე ადმინისტრაციას, მიიღონ ყოველგვარი ზომები ხაზებზე ვაგონ-დუქნების რეგულიარული მოძრაობის უზრუნველსაყოფად.

ვაგონ-დუქნების წესიერი მოძრაობისათვის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ მოძრაობის დარგის უფროს აგენტებს.

ვაგონების დაჯახება

2 დეკემბერს, ღამით სადგ. წიფაში საქონლის მატ. № 2306-ს გაჩერების დროს, მატარებლის უკანა ნაწილის წინაზე დაჯახების გამო დაიმტვრა შვიდი ვაგონი.

შემთხვევის დროს დაიჭრა კონდუქტორი გონაძე.

მატარებლების დაგვიანება

მცხეთა-ზაჰესის შუა მიმავალ საქონლის მატარებლის ერთ-ერთ ვაგონს გაუტყდა ღერძი, რის გამო შვიდი ბოლო ვაგონი მოსწყდა შემადგენლობას.

გზაში დარჩენილ ვაგონების წასაყვანად თბილისიდან გაიგზავნა ორთქლმავალი.

ამ შემთხვევის გამო მოძრაობა შეფერხებული იყო 4 საათის განმავლობაში, რამაც გამოიწვია ზოგიერთი მატარებლების დაგვიანება.

ჭადრაკი

მეოთხე კატეგორიის მოჭად. საკვალიფიკაციო შეჯიბრები

დღეს, 4 დეკემბერს საღამოს სრულ 6 საათზე მელითონეთა კავშირის კლუბში (პლეხანოვის პრ.,), გაიხსნება მეოთხე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრება. აღნიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შარშანდელ საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში გამოყოფილ მეოთხე და მეხუთე კატეგორიის ყველა მოჭადრაკეებს. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა თან უნდა მოიტანონ ჭადრაკი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ იქნებიან დაშვებული შეჯიბრებაში.

შემთხვევები

თვითმკვლელობა

სანადირო თოფით თავი მოიკლა ხინო არუშოვამ (მცხ. მე-5 სამილიციო უბანში).

თავდასხმა

გუშინწინ ღამით, ამაიაკ ხაჩატურისძე ბაღდასაროვი გაძარცვის მიზნით თავს დაესხა კარაპეტ ბაღდასაროვს ბინაზე (პურის მოედანი, 5) მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. თავდამსხმელი დაპატიმრებულია.

თავის მოწამვლა

მარია დიმიტრის ასულმა ჟურავლიოვამ იოდით მოიწამლა თავი; ჟურავლიოვა სიკვდილს გადაარჩინეს.

რეციდივისტის დაპატიმრება

დაპატიმრებულია ქურდი-რეციდივისტი ქარიმ-ვალ-ოღლი.

ქურდობა

გაქურდეს არშაკ სარქისიანცის ბინა (სპარტაკის ქ., 2) წაიღეს ფულად 217 მანეთი.—გიორგი ზაქარიასძე კულაშოვს ტრამვაის ვაგონში მოპარეს 29 მანეთი.

მეცნიერება და ტეხნიკა

მილიონები ზღვის ფსკერზე

საბჭოთა კავშირს ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი მანეთის იოდი შემოაქვს უცხოეთიდან იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში, კერძოდ— შორეულ აღმოსავლეთში, მოიპოება ყველა პირობები საკუთარი იოდის მრეწველობის შესაქმნელად.

როგორც საბჭ. კავშირის ქიმიური მრეწველობის მთავარ სამმართველოს ექსპედიციამ გამოარკვია, შორეულ აღმოსავლეთის წყნარ ოკეანეს სანაპიროებზე მოიპოება იოდოვან წყლის მცენარეების დაუშრეტელი მარაგი. ექსპედიციის მიერ გამოკვლეულ რაიონში (ვლადივოსტოკიდან ლაზარევის კონცხამდე), წინასწარი ცნობებით მოიპოება 600 ათას ტონამდე იოდოვანი წყალბალახა.

იოდი დეფიციტიან საქონლად ითვლება მსოფლიო ბაზარზე და ამის გამო ექსპედიციის მიერ ჩატარებულ მუშაობას ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა.

ხელოვნური კაუჩუკი

ქიმიკოსმა კლეიბერმა (ბაზელი, შვეიცარია) გამოიგონა ახალი წესი ხელოვნური კაუჩუკის დამზადებისა მინერალურ ზეთებიდან და მათი ნარჩენებიდან. კლეიბერის მიერ დამზადებული სუროგატი შეიძლება დავულკანებულ იქნას, იგი გაცილებით ელასტიურია, ვიდრე ბუნებრივი კაუჩუკი და ექვსჯერ იაფია—კილოგრამი ღირს 20 კაპიკი.

კლეიბერის გამოგონება, რომელმაც, უცხოეთის გაზეთების სიტყვით, გადატრიალება უნდა მოახდინოს რეზინის მრეწველობაში, საექსპლოატაციოდ გადაეცა გერმანულ ფირმას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავება

პარასკევს, 6 დეკემბერს, მთლიან პარტიულ დღეს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენების მოსასმენად მოწვეულია პარტუჯრედების შემდეგი ჯგუფური კრებები:

ლენინის რაიონში

1) პლეხანოვის სახელობის კლუბში, საღამოს 6 საათზე; უჯრედები: სარემონტო ქარხნის კოლექტივის, მატერიალური დარგის მე-2 უბანის („მ. ო. 2") და აგურის ქარხნის.

მომხსენებელნი—ამხ. **კრინიცკი და გიორგაძე.**

2) სავაგონო პარკი, საღამოს 6 საათზე: დეპო პჩ-6 კოლექტივის უჯრედი.

მომხსენებელნი—ამხ. **ნაზარეტიანი და გრ. არუთიუნოვი.**

3) საბარგო სადგურის წითელ კუთხეში, საღამოს 6 საათზე, უჯრედები: მოძრაობის დარგის, საბარგო სადგურის და თბილისის სადგურის.

მომხსენებელი ამხ. **ანთიძე.**

4) ტრამვაელების კლუბში, საღ. 6 საათზე, უჯრედები: ტრამვაის კოლექტივის, „შჩ-ვ", „შმ" ქარხნის, „ლურსმანის", სპილენძის სატკეცი ქარხანა, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის და გზათა სახ. კომისარიატის დამცველი რაზმის.

მომხსენებელნი—ამხ. **ავქსენტიევსკი და თალაქვაძე.**

5) მელითონეთა კლუბი (ყოფ. მუშათა ცენ. კლუბი), საღ. 6 საათზე, უჯრედები: 26-ის სახ. ქარხნის, გემო-კვების მუშაკთა მე-3 საქარხნო კომიტეტის, ამხ. კალინინის სახელობის ქარხნის, „ხის ნაწარმის", ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპერატივის, სტამბის, „მაშტოსტროის", თამბაქოს ფაბრიკების „პროლეტარის" და როზა ლუქსემბურგის, ღილების ფაბრიკის.

მომხსენებელი ამხ. **იპპო.**

6) ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში, საღ. 6 საათზე, უჯრედები: განათლების მუშაკთა კავშირის, რკინის გზის საავადმყოფოს, საგზაო სატრანსპორტო გაერთიანებული სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს, „დორპროფბჟრის", შავი ზღვის სანაპირო რკ. გზის სამმართველოს და სახკინმრეწვის.

მომხსენებელი—ამხ. **ლისოვსკი.**

26 კომუნარის რაიონში

1. მეტყავეთა კლუბში (კომუნალური ქ., № 96), ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე, უჯრედები: ტყავის ქარხნის № 1, ტყავის ქარხნის № 2, ფეხსაცმელის ფაბრიკის, ქიმიკოსების, „მკერავის" № 2, ფეიქრების, მებაღეობის, სავალეტო და მაკარონის ფაბრიკებისა.

მომხსენებელი—ამხ. **კახიანი.**

2) მშენებელ მუშათა კლუბი (კახეთის მოედანი № 1), საღამოს 6 საათზე, უჯრედები: არსენალის, საარტილერიო საწყობის, პურის საცხობის, მშენებელ მუშების № 1, საფქვავი ფაბრიკის, ქალაქის საავადმყოფოს, ზეთსახდელი ქარხნის და მასწავლებლების.

მომხსენებელი—ამხ. **სვანიძე.**

3) ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბი (აბანოების ქ., 8), საღამოს 6 საათზე, უჯრედები: აბანოების, ფეხსაცმელების მკერავთა კოლექტივის, ამხ. კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის, მტვირთველების, ჯაგრის სახელოსნო, ტყავის სინდიკატის, „მიასოპროდუქტის", „ტექსტილტორგის", „სოიუზხლების", სატრიკოტაჟო ფაბრიკის, თურქული პედაგოგიური ტეხნიკუმის, ძეხვის ქარხნის და იზოლიატორის.

მომხსენებელი—ამხ. **გუსეინოვი.**

4) სანიტარული ტეხნიკის კლუბში (მადათოვის კუნძულზე), საღ. 6 საათზე, უჯრედები: სანიტარული ტეხნიკის მუშაკების, „მკერავის" № 1, მშენებელი მუშების № 2, მეტყავეების № 2, სახერხი ქარხნის, სანიტარული ტრანსპორტის, საკონდიტრო ფაბრიკის და შინამრეწველების.

მომხსენებელი—ამხ. **ავაქოვი.**

5) ნავთლუღის კლუბი (სად. ნავთლუღი) ნაშუადღევის 4 საათზე, უჯრედები: ნავთლუღის სადგურის, ქალაქის სასაკლაოს, გორიდაბანის სადგურის და სოღანლუღის სადგურის.

მომხსენებელი—ამხ. **ხუციშვილი.**

6) მილიციის მუშაკთა კლუბში, საღ. 6 საათზე, უჯრედები: მილიციის, წყალსადენის სახელოსნოს და აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის.

მომხსენებელი—ამხ. **ბედია.**

7) „ჰაიარათუნის" კლუბში (აბას-აბადის მოედანზე), საღ. 6 საათზე, უჯრედები: „ზაკვოსტორგის", „გრუზგოსტორგის" (საქ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა), ს. მ. უ. ს., სამთო ტრესტის და საქ. სახელმწიფო მრეწველობის საამშენებლო კანტორის.

მომხსენებელი—ამხ. **ბუკრეევი.**

8) მუშფაკში, საღამოს 8 საათზე (ენგელსის ქ., № 20), მუშფაკის უჯრედი.

მომხსენებელი—ამხ. **შახსუვაროვი.**

ქალაქის რაიონში

1) ავტო-კლუბში (პლეხანოვის პრ. 129), საღამოს 6 საათზე, უჯრედები: „ზაკავპრომტორგის", კ. წ. დ. არმიის სტამბის, ლუდის ქარხნის, მთავარი საავადმყოფოს, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების, ავეჯეულობის ფაბრიკის, მუშკოოპის ტრანსპორტის, სახლის მუშების და თბილისის მუშათა თეატრის.

მომხსენებელი—ამხ. **ყარაევი.**

2) მუშკოოპის კულტ-კუთხე (პლეხანოვის პრ. 83), საღ. 6 საათზე, უჯრედები: მუშკოოპის, 1-ლი სტამბის, მე-5 სტამბის, „საქართ. ღვინო"-სი, ფოსტის, „მწყემსის", გლეხთა სასახლის, რკ. გზ. ფოსტის, სახმედვაჭრობის და სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის.

მომხსენებელი—ამხ. **დევდარიანი.**

3) თბილისის აღმასკომის დარბაზში, საღამოს 6 საათზე, უჯრედები: თბ. აღმასკომის, სახკომსაბჭოსი, სოფლის კავშირის, „გრუზგოსტორგის", შრომის კომისარიატის, იუსტიციის სახ. კომისარიატის, საბინაო-კოოპერატიული კავშირის, საქალაქო ბანკის, „სამშენის", გემო-კვების მუშაკთა კავშირის, ფინსახკომის, სატყეო მრეწველობის ტრესტის, ზაჰესის, საფაბრიკო-საქარხნო სკოლის, პოლიგრაფტრესტის, ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოსი, ცეკავშირის და განათლების მუშაკთა კავშირის.

მომხსენებელი—ამხ. **შოგირაძე**

4) მბეჭდავთა კლუბში (კომინტერნის ქ., № 5), უჯრედები: მე-6 სტამბის, მე-3 სტამბის, „ზარია ვოსტოკას" სტამბის, ლიტოგრაფიის, პოლიგრაფტრესტის, კ. წ. დ. ა. ტიპო-ლიტოგრაფიის, „თემქა"-ს ქარხნის, სახანძრო რაზმის, მე-2 სტამბის, თელასის, სახელგამის, ა.-კ. ფინსახკომის, ა.-კ. შრომის კომისარიატის, ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევის, „რეზინოტრესტის" და ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსი.

მომხსენებელი—ამხ. **ასრიბეკოვი.**

5) სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში (რუსთაველის პროსპექტზე), საღ. 6 საათზე, უჯრედები: სახ. უნივერსიტეტის, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი, განათლების მუშაკთა კავშირის, მუშათა სასახლის, გინეკოლოგიური ინსტიტუტის, ტელეფონის, ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონის, საოლქო სამმართველოსი, სამხატვრო აკადემიის, საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსი, რუსთაველის თეატრის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და სასოფლო-სამეურნეო კურსების.

მომხსენებელი—ამხ. **ჟუჟუნაშვილი.**

6) განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ., № 4), უჯრედები: „ზაკსოიუზის", რადიოსი, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის, ღილების ფაბრიკის, ჯგუფკომის № 1, აგურის ქარხნის, ტელეგრაფის, ა.-კ. ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს, მშენებლების, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის, სამმართველოს, ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკის, სახ. ოპერის, „ზაკსელსოიუზის", სახელმწიფო ბანკის, ა.-კ. ს. მ. უ. ს.:, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის.

მომხსენებელი—ამ. **გენკინი.**

დღეს 4 დეკემბერს, დილის 10 საათისათვის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ-ქალთა განყ-ბა იწვევს თათბირს, რომელსაც აუცილებლად და დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ტაგიევა (ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება), ქუჩუკლორია (საქ. ცაკი), ბანოვიჩი (სოცდაზღვევის მთავარი სამმართველო), მარკმანი და ჭყონია (საქართველოს პროფსაბჭო), ანდრიაძე (თბილისის საოლქო კომიტეტი), შერმადინი (ლენრაიკომი), ჯიქია (ქალაქის რაიკომი), მატინიანი (26 კომუნარის სახ. რაიკომი), ქართველიშვილი (სარეწაო კოოპერაცია), ფრანგულიანი და კაპანაძე (ჯანსახკომი), კიდაიში (თბილ. ჯან. განყ.) და მაისურაძე (ა.ლ.კ.კ. ცეკა).

—:—

დღეს 4 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. ეკონომიური ფაკულტეტის პირველი და მეორე კურსის კომკავშირის უჯრედის ღია კრება.

კრება შესდგება სტუდენტთა კლუბში.

ამხ. მიხა კახიანის სახელობის ქართული მუშათა ფაკულტეტის ლენინური კომკავშირის ბიურო-კოლექტივი იუწყება, რომ დღეს 4 დეკემბერს, საღამოს ლექციის შემდეგ შესდგება კომკავშირის ადგილობრივი ბიურო-კოლექტივის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ ბიურო-კოლექტივის წევრები და კანდიდატები, უჯრედების აგიტპროპორგანიზაციები და ტეხნიკური მდივნები.

სხდომა შესდგება პარტბიუროს ბინაზე.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა შესდგება დღეს 4 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე. გარდა ბიუროს წევრებისა და კანდიდატებისა სხდომას უნდა დაესწრონ სამკურნალო ფაკულტეტის ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიუროს წევრები, ამხ. სტაკენჭილაშვილი და წულეისკირი.

—:—

სახ. უნივერსიტეტის ა.ლ.კ.კ. მეორე უჯრედის ღია კრება ბიუროს გადარჩევის შესახებ შესდგება დღეს, 4 დეკემბერს საღამოს სრულ 7 საათზე.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 4 დეკემბერი

დილით თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს „მუშათა შუადღე"-ს. პროგრამაშია — ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოს 5 საათიდან გადაცემული იქნება: მუსიკა სადილის შემდეგ; რადიო-გადაცემა ბავშვებისათვის; „როგორ უნდა ვიმუშაოთ ოქტომბრელთა ჯგუფებში"—რუსულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; დაუსწრებლად სწავლების კოოპერატიული კურსების ლექცია: „სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემები საბჭოთა კავშირში და ამიერ-კავკასიაში", რუსულ ენაზე; [illegible] ხუთწლედი"—„მრეწველობა", [illegible] ზე; [illegible] უნივერსიტეტი—რადიოთი—პირველი ლექცია ეკონომიურ გეოგრაფიიდან, ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; დროს შემოწმება და გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; საღამო ციკლიდან—„კამერული მუსიკა" პროგრამაშია—ჰაიდნი, შუბერტი და სხ. რადიო-გადაცემათა პროგრამა 5 დეკემბრისათვის; უკანასკნელი ამბები.

მშობლები კალენიკე და შუშანა, მეუღლე ოლიკო, დები: ქეთევან და მარიამ, ძმა ბეჟან, მამიდა ნადია მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ 2 დეკემბერს, ქალ. ქუთაისში, გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

შალვა (ბიჭიკო) ჩხეიძე

გამოსვენება თეატრიდან 6 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა ს. ფუთში, 7 დეკემბერს.

ნ. 3451

მამიკა მდივნისა, აკაკი დევდარიანი, ნატა და ლიდა ჩხეიძეები იუწყებიან, რომ ქუთაისში უდროოდ გარდაიცვალა მათი ძვირფასი ბიძაშვილი

შალვა (ბიჭიკო) ჩხეიძე

(ნ.)

ღრმად დამწუხრებულნი ვასილი, მარიამი. ანიკო, ვარო, კოლია, ვალიკო, გივი და ზურიკო კლდიაშვილები, პავლე, მატუა, სიმონი, გრიშა, სავლე, ნინა, თამარა, თერიკო და ცირა დევდარიანები, მანია, ტუხუ და კოტიკო პოპოვები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

შალვა (ბიჭიკო) კალენიკეს-ძე ჩხეიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ქ. ქუთაისიდან სოფელ ფუთში, ხუთშაბათს, 5 დეკემბერს.

(დ)

ანიჩკა და იაგორ კვაჭაძეები, ლიზა, თამარი, ანდრო და კოლია ჯიბლაძეები და ბორია შავიანი აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს საყვარელ სიძის, ქუთაისის დრამის მსახიობის

შალვა კალენიკეს-ძე ჩხეიძის

უდროოდ გარდაცვალებას ქ. ქუთაისში.

4563

კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დირექცია აუწყებს საზოგადოებას მსახიობ

შალვა ჩხეიძის

გარდაცვალებას.

ნ. 3451

კოტე მარჯანიშვილი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ნიჭიერ მსახიობის

შალვა ჩხეიძის

გარდაცვალებას.

ნ. 3451

კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მსახიობები გულის ტკივილით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას ამხანაგის, მსახიობ

შალვა ჩხეიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 6 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, თეატრიდან. დაკრძალვა 7 დეკემბერს, სოფ. ფუთში.

ნ. 3451

ქუთაისის სახელმწიფო თეატრის ადგილკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს დაუღალავი და პატიოსანი სცენის მუშაკის

შალვა ჩხეიძეს

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნ. 3453

მწუხარებაშიმყოფი ძმა საშა მეუღლით, ბიძა კონსტანტინე ცოლშვილით, ბიძა ისიდორე ფარცხალაძე ცოლშვილით და მამიდა დარიკო სობოლოვა ქმარშვილით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, დღის 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპულ

ავთანდილ ბესარიონის-ძე ბაქრაძის

ხსოვნის აღსანიშნავად.

4562

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნელიქნე, შვილები: გულნარა, ფენია და კლავდია, სიდედრი მაკრინე კოკაიასი, ძმები: ერასტო და სანდრო დანელია ცოლშვილით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ნოემბრის 30-ს ს. ნაგიბეროვში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

რაჟდენ ბურდღუს-ძე დანელია

დასაფლავება ხუთშაბათს, დეკემბრის 5-ს, საღ. 4 საათზე, სოფ. ნაგიბეროვში.

4553

მართა და ქრისტინე, მერი, პართი და სერგი ჯიქია, მატრონა და მეთოდე კოკაია შვილებით, ოლენკა და ილია ტორჩინავა შვილებით, მაგდა და პეტრე ჯულელი განუსაზღვრელი მწუხარებით იუწყებიან, რომ ნოემბრის 30-ს, სოფ. ნაგიბეროვში გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი სიძე და მეგობარი

რაჟდენ ბურდღუს-ძე დანელია

დასაფლავება ს. ნაგიბეროვში, ხუთშაბათს, დეკემბრის 5-ს, საღ. 4 საათზე.

4553

ულრმეს მწუხარებაში მყოფი მშობლები: მამა სტეფანე, დედა ელენე (ოლია), დები: მარო, ნინა, თამრიკო, ნადია, მედეა და პატარა ნელი დავსტირით ძვირფას

ქეთინო სტეფანეს ასულ ჩილინგარაშვილი-ნიჟარაძის

უდროოდ დაკარგვას.

4558

ღრმად დამწუხრებული დედა ოლია, მამა აკაკი, ძმები ოთარი და ავთანდილი ასათიანები, ბებია ნატა, ბაბუა ლუკა, დეიდები ლიუბა, ნინა და ქეთო ძაგნიძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ მათი ძვირფასი

პატარა მანანას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. სამტრედიაში, ხუთშაბათს, 5 დეკემბერს.

(დ)

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი

დ ღ ე ს, 4 დეკემბერს, მე-11 აბონემ. 1 წარმ.
მ. პ. მაქსაკოვას მონაწილეობით **სამსონ და დალილა**
ხუთშაბათი 5 დეკემბერი, მე-10 აბონემ. მე-3 წარმ.
ალექსანდრე პიროგოვის მონაწილეობით **სევილიელი დალაქი.**

ყველა სააბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასასყიდათ. გამოსყიდული ტალონებით ბილეთები გაიცემა რიგს გარეშე დღის 2 საათამდე. ტალონებზე შესატანების გადახდის უკანასკნელი ვადა—5 დეკემბერი. აბონემენტების მე-5 შესატანის მიღება სალარო № 3-ში. 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ნ. 3440

აპოლო ლია დე პუტი და ვერნერ კრაუსი სურათში **ეჭვიანობა**

სოლეი **ლუ-ლუ** ლუიზა ბრუკსის მონაწილეობით.

მინიონი მხატვრული ფილმი **მეტოქენი** ზანოვის და ლენსკაიას მონაწილ.

პალასი მე-2 კვირა **იმპერიის ნამსხვრევი** ნიკიტინის მონაწილეობით

არფასტო სეზონის საუკეთესო ფილმი **კაენი და არტემი** მ. გორკის ნაწარმ. მიხედვ.

დარბაზი მხატვრული ფილმი **ტ უ მ ა ე** ა. ი. ხეიფეცის ქასტროლები

მალე: „რ ღ ვ ე ვ ა"

0—4

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ.
ტელეფონი 8—94.

ოთხშაბათს 4 და ხუთშაბათს 5 დეკემბერს
მხოლოდ სამი გასტროლი
ჩინეთის ილიუზიების თეატრის
ლიუ-ფუ

საკუთარი დეკორაცია, რეკვიზიტი, ბუტაფორია, განსაკუთრებული ტანსაცმელი.

ცდები ხდება ყოველგვარ მექანიკურ მოწყობილობის გარეშე და სრული განათებით, რაიც ახდენს უდიდეს შთაბეჭდილებას. აგრეთვე მონაწილეობს მთელი დასი.

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ყველა ის სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობები, გარდა სარეწაო საკრედიტო ამხანაგობებისა, რომლებიც გატარებულია რეგისტრაციაში ყოფ. კოოპერატიულ სამმართველოში, ან ს.მ.უ.ს. დაწესებულებებში,

ხელმეორედ უნდა გატარდენ რეგისტრაციაში

1930 წლის 1 იანვრამდე, თანახმად საქ. სარეწაო კოოპერაციის შესახებ დებულების 103 მუხ., სათანადო საოლქო ან სამაზრო აღმასკომების ადგილ მრეწველობის განყოფილებებთან არსებულ სარეგისტრაციო კომისიაში.

ნ. 3450

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 8 დეკემბერს, დილის 10 საათზე

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში.

ნ. 3446

კინო-პალასი

მალე

მხატვრ. სურათი „უფა-ფილმ"-ის ნაწარმოები

[illegible]

პიერ ბენუას რომანის მიხედვით.

მთავარ როლებში: ოლგა ჩეხოვა, ივ. ტრიო, ჟაკ ბროდენი.

63449

კინო-არფასტოში
დღეიდან, 4 დეკემბრიდან
საუკეთესო ფილმი
მაქსიმ გორკის
მხატვრული ნაწარმოების მიხედვით
კაენი და არტემი
სცენარი და დადგმა
პ. პეტროვ-ბიტოვის
მთავარ როლებში: ე. ეგოროვა,
ე. გალი, ნ. სიმონოვი, გ. უვაროვი.
პრესის აზრი:
...სურათი დადგმულია მძლავრად და მკაფიოდ, მაყურებელი მჭიდროდ უკავშირდება სურათს და იზიარებს მისი გმირების სულისკვეთებას...
ნ. 3449

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

ალ. მაღალაშვილი ბავშვების ექიმი, საღამოს 5—47 საათამდის, ყორღანოვის ქუჩა № 12. 25—1

ა. ვადაჭკორია ქალთა ავადმყოფობანი დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 25—1

მალაევი თვალის ექიმი ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) 47. ტელ. 5—90.

ი. ვ. ხანდამოვი სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას. მიღება დღის 2 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქუჩა, № 35, (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ი. დ. თოფურიძე იღებს ავადმყოფებს კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. სიფილისი, კანის და ვენერიული (სუსუნატით გამოწვეული გართულებები). დილის 7 საათიდან 8 საათამდე. დღით ქალები და ბავშვები 3—5 საათამდის, მამაკაცები 5—8 საათამდის. 25—1

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— პურის წიგნაკი ნინო ღონღაძეს სახელზე.	5551
— ყვადო პასპორტი პელაგია ქუჩუკაშვილის სახელზე.	4550
— ტელეფონის ქსელში შესვლის ნებართვა № 451106 ვარვარა პიტნავას სახელზე.	4550
— პურის წიგნაკი (4 სულის), მუშკოოპის წიგნაკი № 50058 და უმუშევართა წიგნაკი ნიკოლოზ ქუჩუკაშვილის სახელზე.	4552
— სამხედრო აღრიცხვის ბარათი ივანე ვლადიმერის-ძე წულუკიძის სახელზე.	4554
— მუშკოოპის წიგნაკი № 51065 მარიამ პავლეს ასული ჯარიაშვილის სახელზე.	4557
— პირადობის მოწმობა № 129 და რკინის გზის კავშირის წიგნაკი № 30494 რაჟდენ ბაკურაძეს სახელზე.	4556
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი, გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ ალექსანდრე ექვთიმეს-ძე ქაჯაიას სახელზე.	ნ. 3445
— „ზაკტპოს" საწევრო წიგნაკი № 36218 ლევან ჩარკვიანის სახ.	ნ. 3445
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი, გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ დინა გაბრიელის ასული მაჩაბლაშვილის სახელზე.	3445
— პირადობის მოწმობა ილია კილხაზის-ძე ბუზიაშვილის სახელზე.	ნ. 3445
— კოოპერაციის წიგნაკი № 150 გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ გერმანე გიორგის-ძე გონგაძეს სახელზე.	ნ. 3445
— კავშირის წიგნაკი № 8872 აქვსენტი ხურცილავას სახელზე.	4560
— პირადობის მოწმობა № 53 ივანე ფცქიალაძეს სახელზე.	4561
— ს ა.ლ.კ.კ. წევრობის მანდატი № 9450 არსენ გიორგის ძე ფოფხაძეს სახელზე.	4561
— პურის წიგნაკი (სამი სულის) № 10113 დავით გვაზავას სახელზე.	უ.

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10—სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—3

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ელსმენი № 15—02. 25—13

ა. დ. პეპელია სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება. პლეხანოვის პროსპ. № 116. აპტეკის „იოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67.

რუსთაველის თეატრი—სეზონი 1929—1930 წ.

ყველა აბონემენტების მე-4 შემოსატანი ფულის ვადა თავდება

5 დეკემბერს სერია ბ 4 აბონემენტს

5 დეკემბრისათვის უნდა ქონდეს დაფარული მე-3 შემოსატანი

ნ 3338 3—3 თეატრის დირექცია.

1929 წლის 15 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე. ვაკეში, ნაფარეულის ქუჩაზე № 11 ამხანაგობის ბინაში დანიშნულია

საბინაო საამშენებლო ამ-ბის „ვაკე"-ს წევრთა საგანგებო საერთო კრება

საკითხები:

1. ბინათკავშირის საინფ. მოხსენება თავისი მუშაობის და 1929/1930 წლის მუშაობის გეგმის შესახებ „ვაკესთან" დაკავშირებით.
2. თბილ. ოლქის აღმ. კეთილმოწყობის განყ. საინფ. მოხსენება ვაკეს რაიონის კეთილმოწყობის შესახებ.
3. მუშკოოპის მაღ. № 483 სადუქნო კომისიისა და მუშკოოპის რაიონის ინსტრუქტორის ამხ. თოხაძის მოხსენება.
4. „ვაკეს" გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
5. „ვაკეს" 1929/1930 წლის მუშაობის გეგმა.
6. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.
7. ახალი წევრების დამტკიცება.
8. „ვაკეს" შეერთება სხვა რომელიმე საამშენებლო ამხანაგობასთან.

„ვაკეს" ყველა წევრი ვალდებულია დღეიდან 12 ამ თვემდე, საღამოს 6—9 საათამდე, გამოცხადდეს ამ-ბის კანტორაში (ვაკეში) ანკეტების შესავსებათ, საწევრო-საანგარიშო წიგნების მისაღებად და ურთიერთშორის ყველა ანგარიშების გასასწორებლად.

წევრები დაიშვებიან საერთო კრებაზე მხოლოდ საწევრო წიგნაკებით.

ზემოხსენებულ ორგანიზაციებს ვსთხოვთ გამოგზავნონ კრებაზე თავისი წარმომადგენლები, თუ ზემოთ აღნიშნულ დროს კრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში იმავე რიცხვს და იმავე ადგილას შესდგება საგანგებო კრების მეორე სხდომა, რომელიც კანონიერად ჩაითვლება.

„ვაკეს" გამგეობა

ნ. 3447 ბინათ კავშირის გამგეობა.

ნ. ვ. გეგეჭკორი შინაგანი სნეულებანი; სპეციალ. ფილტვების დაავადებანი. ავადმყოფების მიღება 6—7 საათამდე. პეროვსკის ქუჩა (ყოფ. ანასტასიევის) 7. ტელეფონი 20—33.

ტირაჟი—43.084

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904